



ისტორიული მამკვიდრობება

სამათეორო-კონფლიქტის შემცირები, 2014 წ. ივნისი, №6 (47), ფასი 3 ლარი

სიახლი გაკვათილი უკაიცელი აქცენტი

**«ეს მიწა, ჩოგ
ამ მოხეციდანვე
გაცემას რომ
და სართოდ
აღარ იყოს,
სანამ აღამისები
შეორენებან
კლანებისა
სახლად დადაშინა»**

რატკო მლადიჩი:

**ნეტოსკეც ისტორიული ისტორია, ვიც
საკუთარი ხალხის ინტერესებს უდალატე**



პეტრე ჩაიკოვსკი:
კალიან კახუროვილი ვარ
თბილისი უოფიტ. რა
საუხეოო ევეყანა! უფრო
ასალგაზრდა როგორ ვიყო,
სამუდამოდ ძავრჩებოდი
ან სამხეროებლად

34

**ექვთიმე
თაყაიშვილის
არქეოლოგიური
მოგზაურებანი**

31

**1877-1878 ცლაბის რასათ-თარებათის რომ
და ქართველი საზოგადოებრივა**

41

მოსკოვის
დაცოვაგაზა
სტალინის
ლაპარაკეს
8 ვარავის
პაზავდა

**13 «დიდ
სამართლო
ომშე
გამარჯვება
უვალებე
ლიზი ქავლის
სტალი-
ნისთვის»**

**17 რა
სასაზიგი
ჩაცირები
დაგვიტოვა
აკაკი
ხორავა?**

**«ივარის» ბა
ქართული
იცხალისა
XIX საუკუნის
90-იან
წლებში**

**25 მდებარე
მოგორენა
43 კომიტეტი**



ძეთივან მალალაშვილი — კონსტანტინე გამსახურდიას პორტრეტი

სარჩევი

უკლესი ისფორია	
■ საბეჭი გაქვეთილი უკანონები აქცენტით	4
უგელაღო ეგეყანა	
■ მოსერვის დატოვებაზე სტალითის ლაპარაკს ვერავიც ბაზარი	8
ჩვენი ფოსტა	
■ ავთაძელ ღიასამიქა: ღია სამართლო რეალ გამარჯვება უკალაზე ღია ქავლის სტალითის	13
ხელისა გვიყვავიან	
■ რა სასეაზიური ჩანაცარაში დაგვიტოვა აკაკი ხორავა?	17
იღიას გაკვეთილები	
■ „ივარია“ და ქართული იდეოლიგიკური XIX საუკუნის 90-იან წლებში	25
არეალობია	
■ ეპიზოდი თაყაიუკილის არქაოლოგიური მოგზაურებაზე	31
ეპოქრობა გზად და ხილად	
■ ეპიზოდი ჩაიკვესები: ქალიან კაუროვილი ვარ თბილისი უმფლიო. რა საუცხოო ქვეყანა! უფრო ახალგაზრდა რომ ვიყო, სამარავდ დავრჩებოდი აქ საცხოვრებლად	34
გრიგოლ გაგარინი – კავკასიის მხატვარი	38
რეალობა მხარდაჭარ	
■ 1877-1878 წლების რასათ-თურქეთის რეალ და ქართველი საზოგადოებრივია	41
მათ უერთა მოწლიო	
■ მოგრევანი პომენზე	43
იუბილე	
■ ეკივევან გალალავილი – 120	46
ეს საინტერესოა	
■ გიორგი ჩაგიანევილის სახელობის ქართული ხალოვნების ისტორიის ინსტიტუტი	49

გამომცემელი: არასამეწარმეო იურიდიული პირი
„ისტორიული მემკვიდრეობა“

სარედაქციო კოლეგია
პასუხისმგებელი რედაქტორი დარეჯან ანდრიაძე
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. № 6 ტელ.: 234-32-95

UDC (უაკ) 050 (479.22)
0-892



სერგიული გაქვეთილი უკრაინული აქცენტი

რატკო მლადიჩი:

ნატოს ისტორიაზე ისტორია, ვიც საქათარი ხალხის ინტერესებს უღალატეს

ნატოს ძალების მიერ სერბეთზე თავდასხმა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე განხორციელდა. იუგოსლავის წინააღმდეგ აგრესიაში მონაწილე 19 ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი იუგოსლავისას 679-ჯერ სჭარბობდა. მოქმედებაში მოყვანილი იყო 1200 თვითმფრინავი, მათ შორის 850 – საბრძოლო. ავიადარტყმები იტალიის, გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, თურქეთის, საფრანგეთის, უნგრეთის ტერიტორიებიდან, აგრეთვე, აშშ-ის კონტინენტური ნაწილიდან განხორციელდა. ავიაციის მოქმედებას სამხედრო-საზღვაო დაჯგუფება ეხმარებოდა სამი ავიამზიდის, ექვსი დამრტყმელი წყალქვეშა გემის, ორი კრეისერის, შვიდი ფრეგატის შემადგენლობით. ხმელთაშუა ზღვაში ოთხი მსხვილი სადესანტო ხომალდი იმყოფებოდა ბორტზე 10 ათასი საზღვაო ქვეითით. ნატოს ავიაციამ 2300 საჰაერო დარტყმა განხორციელა 995 ობიექტზე.



იუგოსლავიას 3 ათასი ფრთო-სანი რაკეტა, 25 ათასი ტონა ასა-ფეთქებელი ნივთიერება დაატყ-და თავს. აგრესიის შედეგად ათა-სობით სამოქალაქო პირი დაი-ღუპა, ათეულ ათასობით — და-იჭრა, მათგან 30% ბავშვი იყო. იუგოსლავისათვის მიყენებულმა მატერიალურმა ზიანმა 200 მი-ლიარდი დოლარი შეადგინა.

დღეს ნათელია, თუ რა მიზანს ისახავდა ნატო – ალბანელების უფლებების დაცვას თუ იუგოს-ლავის დაშლას და მის სრულ კონტროლს.

ნატოს აგრესიამ მთავარ მი-ზანს – სლობოდან მილოშევიჩის დამხობას ვერ მიაღწია. არმიაც შენარჩუნებული იყო. მაშინ ამე-რიკის შეერთებულ შტატებს ახა-ლი სტრატეგიის შემუშავება მო-უწია, რომელმაც „ხუთიანზე“ იმუშავა. 2000 წლის ოქტომბერში აშშ-მა და გერმანიამ სპეციალურაცია ჩატარეს, რომელიც შემ-

რატკო მლადიჩი — დაიბადა 1943 წელს, სერბი გენერალი და სამხედრო მოღვაწე, სერბეთის რესპუბლიკის ჯარების შტაბის უფროსი 1992-1995 წლებში; მამამისი ნედუა მლადიჩი იყო პარტიზანული რაზმის მეთაური და 1945 წელს დაიღუპა ხორვატ ულტრამემარცხენე რასისტებთან ბრძოლაში, რომ-ლებიც თანამშრომლობდნენ გერმანელ ფაშისტებთან.

დეგ სხვა ქვეყნებშიც განმეორდა და რომელთაც „ფერადი რევოლუცია“ ეწოდა. ამ გზით ხელი-სუფლებებში ის ძალები მოიყვანეს, რომლებმაც ნატოსთან აქ-ტიური თანამშრომლობა და-იწყეს.

რაკი იციან მოსახლეობის უარყოფითი დამოკიდებულება, ამე-რიკელები დღესაც ყველა ხერ-ხით ცდილობენ, ნატოს იმიჯის გასაძლიერებლად: კვლავაც გა-მოყოფენ ფულს უურნალისტების სასწავლებლად, რადიო და ტელეკომპანიებს სპეციალურ გრანტებს სთავაზობენ, აფინან-

სებენ შეკვეთილ სტატიებს.

რატომ ირჯებიან ასე ამერიკე-ლები? სერბეთის შემთხვევაში, მათი მთავარი საზრუნავი რუსე-თისთვის სერბეთისა და ჩერნო-გორიის ჩამოკილება იყო, აგრეთვე, ბალკანეთში არსებული თუ პოტენციური სამხედრო ბაზების ხელშეუხებლობა და ალიანსის ყველაზე სახითათო და ბინძური იპერაციებისთვის მამაცი და დამჯერი ჯარისკაცების შეძენა. უკრაინაში დღეს მიმდინარე პრო-ცესები უკრაინელ ხალხს სასიკე-თოს რომ ვერაფერს უქადის, ესეც ნათელია, რადგან სახეზეა მცდე-



ლობა მომარიონეტე ხელისუფ-
ლებათა მიერ მართული ბუფერუ-
ლი ზონის შექმნისა რუსეთსა და
ევროპას შორის, რათა მოხდეს
ერთგვარი დესტაბილიზაციის
სარტყელის ჩამოყალიბება რუსე-
თის გარშემო. ეს კი კარგს არა-
ფერს უქადის არამარტო უკრაი-
ნას, რომელიც, როგორც სახელ-
მწიფო, უკვე აღარ არსებობს,
არამედ ევროპასაც, რომელიც სა-
ბოლოოდ დაკარგვას ფორმალურ
სუვერენიტესაც კი და ბოლომდე
გახდება ამერიკაზე დამოკიდებუ-
ლი ვასალი.

მიუხედავად ამისა, დღეს საქართველოს ხელისუფლება კვლავ ნატოს ერთგულებაზე დებს თავს. რატომძაც დავიწყდა, რომ 2008 წელს დასავლეთის ქვეყნების მიერ კოსოვოს აღიარებამ შექმნა ყველა წინაპირობა, სააკავშიროის სამხედრო ავანტიურის შემდეგ რუსეთს აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ელიარებინა. ნატოს გაკვეთილი, რომელიც 1999 წლის 24 მარტს მასირებული დაბომბვით დაიწყო და 9 წლის შემდეგ კოსოვოს აღიარებით დაგვირგვინდა, ვერც ჩვენმა ხელისუფლებამ დაისწავლა.

ბოსტონის უნივერსიტეტის
პროფესორ ენდრიუ ბაჩევიჩის
აზრით, ეს დაბომბვები „უნდა
ქცეულიყო გაკვეთილად ყველა
ევროპული სახელმწიფოსთვის,
რომელთაც ილუზიები აქვთ, რომ
მათზე არ ვრცელდება ცივი მმის
შემდგომი საერთაშორისო ურ-
თიერთობების ახალი სისტემის
ნორმები და წესები“, რომლებიც
ვაშინგტონმა დაამკვიდრა. „უმ-
ნიშვნელოვანესი იყო აშშ-ის ჰე-
გემონის დამყარება გაერთიანე-
ბულ, ინტეგრირებულ და თავი-
სუფთალ ევროპაში.

ცნობილ სერბ გენერალსა და
სამხედრო მოღვაწეს, სერბეთის
რესპუბლიკის ჯარების შტაბის
უფროსს (1992-1995) რატკო მლა-
დიჩის თანამემამულეები გმირად
მიიჩნევენ. „მლადიჩი თავისუფ-
ლების სიმბოლოა. მლადიჩი დაუ-
მარცხებელი სერბი გმირია. იგი
სერბეთის რესპუბლიკისათვის

უკვდავია. ჩვენ მას არასოდეს მი-
ვატოვებთ. დღეგრძელობა რატ-
კო მლადიჩს!“ — ბალკანეთის
ომის ყოფილი ვეტერანის, ბოსნი-
ელი სერბის — ნენად ბატკოვიჩის
ეს სიტყვები ამის დასტურია.

„ფაქტობრივად, არ არსებობს სერბი, რომელიც გულგრილი იყოს გენერალ რატკო მლადიჩის საქმის მიმართ. ჰააგის ტრიბუნალი პრინციპული და მიუკერძოებელი რომ იყოს ყველა ეჭვმიტანილის მიმართ, ასევე, ყველა მხარის მიმართ, რომლებიც მონაწილეობდნენ სამხედრო კონფლიქტში ყოფილი იუგოსლავის ტერიტორიაზე, გენერალი რატკო მლადიჩი, დარწმუნებული ვარ, მის ნინააღმდეგ ბრალდების ნამოყენებისთანავე თავად წავიდოდა ჰააგაში. გენერალ რატკო მლადიჩის საქმეს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ერთი მხრივ, იგი იყო სერბეთის რესპუბლიკის არმიის სამხედრო მეთაური; მეორე მხრივ, რადგან არმია სახელმწიფოსა და ხალხის რაინდულ ძალას წარმოადგენს, იგი ასევე არის სერბეთის

რესპუბლიკის, ყველა სერბის რა-ინდული ღირსების განსახიერება“, — წერს პოლკოვნიკი, დოქტორი რადე რაიჩი. ეს ციტატა ამოღებულია ცნობილი სერბი შურნალისტის — ლილიან ბულატოვიჩის ნიგნიდან, რომლის ფრაგმენტების თარგმანს ქვემოთ გთავაზობთ.

ლილიან გულაშვილი რატ-
კო მლადიჩს პირველად 1994 წლის
8 იანვარს, სერბეთის რესპუბლი-
კის ხან-პისეკში შეხვდა, როცა
იტალიელი უურნალისტებისთვის
გენერლის ინტერვიუს ორგანიზე-
ბა ითვა.

როცა რატეკო მლადიჩს ჰქონითხეს ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში ომის მოტივების თაობაზე, მან თქვა: „ვოცნებობ იმაზე, რომ ომი აღარასოდეს იყოს. რომ თვით სიტყვა „ომიც“ კი აკრძალონ ადა-მიანებმა... რომ იარაღი სათამა-შოების სახითაც არ გამოუშვან, — და განაგრძო, — ომმა ბალკა-ნეთში დაარღვია მშვიდობა მთელ მსოფლიოში. ამერიკის შეერთე-ბულმა შტატებმა, მსოფლიო ამ

კოლიციელმა, მოიგონა და სხვა-
დასხვა მაქინაციების მეშვეობით
შექმნა გაერთიანებული გერმანია
ევროპის გასაკონტროლებლად,
რათა გაერთიანებული ევროპა
მისი გიგანტური კონკურენტი არ
გამხდარიყო. შეიძლებოდა გვეთ-
ქვა, ახლომხედველმა აშშ-ის საგა-
რეო პოლიტიკამ ვერ გათვალა ევ-
როპაში იარაღის გამოყენების სა-
შიშროების შედეგები, რადგან მა-
ნამდე ამერიკელებს ჯუნგლებში
მცხოვრები ტომების წინააღმდეგ
ომის გამოცდილება გააჩნდათ
მხოლოდ. ამასთან, ცნობილია,
რომ გერმანია დაინტერესებუ-
ლია, გახდეს იარაღის ქარხანა ამ
რეგიონისთვის. აქვეა ისლამიც,
რომელსაც, მართალია, არ აქვს
ატომური ბომბი, მაგრამ გააჩნია
დემოგრაფიული ბომბი და საკუ-
თარი ურყევი მიზნები. ბადკანე-
თი კი სასწაული მინაა. ფრინვე-
ლებიც კი სამხრეთისკენ ბალკა-
ნეთის გავლით მიფრინავენ“.

ელაზიჩის ინტერვიუ ითალიელ შურპალისტის

1994 წლის მაისი

„კორიერე დელა სერას“ კორეს-პონდენტი ეკითხება რატკო მლა-დიჩს:

— რომელ სტადიაშია დღეს ომი?

— ეს უნდა ვკითხოთ „ომის ლმერთებს“, მაგრამ ისინი არ არიან არც ყოფილ იუგოსლავის სივრცეში, არც ყოფილ ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში. ისინი არიან სადღაც იქ, ძლიერ ქვეყნებში, რომელთაც იცავს ნატოს ავიაცია ისევე, როგორც ბალკანეთში მათი დავალებების შემსრულებლებს. მე მინდა, რომ ამ მომენტიდანვე შეწყდეს ომი და საერთოდ აღარ იყოს, სანამ ადამიანები ცხოვრობენ პლანეტაზე სახელად დედამინა.

აქეთ რომ მოეგზავნებოდით,
ნახავდით პატარა სასაფლაოს.
ახალი საფლავებია, უდანაშაულო
ადამიანების საფლავები. ცოტა
ზემოთ წინა ომის ძეგლი დგას.
2400 სერბია აქ მოკლული. თქვენ
შეგიძლიათ ნახოთ სერბული მო-



ნასტერიც, მის წინ კი — წყლის
წისქვილი, რომელშიც გერმანელ-
მა ფაშისტებმა სერბი ბავშვები
დაწვეს. სადილის შემდეგ გაეტა-
ზავრებით ფრონტის წინა ხაზზე,
ნახავთ სოფლებს, რომლებიც
მუსლიმებმა გადაწვეს, გაესაუბ-
რებით ადამიანებს, რომლებმაც
მოახერხეს ამ სოფლებიდან გა-
მოქცევა. მათი ნათესავები და ახ-
ლობლები კი დაიღუპნენ და იმ
საფლავებში წვანან.

ମାତ୍ରାକ୍ରିଏଟ, ରନ୍ଧା ସାବାତ୍ଫଲାଓନ୍ଧୀ
ଗ୍ରେଲାପାର୍କାଙ୍ଗେବୁଟ, ମାଗ୍ରାମ ମିନଙ୍ଗା,
ରନ୍ଧା ଦ୍ୱାର୍ଜେବୁଟିଲେ ସିଲାମାନ୍ଦିଲେ ଅଲନ୍ତେରିଲେ
ଗାରଙ୍ଗା, ରନ୍ଧାମେଲିପି ହିଙ୍ଗେନ୍ ଗାରଶେମା,
ଅମ ନର ସାବାତ୍ଫଲାଓଲେ ମିନାକ୍ଷିଣିତ ପୁଣ୍ୟ-
ରାଧାର୍ମ୍ଭା, ମିନିତ୍ରମ୍ଭ, ରନ୍ଧା ପିତ୍ରାଲ୍ପିଲେ
ସାଥିଗାନ୍ଧୋର୍ମିଳିବୁଟିଲେ ଉତ୍ତରିଲେ ଚନ୍ଦିନ୍ଦି-
ଲ୍ଲି ଅର ଅରିଲେ ଅରପ୍ରି ହରତି ଶେରବୀ, ରନ୍ଧା-
ମେଲିପି କୋରିବାତି ଆ ମୁଖସଲିମିଯୁରି
ଦାଲିବୁଟିଲେ ମିନ୍ଦର ଅରିଲେ ମର୍ମାଲ୍ଲିଲ୍ଲି.

თუ გავითვალისწინებოთ, რომ „ომის ღმერთები“ პერ კიდევ ვერ განახორციელეს თავიანთი მიზნები, ვერც იუგოსლავის დანაცველება მოახერხეს, ვერც სერიტ ხალ-სით დასახლებული ტერიტო-რიების, ოპტიმისტი ვერ ვიქ-ნები. მათ ხელშია ომის გამრ-ელების საკითხის გადაწყ-ვება. მაგრამ რადგან პერ კი-დევ არ გადაუტანიათ ნატოს პაზეპი ტერიტორიებიდან, სადაც მათი არსებობა არასა-სურველია, სხვა, უცრო იაფ ტერიტორიებზე აღმოსავლე-თით, სავარაუდოა, რომ ისი-ნი კიდევ შეგმინიან ახალ ბა-ზებს ტუზლასა და სკოცლეს გარდა. ცოტას ამოისუნიძე-ვინ, ქალას მოიპოვებან აღმო-სავლეთი თასაცევად.

— გენერალო, არ დაგავიწყდეთ, რომ აღმოსავლეთის ქვეყნები ზუსტად ის ქვეყნებია, რომლებ-საც ნატოში გაერთიანება სურთ.

— დიახ, დიახ, — რატე მლადილის ხმაში ირონია უღერს, — მთელი ხალხი რიგში ჩადგა, ნატოს ხელები რომ დაუკოცნოს და ღმერთს შეთხოვოს ნატოში სწრაფად მიღება. **ნატოსპერ** ისტორიაზვიანი ისინი, ვინც საპუთარი ხალხის ინტერესებს უღალატის.

— მე ვლაპარაკობ რუმინეთზე,
პოლონეთზე, რუსეთზე...

— არ მსურს, ვუპასუხო პოლი-
ტიკურ შეკითხვებს, მაგრამ ვიცი,
რომ იტალიას არ სურს ნატოს ბა-
ზა თავის ტირიტორიაზე იხილოს.

— მაგრამ ნატოს ნამდვილად
სურს მშვიდობა.

— (რატკო მდლადიჩიჩა გადაიხარ-
ხარა) ამაში დამარნმუნებდით, თუ

ნატო აღმოსავლეთის ბლოკის ატომური ქობინების განადგურების პარალელურად, გაანადგურებდა თუნდაც თავის ერთ დაუანგულ შაშხანას! და თუ დამარჩმუნებდით, რომ ნატო, როგორც რეგიონული ორგანიზაცია, დარჩებოდა იმ ქვეყნების ჩარჩოებში, რომლებმაც იგი შექმნეს, რათა დაიცვას მათი ძირძველი ტერიტორიები. როგორც ვიცი, **სერბისალები** ამ მაში არ დამჟრო-

କରା ଦ୍ୱାତିମ୍ବସ ଟେବେଳ ଏରତ କେ-
ପୁରୀରେ, ଏରତ ଏରତ ଜୀବନିସପା-
ତିତ, ଏରତ ଏରତ ସାମର୍ଶ୍ୟକରଣ ଯେ-
ବ୍ୟାଏରତିତ ଏବଂ କରମାଣିଗରେ ସାଥେ
ଦୂରାଧିତ. ଫେରିତ, କାତିମନ୍ୟ-
କର, କରତା ଦ୍ୱାତିମ୍ବସ ପଲ୍ଲୋକିଲ ଗାନ୍ଧି-
ଚକ୍ରାବ୍ୟାକାଶ ଲ୍ଲାଙ୍କାରକାପରିତ.
ରାତ ଶୁଭରମ ଧବିବାର ଧାରିଥାପତ,
ତହାରେତିବେଳେ ଏହା ଉତ୍ତାଣିଗ୍ରେ-
ବିଶିଷ୍ଟବ୍ରିଦ୍ଧିରେ ଶୁଭରାତ୍ରି ଉପରେକା.

ახლა კი შემიძლია ვკითხო უურნალისტს?

ნატოს პლოკი შეიქმნა მისი
ცენტრი ევროპის ინტერესე-
ბის დასაცავად. გადასახადის
გადამხდელებს მაშინ უსსიღნენ,
რომ ეს აუცილებელი იყო ვარშა-
ვის ხელშეკრულებისა და კომუ-
ნიზმის მხრიდან მომდინარე საფ-
რთხის თავიდან ასარიდებლად.

କେବ୍ଳା, ରନ୍ଧ୍ରା ବାରମ୍ବାଗୀରୁ କେଲିଶ୍ଵରଙ୍ଗୁ-
ଲ୍ଲେବା ଦାଶଲିଲୋଇବା, ନାତ୍ରୀରୁ ଆଶ୍ରମକୁ-
ବା ରିତ ଶ୍ରୀକିଷ୍ଣଙ୍କୁ ଦା ଆଖେନାବା? ମାତ୍ର
ଶେମଦ୍ଦେଶ, ରାଜୁ ଅମ କେଲିଶ୍ଵରଙ୍ଗୁଲ୍ଲେବିଲେ
ନେବର୍କେବିଦିମା ଗାନ୍ଧାରମର୍ତ୍ତିକୀଲ୍ଲେଶ ଦେଶି-
ଲୀତ୍ରାରିତ୍ତିଆପିବା ଦା ଗାନ୍ଧାରୀବିନ୍ଦୁଲ୍ଲେଶ
ସତ୍ରାତ୍ମିକାଗିଲ୍ଲେ ଦିରିତବ୍ୟାଲ୍ଲୀ ନାରା-
ଲୀ, ରନ୍ଧ୍ରା ବାରମ୍ବାଗୀରୁ କେଲିଶ୍ଵରଙ୍ଗୁ-
ଲ୍ଲେବିଲେ ଶ୍ରୀରାମାଲ୍ଲେଶିଲ୍ଲୀ ଦାଲ୍ଲେବି ନ୍ତା-
ବିନ୍ଦୁନ୍ଦେଶ ଘେରମାନିଦିବାନ୍ତି, ଉନ୍ନଗରେତି-
ଦାନ୍ତ, ତେଲିନ୍ଦ୍ରାତିଦାନ୍ତ, ଶୈଲାର୍ଜୁଶି-
ଦାନ୍ତ? ଗାନ୍ଧା ନାତ୍ରୀରୁ ଜୀବାରିକୁବାପ୍ରେବି ଦା
ଅଭ୍ୟାସିକର୍ତ୍ତାଙ୍କ ଏହିପରିବାଦିଲ୍ଲୀ
ମୁଖ୍ୟମିଲ୍ଲୀମୁଖ୍ୟରୀ ଦା ବାରମ୍ବାତ୍ତିକିଲେ

არმიების ტანსაცმელში?! განა
მათ არ აცვიათ თეორი ფორმა ევ-
რობის თანამეგობრობის, გაეროს
დამკვირვებლების? განა მათ არ
ახურავთ ცისფერი მუზარადები
და შენიბლული არიან მასობრივი
ინფორმაციის სხვადასხვა საშუა-
ლებათა ჟურნალისტების ტან-
საცმლით? აი, ახლა კი ველოდები
პასუხს...

— (უპასუხებს „კორიერე დელა სერას“ ჟურნალისტი) პასუხი მოკლეა. მე შემიძლია დაბეჭითებით განვაცხადო, რომ ნატოს, როგორც ვხედავთ, არ აქვს აგრესიული მიზნები არც იუგოსლავის, არც რომელიმე სხვა ქვეყნის მიმართ. გარკვეულ მომენტში ნატომ თავიდან აგვაცილა ბირთვული ომი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. ვიზიარებ, რომ ნატოს ძალები არ უნდა მოსულიყვნენ ყოფილ იუგოსლავიაში, მაგრამ ნატო მიიჩნება გაეროს უშიშროების საბჭომ, რადგან გაერომ ბევრი შეცდომა დაუშვა...

დაგისვამთ თუ არა ოდესმე შეკითხვა საკუთარი თავისთვის, დაგიშვიათ თუ არა რაიმე შეცდომა მიღდინარე ომში?

— ჩევენთან ამბობენ: არ არსებობს ხე უფორთლებოდ, არ არის უშეცდომო ადამიანი. ვცდილობდი, მემოქმედა უშეცდომოდ. გამომეყენებინა ყველა ჩემი შესაძლებლობა ხალხის დასაცავად.

დრო, რომელშიც ვცხოვრობთ, გამოაგზავნებას ყველა მიიმვწელოვან პიროვნებას, რომლებიც მონაცილეობდნენ აგ და, აგრეთვე, სხვა მოეპში. ისტორიკოსები და ჟურნალისტები შემდგომ იტყვიან, ვინ ვინ არის. მამშვიდებს ის, რომ მევიცავ საკუთარ ხალხს და ვორობ ჩემს მინაზე იმისთვის, რათა დავიცვა ის, რაც ოდითგან ჩვენ გვეკუთვნის. და ვფიქრობ, რომ არ ვცდები. მე ჭეშმარიტების მხარეს ვარ. **მე რომ მივსულიყავი ავღანეთში ან ერაყში ადამიანების მოსაკლავად, ან ჩემი მფრინავი გვიგის სავისი მიწის ან ქვეყნის დაბობვის პრდანების მისაცემად, მე შემრცხვევაზოდა.** ასეთ გადაწყვეტილების მიზანი არ არის უშეცდომო ადამიანი. ვცდილობდი, მემოქმედა უშეცდომოდ. გამომეყენებინა ყველა ჩემი შესაძლებლობა ხალხის დასაცავად.

ვეტილებას ვერ მივიღებდი.

— შემიძლია გკითხოთ, ვინ გიხდით ფულს? ვისგან იღებთ ფულს და ვის უხდით გადასახადებს?

— მე ხელფასისთვის არ ვმუშაობ, გჯეროდეთ, რომ ძალიან მდიდარი ვარ, რადგან მაქვს შესაძლებლობა ხალხისთვის მიცემის და არა მისგან მიღების. ხალხი აფასებს იმათ, ვინც მას აძლევს. **ჩემი ცხოვრების აზრი ის არის, რომ მივთე ხალხს ყველაფერი, რისი მიცემაც ამ მათმა თუთებში შემიძლია.**

გენერალ რადოგან რადიომოგირის მონათხოვიდან

„ჰააგის ტრიბუნალი სავსეა საზიზღარი, სამარცხვინო, მოწმეთა მიერ კარნახით დაწერილი ჩვენებებით. ის მოწმენტიც კი, რომელიც ვიდეოზე იყო გადაღებული და ასახავდა, თუროგორ ურიგებს მლადიჩი ბავშვებს კანფეტებს, წარმოგვიდგინეს, როგორც გენერლის ფარისევლობა: თითქოს მან ეს კანფეტები გადაღების შემდეგ ბავშვებს წაართვა.“

ასეთი რამ ნარმოუდგენელია გააკეთოს ნებისმიერმა ადამიანმა, მით უფრო ისეთმა, როგორიც მლადიჩია, როგორსაც ვიცნობთ. ცხადია, რომ ასეთი ყედლობით მიზანმიმართულად ცდილობენ, შექმნან დამნაშავის ხატი. მთელი ომის განმავლობაში იგი მშვიდობისკენ იღტვიდა, მაგრამ იღტვიდა ისეთი მშვიდობისკენ, რომლის დროსაც სერბეთის მხარე ისეთივე სუვერენიტეტს მიღებდა, როგორსაც მუსლიმები“.

ამონარიდი ინტერვიუდან პომპანია სი-ენ-ენ-ს 1995 წლის 13 აგვისტო

„ჩვენს ხალხზე გამოსცადეს დღემდე არსებული ყველა სახეობის იარაღი წყალქვეშა ნავებისა და ბირთვული იარაღის გარდა. მე პირადად ვიყავი იქ და მაშინ, როცა გვბომბავდა „ფ-16“ და მისნაი-



**გენერალი რატკო მლადირი სარაევოს აეროაორტში
მოლაპარაგების დროს, 1993 წლის ივნისი**

რი თვითმფრინავები. იმ მომენტში ჩვენ მძიმედ განვიცდიდით არა მხოლოდ იმას, რომ იღუპებოდა ჩვენი ახალგაზრდობა, არამედ იმასაც, რომ უგვანო გადაწყვეტილება მიიღეს იმ ამერიკელების შთამომავლებმა, რომლებიც ჩვენი მამებისა და პაპების მხარდამსარ იბრძოდნენ პირველ და მეორე მსოფლიო ომებში... რომლებიც ჩვენ მხარეს იბრძოდნენ ფაშიზმის ნინაალმდევ! მაშინ ისინი, ვისაც დღეს მხარს უჭერენ ამერიკელები, მეორე მხარეს იდგნენ — ავსტრო-უნგრელების ან ჰიტლერელთა ურდოების მხარეს“.

ახალი ფლის მილოცვა

რატკო მლადიჩი ახალ, 1996 წელს შეხვდა პატარა ქალაქ ხანპიესაჟში, საბრძოლო მეგობართა წრეში. ლილიანა ბულატოვიჩმა მოიპოვა გენერლის მიმართვის ჩანაწერი თანამებრძოლებისადმი. გთავაზობთ ფრაგმენტს:

„გთხოვთ, იზრუნოთ ჩვენს დებაზე, ჩვენს ქალიშვილებზე, ჩვენს დედებზე, განსაკუთრებით გაუზრითებილდით ჩვენს დედას — სამშობლოს. რადგან, რაც უნდა გააკეთოთ, რასაც გინდა მიაღწი-

ოთ ცხოვრებაში, ვერასოდეს დაუბრუნებოთ ვალს ვერც დედას, რომელმაც გვპათ, ვერც — დედასამშობლოს“.

„პარლო, მაღამ!“

„რატკო მლადიჩი წინააღმდეგი იყო მოლაპარაკების, რომელსაც ჯიმი კარტერი სერბეთის რესპუბლიკის ხელისუფლებასთან აწარმოებდა. ერთ-ერთ შეხვედრაზე გენერალთან მივიდა აშშ ყოფილი პრეზიდენტის ცოლი როზალინი და აცნობა, რომ მან ჩამოაყალიბა ფონდი, რომელიც აფინანსებს სამხედრო დოკუმენტაციის შეკრებისა და შენახვის საქმეს.

„ჩვენ ვიცით, რომ თქვენ ყველაფერს იწერთ და რომ გაქვთ სამხედრო დღიურები, — უთხრა მან გენერალს, — მესიამოვნება, თუ დაგვითმობთ მათ. აი თქვენ ჩვეი, ჩანაწერითან ჩანაწერითან, რომ გადაგიხადოთ“. რატკომ ერთი კი შეხედა ამ ქალბატონს და დინჯად წარმოთქვა:

„მადამ, ჩვენი ისტორია ფასდაუდებელია“. მლადიჩმა ყოფილ პირველ ლედის ხელი არ გაუწოდა“.

**მომზადდა რუსული
პრესის მიხედვით**

მოსკოვის დატოვებაზე სტალინის ლაპარაკე ვერავის გედავდა

საყოველთაოდ ცნობილია, რა ძალა ჰქონდა სტალინის სიტყვას, რომელსაც ელოდებოდნენ, ისმენდნენ, რომელიც რწმენად უყალიბდებოდა ათეულ მილიონობით ადამიანს. ეს ისტორიული ფაქტია, რომელსაც მისი თანამედროვენი ადასტურებენ. მწერალი და პოეტი სერგეი მიხალევი წერს: „გვინდა თუ არა დღეს, ვალიაროთ, მაგრამ სწორედ მისმა გამოსვლამ, ორმოცდაერთში, რომელიც იწყებოდა სიტყვებით „ძმებო და დებო!“ გამოიწვია სრულიად განსხვავებული ასაკის ადამიანების არნაზული



ენთუზიაზმი. ისინი მოხალისებად წავიდნენ გამწვევ პუნქტებზე. სიტყვის რწმენა უზარმაზარი რწმენაა მაშინ, როცა მას ავტორიტეტული ადამიანი წარმოთქვამს, ხოლო იმის უარყოფა, რომ სტალინი მილიონებისთვის ავტორიტეტული პიროვნება იყო, შეიძლება ან ჭეუანაკლებობით, ან ბოროტი ჩანაფიქრით აიხსნას“. სტალინის სჯეროდა არა მხოლოდ „მშრომელთა მასებს“, არამედ ცნობილ მხედართმთავრებსაც.

ფელიქს ჩუევი იხსენებს: „ყოფილი მხედართმთავრები მიყვებოდნენ, რომ, როცა 1941 წელს ფრონტებიდან მოსკოვში ჩამოდიოდნენ, რეკავდნენ კრემლში, ძირითადად, იმიტომ, რათა გაეგოთ, გაემგზავრა სტალინი თუ არა. როგორც კი გაიგებდნენ, რომ მოსკოვში იყო, უმაღვე უჩნდებოდათ გამარჯვების რწმენა“. უკიდურესად კრიტიკულ სიტუაციაში, როცა ფაშისტები მოსკოვის შემოგარენს მიადგნენ, სტალინი დედაქალაქში დარჩა და იქედან ხელმძღვანელობდა ფრონტებზე მიმდინარე ოპერაციებს. პირადი მაგალითის ძალა მოსკოვისთვის ბრძოლაში კიდევ ერთხელ დადასტურდა. ჩვენი დღევანდელი პუბლიკაცია ამაზეა.

ის, რომ სტალინი უაქიმეს ვერავიდუ მოსკოვიდან არ წავიდა, არამარტო კირალი ჩრდენისა და გაეხვდაობის უაღებელი იყო, არამარტო ანალიტიკური გათვალისა და უკვასების. ჭავახარიტი სახელმწიფო მოღვაცის უკირველესი მასალისათვალი ცეორგე ეს არის.

პირადი მაგალითის ქაღა

მოსკოვისთვის ბრძოლას (1941 წლის დეკემბერი-1942 წლის აპრილი) უდიდესი პოლიტიკური და სამხედრო სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა.

ცნობილია, რომ აქ და შემდეგ სტალინგრადში გადაწყდა ომის

ბედი, დასამარდა ჰიტლერის გეგმა ბლიცკრიბის.

ფაშისტი დამპყრობლების მოსკოვზე შეტევის მეორე ეტაპზე გერმანელებმა უბრძოლველად დაიპყრეს ორიოდი და ბრიანსკი, ალყაში მოაქციეს საბჭოთა ჯარების ორი დაჯგუფება (ორი არმია ბრიანსკთან და ოთხი — ვიაზმასთან). ჰიტლერი დარწმუნებული

იყო, რომ ეს საბჭოთა კავშირის დასასრულის უტყუარი ნიშანი იყო. გამარჯვებას წინ არაფერი ედგა. გერმანიის პრესა და რადიო იუნივერსალი, რომ მოწინააღმდეგე განადგურდა.

მესამე რაიხი მოსკოვში საზეიმო აღლუმის გასამართავად ემზადებოდა.

12 ოქტომბერს გერმანელებმა



ხელთ იგდეს კაშირი, 14-ში — კალინინი, მიუახლოვდნენ ტულას. კიდევ ერთი ნახტომი და მოსკოვის დაცემა გარდაუვალი ჩანდა.

ბერიამ და ალექსანდრე შჩერბაკოვმა, პარტიის მოსკოვის საქალაქო და მოსკოვის საოლქო კომიტეტის ბის პირველი მდივანი შჩერბაკოვი იძულებულია, გამოვიდეს რადიოთი და დამშვიდოს მოსახლეობა:

— გერმანელების ტანკები უკვე ოდინცოვოშია. ფრონტთან კავშირი გაწყვეტილია. თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გადაწყვეტილებით, უნდა დაინაღმოს ყველა დიდი ქარხანა და მნიშვნელოვანი ობიექტი. თითოეული რაიონიდან 500-500 კაცი დატოვეთ მოსკოვის დასაცავად. ბავშვები და მოხუცები ლამით გაიყვანეთ მოსკოვიდან. მათი სრულად ევაკუირება აუცილებელია. პროდუქტები, რაც კი გაქვთ, დაურიგეთ მოსახლეობას. მტრის არც ერთი გრამი არ უნდა დარჩეს.

კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატში აირია ყველაფერი. სრული ქაოსია — ყველა კაბინეტის კარი ღიაა, დაბნეული თანამშრომლები დოკუმენტების შეკვრებს ეზიდებიან, არ იციან, გაანადგურონ თუ ევაკუაციაში თან წაიღონ, პანიკა აშკარაა.

სახალხო კომისარი ლაზარ კაგანოვიჩი არნახულად აღზინებულია, ბრძანებებს არიგებს მარჯვნივ და მარცხნივ, მაგრამ ვინაა შემსრულებელი ან შემმონმებელი ვინაა? და სწორე იმ კაცისგან, რომლის სახელიც მინიჭებული ჰქონდა მოსკოვის მეტროპოლიტენს, თანამშრომლები იღებენ დავალებას:

— მეტროპოლიტენი დახურეთ. სამ საათში მოამზადეთ წინადადებები მისი განადგურების შესახებ, ობიექტები ნებისმიერ საშუალებით უნდა გაანადგუროთ!

გაიცა ბრძანება ადამიანების ანდიუნში ევაკუირების თაობაზე.

— რისი ევაკუირებაც შეუძლებელია, განადგურდეს! ყველაფერი მწყობრიდან გამოიყვანეთ!

საკალხო კავშირი აცხადებს, რომ მტერმა მოსკოვი მოულოდნელად შეიძლება დაიპყროს.

ქალაქში პანიკაა.

პარტიის მოსკოვის საქალაქო და მოსკოვის საოლქო კომიტეტების პირველი მდივანი შჩერბაკოვი იძულებულია, გამოვიდეს რადიოთი და დამშვიდოს მოსახლეობა:

— სტალინი მოსკოვშია და ჩვენ ყველანი მოსკოვისთვის გააფთრებით, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებთ.

მრავალი წლის შემდეგ ვიაჩესლავ მოლოტოვს შეეკითხებიან:

— ამბობენ, რომ 1941 წელს პოლიტიკურობი კენჭი უყარეს საკითხს, დაეტოვებინათ თუ არა მოსკოვი, მტრისთვის ჩაბარებინათ თუ არა. მართალია?

— არა, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გვემსჯელა ამაზე!

— ალმაზოთებულა უკვე ხანში შესული ვიაჩესლავ მიხაილოვიჩი, — სისულელეა. აბსოლუტური სისულელე! გაფიქრებაც არ შეიძლებოდა. იმ მომენტში ამ საკითხზე კენჭისყრა ლალატს ნიშნავდა... უმრავლესობა-უმცირესობა რომ ყოფილიყო, ამ უმცირესობას გაანადგურებდა უმრავლესობა, რადგან ჩაბარებაზე ლაპარაკიც კი ლალატი იქნებოდა.

მოსკოვის ჩაბარებაზე ჭორი იმიტომაც გავრცელდა, რომ იყო მომენტები, როცა უკვოვი, რომელსაც მოსკოვის დაცვა ჰქონდა დავალებული, სწორედ ასეთ წინადადებას აყენებდა.

ავიაციის მთავარი მარშალი გოლოვანოვი თავის წიგნში „შორეული ბომბდამშენი“ ადასტურებს უკვოვის კაპიტულანტურ პოზიციას...

ალბათ, დროა, შევეხოთ სტალინის ხასიათის ერთ განსაკუთრებულ თვისებას, რომელსაც იშვიათად შევხვდებით ადამიანებში: თუ საქმე კარგად მიდის, ისინი გულჩათხრობილი ხდებიან; თუ რაღაც არ გამოდის, მათი სიმშვიდე და ოპტიმიზმი გასაოცარია.

— სტალინიც ასე იყო, — იხსენებს იკობ ჩადაევი, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს საქმე-

თა მმართველი, — მაშინ, როცა მოვლენები განსაკუთრებით კარგად ვითარდებოდა, ხასიათი უფუძლებოდა, უაღრესად მომთხოვნი და მკაცრი ხდებოდა. ხოლო თუ პორიზონტზე შავი ღრუბელი გამოჩნდებოდა, როცა ჩვენი არმია უკან იხევდა, საბჭოთა ქალაქებს ერთი მეორის მიყოლებით მტერი იპყრობდა, სტალინი თავშეკავებული იყო, დიდად მომთხები, თითქოს მოვლენები მშვიდად და უღრუბლოდ ვითარდებოდა. რით შეიძლება ამის ახსნა? როგორც ჩანს, იმით, რომ სტალინს პესიმიზმი ან გულგატებილობა რომ გამოემუდავნებინა, მისი ასეთი განწყობილება დამთრგუნველად იმოქმედებდა სხვებზე, დაბნევდა მათ.

ხოლო წარმატებათა შემთხვევაში სიმკაცრისა და მომთხოვნებლობის გამოჩენა მოდუნების საშუალებას არ აძლევდა საქმეზე პასუხისმგებელ ამხანაგებს.

აქედან კი პანიკურ განწყობილებამდე, „პორაჟენცობამდე“ — დამარცხებამდე ერთი ნაბიჯიდარება.

უკვოვის მაგალითი, რომელიც ზემოდ დავასახელეთ, თუნდაც ეს ერთი, ამის დამადასტურებელია.

სტალინი რეალობის გრძნობას არასოდეს კარგავდა, მისი გადაწყვეტილებებიც ყოველთვის რეალურ ვითარებას ეფუძნებოდა, პერსპექტივას ამ რეალობის ლოგიკიდან გამომდინარე ხდავდა.

კატასტროფა კარს იყო მოგზარი

1941 წლის 16 ოქტომბრის დილას განსაკუთრებით საგანგაშო და უკიდურესად არასასურველმა ნიშნებმა იჩინა თავი: დედაქალაქის სააგარაკო ადგილებიდან 25-30 კილომეტრში გერმანელი მოტოციკლისტები გამოჩნდნენ. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მოსკოვზე შეტევა შეიძლებოდა დღე-დღეზე დაწყებულიყო.

დილის 9 საათზე სტალინმა თავის კაბინეტში გამოიძახა პოლიტიკუროს წევრები: მოლოტოვი, მა-



ლენკოვი, ვოზნესენსკი, შჩერბაკვი, კაგანოვიჩი, მიქოიანი.

განსაკუთრებული მღელვარება არ ეტყობოდა. მოკლედ აუხსნა შეკრებილებს, რა მდგომარეობა ჩამოყალიბდა, უთხრა, რომ ჩვენი ჯარების ახალი ნაწილების მოსვლამდე გერმანელებს შეეძლოთ სწრაფად გადმოესროლათ თავიანთი რეზერვები და გაერღვიათ მოსკოვის ფრონტი. აქედან გამომდინარე, დაავალა თათბირის მონაწილეებს, სასწრაფოდ გაეყვანათ ქალაქიდან მთავრობა, გამოჩენილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწეები, რომლებიც მოსკოვში იყვნენ დარჩენილები, გაემზადებინათ ქალაქი გერმანელების შესაძლო შემოჭრის შემთხვევისთვის. ჩამოთვალა ღონისძიებები, რომელთა განხორციელებაც მტერს საშუალებას არ მისცემდა, ესარგებლა დედაქალაქში არსებული სამრეწველო პოტენციალით საბრძოლო მასალის საწარმოებლად.

მოსკოვის სამხედრო ოლქის სარდალს დაევალა, სასწრაფოდ შეემუშავებინა ისეთი გეგმა, რომელიც მთლიანად მოსკოვს თუ არა, მის ცალკეულ ნაწილებს მაინც დაიცავდა ძირითადი რეზერვების მოსვლამდე. როგორც კიჩამოვიდოდა რეზერვი ციმბირიდან, ორგანიზებული იქნებოდა გარღვევადა გერმანელებს მოსკოვიდან განდევნიდნენ.

— სტალინმა თქვა, — იხსენებს ანასტას მიქოიანი, — რომ მთავრობა და უცხოეთის საელჩოები ევაკუირებული უნდა იყოს კუიბიშევში, სახალხო კომისარიატები — სხვა ქალაქებში. მოლოტოვს და მე დაგვავალა, დაუყოვნებლივ გამოგვეძახებინა ყველა სახალხო კომისარი, განგვემარტა მათთვის, რომ სასწრაფოდ, ერთ დღელამეში მოეხდინათ ყველა სახალხო კომისარიატის ევაკუაცია.

ევაკუაცია ნიშნავდა უკანდახევას, უკანდახევა — მტრისთვის მოსკოვის ჩაბარებას.

ასე იქნებოდა.

მაგრამ ასე არ მოხდა — მოსკოვის მტრისთვის ჩაბარებაზე ვამბობ.



16 ოქტომბრის თათბირზე სტალინმა პოლიტიკიუროსა და თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის ყველა წევრს მოსკოვიდან იმ დღესვე გამგზავრება შესთავაზა.

— მე ხვალ დიღით გავემგზავრები, — დასძინა მან.

„მე ვერ მოვითმინე, ამბობს ანასტას ივანოვიჩი, და ვკითხე: „თუ შეიძლება, რომ შენ ხვალ გაემგზავრო, ჩვენ დღესვე რატომ უნდა გავემგზავროთ? ჩვენც ხვალ შევძლებთ გამგზავრებას“... და მტკიცედ დაუუმატე: „მე ვრჩები და ხვალ შენთან ერთად გავემგზავრები“.

ძნელია იმის თქმა, რა უფრო მეტია მოგონების ამ ფრაგმენტში — ფარისევლობა თუ თავის გამოჩენის სურვილი...

ან, იქნებ, მართლა გულწრფელად იყო ნათქვამი.

ახლა ამის გარჩევის დრო არ არის. მთავარია გავარკვიოთ, აპირებდა თუ არა სტალინი მოსკოვის დატოვებას.

„იმ ნიჩებით გაითხარონ საფლავები“

აპირებდა თუ არა, თორემ რომ არ დატოვა, ისტორიული ფაქტია.

ამ შეკითხვას თავის დროზე ამომწურავად უპასუხა ავიაციის მთავარმა მარშალმა ალექსანდრ გოლოვანოვმა „კომსომოლსკაია

პრავდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში:

„1941 წლის ოქტომბერში, როცა მტერი დედაქალაქის კედლებთან იდგა, ჩვენი მდგომარეობა სამხედრო თვალსაზრისით უკიდურესად დაძაბული იყო...

იმ თვის ერთ-ერთ დღეს უმაღლესი მთავარსარდლის მთავარბანაკმა პერსუშკოვოში, დასავლეთის ფრონტის შტაბში გაგზავნა არმიის კომისარი სტეპანოვი ფრონტზე არსებული მდგომარეობის შესასწავლად. ამ დროს მე ვიყავი სტალინთან, უმაღლესი მთავარსარდლის ბანაკში. არმიის კომისარმა სტეპანოვმა შეისწავლა საქმის ვითარება და დარეკა ბანაკში. უმაღლეს მთავარსარდალს გაძლიერებული ტელეფონები ედგა და მას ყურმილი ყურთან ახლოს არ მიჰქონდა, საკმარისად დაცილებით ეჭირა. საუბარი ყველას ესმოდა.

სტეპანოვი უპატაკებს სტალინს, რომ იგი მოეთათბირა ადგილობრივ ხელმძღვანელობას, რომელიც მიიჩნევს, რომ ფრონტის შტაბი უნდა გადაიტანონ მოსკოვს იქით, აღმოსავლეთით, სავარაუდოდ, — არზამაზში, ხოლო საკომანდო პუნქტი — მოსკოვის აღმოსავლეთ შემოგარენში. სწორედ ამ დროს მიმდინარეობდა მოსახლეობის და სამრეწველო ობიექტების მოსკოვიდან ევაკუაცია.

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარ-



და... სტალინი ეკითხება სტეპანოვს: „ამხანაგო სტეპანოვ, შეეკითხეთ ამხანაგებს, აქვთ თუ არა ნიჩბები?“ კვლავ — რაღაცნაირი უხერხული სიჩუმე...

— რა ვკითხო, ამხანაგო სტალინ?

— ნიჩბები აქვთ ამხანაგებს?

ისმის, რომ სტეპანოვი ვიღალას მიმართავს. ამხანაგები ეკითხებიან: როგორი ნიჩბები — მესანგრე-ების თუ ჩვეულებრივი? სტეპანოვი კვლავ ეკითხება სტალინს:

— ამხანაგო სტალინ, როგორი ნიჩბები: მესანგრეების თუ რომელიმე სხვა?

სტალინი ეუბნება:

— სულერთია როგორი.

უურმილში მხნე და მხიარული ხმები ისმის: „გვაქვს, გვაქვს!“

და სტეპანოვი ლამის აღფრთოვანებული უპატაკებს:

— ამხანაგო სტალინ, ნიჩბები არის! რა უნდა გააკეთონ ამ ნიჩბებით?

და სტალინი ძალიან მშვიდად უპასუხებს:

— ამხანაგო სტეპანოვ, გადაეცით თქვენს ამხანაგებს, აიღონ ნიჩბები და საფლავები გაითხარონ. ჩვენ მოსკოვიდან არ წავალთ. მთავარბანაკი მოსკოვში რჩება. ისინი კი პერხუმკოვოდან არსად წავლენ.

მარშალი უუკოვი კი, რომელიც დღეს ძალიან უნდათ ფაშიზმზე გამარჯვების მთავარ შემოქმედად შერაცხონ, მოსკოვის მტრისთვის ჩაბარებაზე ფიქრობდა.

ასეც იქნებოდაო, მიიჩნევს გოლოვანოვი, სტალინი რომ არ ყოფილიყო.

მაგრამ ამას დოკუმენტურად სჭირდება დამტკიცება, ისეც ცარიელი ლაპარაკი შეიძლება გამოვიდეს.

„როგორ დაამტკიცებ? — განაგრძოს ალექსანდრ ევგენის ქე, — დოკუმენტების უმრავლესობა, რომლებშიც წარმოდგენილი იყო ოში სტალინის ჭეშმარიტი როლი, დაწვეს ხრუშჩოვის დროს. ასე განადგურდა ჩემი სტალინთან მიმოწერის სამი ტომი. მოკვდება ვასილევსკი, მოკვდება გოლოვანოვი, მოკვდება შტემენკო და ვერა-

ვინ გაიგებს, სინამდვილეში რადა როგორ იყო“.

დოკუმენტები არ არსებობს, მაგრამ იყვნენ მოღვაწენი, რომელთა სიტყვა ნებისმიერ დოკუმენტზე უფრო ჭრის.

კრემლის დაცვის მთავარი სამართველოს უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი ნიკოლაი ვლასიკი ადასტურებს, რომ ამ თემაზე (მოსკოვიდან წასვლაზე) საუბარი სტალინსა და ანდრეი უდანოვს შორის (უდანოვიცე-ის მდივანი და პოლიტბიუროს წევრი იყო) მართლაც შედგა. „პატრონმა“ („ხოზიანიმა“) მტკიცედ და გადაჭრით განუცხადა, რომ ამაზე ლაპარაკიც არ შეიძლება იყოს: იგი მოსკოვში თავის ადგილზე რჩება.

ვოზნესენსკი, კალინინი, პოსკრებიშვი არაორაზროვნად აცხადებდნენ, რომ სტალინს არც უფიქრია მოსკოვიდან სადმე გამგზავრებაზე.

ალექსეი რიბინი, სტალინის პირადი მცველი:

„ჩაბალოვის სახელობის ცენტრალურ აეროდრომზე, იქ, სადაც ახლა აეროვოგზლის შენობაა, ოთხი გამზადებული „დუგლასი“ იდგა. პოლკოვნიკი გრაჩივი სტალინის პირადი თვითმფრინავის კაბინაში იჯდა, მაგრამ ბერიამ და მალენკოვმა ვერა და ვერ შეძლეს ბელადის დედაქალაქიდან გატყუება“.

მარშალ ალექსანდრე ვასილევსკის თქმით, ის, რომ „თვითმფრინავები ასაფრენად გამზადებული იდგა, აბსოლუტურად გამართლებული ლონისძიება იყო იმ მომენტში, როცა გერმანულ ტანკებს სულ რამდენიმე საათი დასჭირდებოდათ მოსკოვის ცენტრში აღმოსაჩენად.“

კიდევ ერთი ასაფრენი ზოლი იყო მზად სტალინის მოსკოვიდან გასაყვანად „უშუალოდ წითელი მოედნიდან. გენერალი სბიტოვი ყვებოდა, რომ უმაღლესმა მთავარსარდალმა ასეთ შეთავაზებაზე კატეგორიული უარი განაცხადა:

— ჟიგარიოვი (იგი ამ დროს მოსკოვის ოლქის ავიაციის სარ-

დალი იყო) გაფრინდეს, საითაც უნდა, ნებისმიერ მხარეს! მე აქ ბოლომდე ვრჩები...“

ალექსანდრე იაკოვლევი, ავიაკონსტრუქტორი, აკადემიკოსი, ომის წლებში ავიამრენველობის სახალხო კომისრის მოადგილე:

„ძალიან მინდოდა, მეკითხა მისთვის ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხის შესახებ, რომელიც ძალიან მაწუხებდა, მაგრამ ვერ ვპედავდი. გამომშვიდობებისას ვერ მოვითმინე და ვკითხე:“

— ამხანაგო სტალინ, შევძლებთ მოსკოვის შენარჩუნებას?

მან უცებ არ მიპასუხა, გაიარგამოიარა, გაჩერდა მაგიდასთან, დატენა ჩიბუზი ახალი თამბაქოთი:

— ვფიქრობ, რომ ახლა ეს არ არის მთავარი. მთავარია რეზერვების სასწრაფოდ დაგროვება. ამათთან ცოტას კიდევ წავითაროთალებთ და უკან გავრეკავთ....

ხაზი გაუსვა იმას, რომ გერმანია დიდხანს ვერ გაუძლებდა. მიუხედავად იმისა, რომ ომში იგი გამოიყენებს მთელი ევროპის რესურსებს. ნედლეულის მარაგი ჰიტლერს დიდხანს არ ეყოფა. სხვაგვარადაა საქმე ჩვენთან.

სტალინმა რამდენიმეჯერ გაიმეორა:

— სახელმწიფოს რეზირვების გარეშე ვერ იცოცხლებს“.

მკითხველები უთუოდ მიაქცევდნენ უშრადლებას ამ პასაუის დედააზრს: ის, რომ სტალინი უმძიმეს ჰერიოდში მოსკოვიდან არ წავიდა, არამარტო პირადი რწმენისა და გამბედაობის შედეგი იყო, არამედ ანალიტიკური გათვლისა და შეფასების.

ჭემარიტი სახელმწიფო მოღვანის უპირველესი მახასიათებელი სწორედ ეს არის.

„ამ პოლკს შეტევაზე მე თვითონ ტარვებდგები...“

მოსკოვის დატოვებაზე სტალინთან ლაპარაკს ვერავინ ბედავდა, ამიტომ შემოვლით, მინიშნებით ჰკითხეს ერთხელ:

— ამხანაგო სტალინ, როდის



გავაგზავნოთ მოსკოვიდან დაცვის პოლკი?

— თუ საჭირო გახდება, ამ პოლკს შეტევაზე მე თვითონ წარვუძღვები, — უპასუხა სტალინმა.

იგი მხოლოდ ასეთ შეკითხვებს კი არ უპასუხებდა კატეგორიულად, არამედ არაფრად ჩაგდოთ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1941 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება მოსკოვიდან მისი ევაკუაციის შესახებ, რომელშიც შავით თეთრზე ეწერა: „ამხ. სტალინი ევაკუირებული იქნება ხვალ ან მოგვიანებით, მდგომარეობიდან გამომდინარე“.

მოსკოვიდან გამგზავრება კი არა, გერმანელთა ავიაციის დაბომბვის შემდეგ იგი რეგულარულად გადიოდა მოსკოვის ქუჩებში, რათა საკუთარი თვალით ენახა, რაც მოხდა. მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რომ ხალხს დაენახა იგი, სცოდნოდათ ადამიანებს, რომ ბელადი მათ გვერდითაა, დედაქალაქშია და მის დაცვას ხელმძღვანელობს. უფრო მეტი დამაჯერებლობისთვის იგი ამონებდა საგუშაგოებს გორკის ქუჩაზე, სმოლენსკის მოედანზე, სხვაგან და სხვაგან. მორიგე ჯარისკაცებზე ეს უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენდა.

ერთხელ, დილის 4 საათზე სტალინი კალუგის მოედანზე გავიდა. ფეხებეშ ხრაშუნობდა შუშის ნამსხვრევები. გარშემო ცეცხლი ეყიდა ხის სახლებს. სასწრაფო დახმარების მანქანებს დაჭრილები გაპყავდათ, ცხელები გაპქონდათ. სტალინს ნამსვე შემოეხვივნენ მოსკოველები. ხალხი თავზარდაცემული იყო. ქალებს შეშინებული, ატირებული ბავშვები აეტატებინათ. სტალინმა ვლასიკს უთხრა:

— ბავშვები დაუყოვნებლივ უნდა გადაიყვანონ აქედან შორს, ქვეყნის სიღრმეში.

შემოეხვივნენ სტალინს და ეკითხებიან, როდის შეაჩერებს მტერს წითელი არმია და განდევნის ჩვენი მიწიდან? სტალინი ამშვიდებს და ეუბნება:

— იქნება, ჩვენს ქუჩაზეც იქნება ზეიმი!

მისი სჯეროდათ!

ელისევის მაღაზიის კენ ჩაუყვა სტალინი გორკის ქუჩას. შეკრებილი ხალხის თავს ზემოთ აღიმართა ქალი, რომელმაც რაღაც ტუმბაზე მოახერხა ასვლა და იქიდან საყვედურით აავსო სტალინი:

— განა შეიძლება, ამხანაგო სტალინ, ამ მძიმე დროს ქუჩაში ასე სიარული? მტერს ნებისმიერ წუთში შეუძლია ბომბის ჩამოგდება!

სტალინმა მხოლოდ გამალა ხელები, რა უნდა გითხრათო... არადა, იგი მართლაც რისკავდა...

წერ ამას და ხელი გაგირბის შეადარო სტალინი იმ ჭიალუა ხელმძღვანელებს, რომლებიც თვითმფრინავის ხმაზე გორში ცხვირით მიწის თხრას იწყებდნენ და ღამით, ხალხისგან ფარულად სტალინის ძეგლს ანგრევდნენ, მისი მშობლიური ქალაქის გულიდან ქურდულად ამოგლეჯას ცდილობდნენ. „დემონტაჟი“ მოახდინეს... მაგრამ ღირს კი შედარება?!

ეპლესიაში ნათევამი სიტყვა

გვიან საღამოს კვლავ დიდი თოვლი მოვიდა. მოჟაისკის გზატკეცილი უკანდახეული წითელარმიელებითა და ლტოლვილებით გაიჭედა. ადამიანებს შორის ძალაგამოლეული ძროხები მოდიოდნენ. არავინ ერეკებოდა, არავინ იყო პატრონი.

სტალინის მანქანის წინ გამოჩნდა ქალი, რომელიც ძლივს მიათრევდა ციგას, რომელზეც ოჯახის ბარგი-ბარხანა ეწყო და ორი ბავშვი იჯდა.

ბავშვები ტიროდნენ.

სტალინი დიდხანს უყურებდა ამ მძიმე სურათს გაჩერებული ავტომობილიდან. დათრგუნული იყო... ვინ იცის, რას ფიქრობდა... შუალამეს, როცა აგარაკზე პოლიტბიუროს წევრები შეიკრიბნენ, სტალინმა მათ ყველგან რკინისებური დისციპლინის დამყარება მოსთხოვა და მოულოდნელად იხმო მომვლელი დიასახლისი ისტომინა.

— ვალენტინა ვასილიევნა, —

მიმართა სტალინმა, — აპირებთ მოსკოვიდან წასვლას?

— ამხანაგო სტალინ, მოსკოვი ჩვენი მშობლიური სახლია, მას დაცვა სჭირდება, — უპასუხა ისტომინამ.

— გესმით, რას ფიქრობენ, მოსკოვიდები? — განსაკუთრებული ტონით უთხრა ბელადმა პოლიტბიუროს წევრებს.

1941 ნლის 4 ნოემბერს, ელოსოვის ტაძარში ყაზანის ღვთისმობლის ხატის ღლე-სასაულის ღლეს ღია ღრმილი აღევლინა. აროტოდიაკონება, მაგა იაკობ აბაკუმოვმა აირველად ნარმოთება სტალინის მარავალი მრავალათასიანმა ხმამ დააქუხა: „მრავალუამიერ!“, ხოლო პროტოდიაკონმა აღავლინა „სამარადისო დიდება“ ბრძოლის ველზე დაცემული მეომრების.

ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ ამ მომენტიდან დაიწყო ეკლესიისა და საბჭოთა ხელისუფლების დაახლოება.

ეს ღიატურგია წინ უძღოდა 1941 წლის 7 ნოემბრის აღლუმზე სტალინის მიერ წარმოთქმულ სიტყვას: „დმებო და დებო!“, რომლითაც მან მიმართა მეომრებსა და ერისკაცებს, მხარი დაუჭირა მიტროპოლიტმა სერგიმ თავისი მიმართვით ერისადმი. ხოლო 1941 წლის დეკემბერში ამოქმედდა ტაძარი ელნაში, წინა ხაზის ახლოს, სადაც საბჭოთა ჯარისკაცების წინაშე სრულდებოდა ღვთისმსახურება, მეომრებს უსურვებდნენ გამარჯვებას და აღავლენდნენ დღეგრძელობას ბელადისას.

ხოლო ეკლესიის თაღებქვეშ წარმოთქმული „სამარადისო დიდება“ ტრანსფორმირდა უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებების დასკვნით წინადადებაში: „სამარადისო დიდება გმირებს, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისა და დამუკიდებლობისთვის ბრძოლას!“

მოამზადა

არაზაფრანებლივი

აფთანდილ დიასამიძე:

ღიღ სამარჯო როგო გამარჯვება უვალაზე ღიღი ძეგლია ცეკვიცისტვის

ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვება უდიდესი

მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა იყო.

სწორედ საბჭოთა კავშირმა და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა იხსნეს კაცობრიობა, გადაარჩინეს მსოფლიო ცივილიზაცია, შეასრულეს დიადი განმათავისუფლებელი მისია.

რამდენადაც დიდია ომში გამარჯვების მნიშვნელობა, იმდენად დასაფასებელია იმათი ღვანწლი, ვინც გამოსჭედა ეს გამარჯვება, ვისი ხელმძღვანელობითაც მოგებული იქნა ომი, ვინც თავი გასწირა სამშობლოსათვის, ვინც ომისა თუ ზურგის ფრონტზე სჭედდა გამარჯვებას.



იმ მძიმე უამს ქვეყნისა და შეიარაღებული ძალების პირველი პირი გახლდათ იოსებ ბესარიონის ძე სტალინი. ომის დროს სწორედ მის ხელში იყო თავმოყრილი დიდი სახელმწიფოს მთელი ძალა-უფლება; იგი იყო სსრკ შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელი, რომელმაც უნარიანად და ორგანიზებულად მოახერხა მასზე დაკისრებული მეტად საპასუხისმგებლო მისიის შესრულება, სარკ კავშირის ხალხთა მთელი ძალების და ყველა რესურსების სწრაფი მობილიზება ფაშიზმზე გამარჯვებისა და ევროპის დამონებული ხალხების გასათავისუფლებლად.

კომპარტიის XX ყრილობაზე ხრუშჩინის მიერ სტალინის პიროვნების კულტის დაუსაბუთებელი კრიტიკის შემდეგ მიჩქმალული იქნა დიდ სამამულო და მეორე მსოფლიო ომში სტალინის როლი და დამსახურება და ეს მაშინ, როცა სტალინის გენიამ, მთავარსარდლურმა ნიჭმა, სწორმა პოლიტიკურმა და დიპლომატიკურმა გათვლებმა, საბჭოთა ქვეყნისა და შეიარაღებული ძალები-

სადმი, ფრონტისა და ზურგისადმი უნარიანმა და ორგანიზატორულმა ხელმძღვანელობამ გამოსჭედა მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვება. მოიგო ომი, რომელიც მსოფლიოს ჯერ არ ენახა. ესაა ისტორიული სიმართლე, რომელსაც თვალი უნდა გავუსწოროთ და ამაყად ვალიაროთ. გამარჯვების დღესასწაულის აღნიშვნისას სტალინის მაშინდელი დიდი ღვანწლი და დამსახურებაც უნდა გავიხსენოთ.

ამიტომაც სრულიად სამართლიანი და საფუძვლიანია დიდი სამამულო ომის ვეტარანის შოთა ბუაძის შენიშვნა: „პიროვნების როლი ისტორიაში ძალიან მნიშვნელოვანია. ამ ეპოქალური მნიშვნელობის ადამიანის – სტალინის როლი არ შეიძლება ასე მიჩქმალული და გადახაზული იყოს. სტალინი რომ არ ყოფილიყო, არც გამარჯვება იქნებოდა და დღეს არც ჩვენ ვიქენებოდით“.

ეს სიტყვები ყველა ვეტერანის გულისტყვილს, საზოგადოების დიდი ნანილის ნააზრევს გამოხატავს და გასათვალისწინებელია. ზეიმობდე ფაშიზმზე გამარჯვებას და გამარჯვების ორგანიზატორის ი. სტალინის სახელი ერთხელაც არ ახსენო, ეს სამარ-

თლიანობისა და სტალინის ღვანწლის უგულებელყოფა.

ბორის სოლოვიოვი და ვლადიმერ სუხოდევი სათანადო წყაროებსა და არგუმენტებზე დაყრდნობით გამოცემულ წიგნში „უმაღლესი მთავარსარდალი სტალინი“ (ქართული თარგმანი, თბ. 2002 წ.) სამართლიანად აღნიშნავენ: „რაც უნდა იმძვინვაროს „დემოკრატიულმა“ პროპაგანდამ, დიდი სამამულო ომი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში სამუდამოდ დარჩება მის ერთ-ერთ უბრნყინვალეს, საბჭოთა ხალხის სულის სიდიადეზე, გმირობაზე, ძლევამისილებაზე მოღალადე ფურცლად. კაცობრიობის ისტორიის ფურცლებზე სამარადუამოდ აღიბეჭდა ეპოქალური მნიშვნელობის ფაქტი — მეორე მსოფლიო ომის სიმძიმემ ძირითადად საბჭოთა ხალხისა და მისი შეიარაღებული ძალების ზურგზე გადაირა და გერმანული ფაშიზმისა და მისი მოკავშირების განადგურებაში, ფაშიზმის უღლისაგან ევროპისა და აზიის ხალხების განთავისუფლებაში გადამწყვეტი წვლილი შათ შეიტანეს. ჩვენი ხალხის ამ ტიტანურ, ძლევამოსულ ბრძოლაში ღირსეულად უნდა აისახოს დიდი



სამამულო ომის უმაღლესი მთავარსარდლის საქმეები და მის მიერ აღსრულებული მისია.

გადაუჭარბებლად შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ სტალინი დიდი სამამულო ომის წლებში ქვეყნის მთავარი ხელმძღვანელი მოღვაწე იყო. მას ხელთ ეპყრა პარტიული და სახელმწიფო მართვის ყველა ძირითადი მუხრუჭი, ომის, შიდა და საგარეო პოლიტიკის ყველა უმნიშვნელოვანესი საკითხი მისი თავკაცობით წყდებოდა, მისი მოღვაწეობის შედეგებს განმსაზღვრელი მნიშვნელობა ჰქონდა და სახელმწიფოსათვის, ხალხისათვის, არმიისათვის".

ომის პირობებში სწორად იქნა გადაწყვეტილი სსრ კავშირისა და მისი შეიარაღებული ძალებისადმი ხელმძღვანელობაში ი. ბ. სტალინის როლისა და ადგილის საკითხი. როდესაც დიდი სამამულო ომი დაიწყო, სტალინს ერთდროულად ეკავა საკ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის პოსტი. ომის მეორე დღეს, 23 ივნისს, ი. ბ. სტალინი, ფაქტობრივად, სათავეში ჩაუდგა უმაღლესი სარდლობის ბანაკს, 30 ივნისს კი — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საკ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს ერთობლივი გადაწყვეტილებით შექმნილ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტს. 1941 წლის 10 ივლისიდან გახდა უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის, 19 ივლისიდან — სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელი, 8 აგვისტოს კი დაინიშნა საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდლად. როგორც ამას ჰიტლერული ფაშიზმის წინააღმდეგ საერთო-სახალხო სამამულო ომი მოითხოვდა, სტალინის ხელში იყო თავმოყრილი სრული სახელმწიფო პარტიული და სამხედრო ძალაუფლებები, რასაც ღირსეულად ართმევდა თავს, ყველაფერს აკეთებდა მტერზე გამოვლინდა სტალინგრადთან ბრძოლების დასაწყისში.



სტალინი და უკარვი

როგორ შეფასებას აძლევდნენ ი. ბ. სტალინის მოღვაწეობას დიდი სამამულო ომის წლებში მისი უახლოესი თანამებრძოლები და თანამოღვაწეები?

სტალინზე, როგორც უმაღლეს მთავარსარდალზე, სსრ კავშირის მარშალი, ოთხგზის საბჭოთა კავშირის გმირი გიორგი უსუკოვი აღნიშნავს: „როგორც სამხედრო მოღვაწე, ი. ბ. სტალინი მე ზედმინევნით შევისწავლე, რადგან მთელი ომი მასთან ერთად გავიარე.

სტალინი ფლობდა საფრონტო და ფრონტის ჯვაფთა ოპერაციების ორგანიზაციის საკითხებს, საქმის სრული ცოდნით ხელმძღვანელობდა მათ, კარგად ერკვეოდა დიდ სტრატეგიულ საკითხებშიც. სტალინის ეს მხედართმთავრული უნარი ძირითადად გამოვლინდა სტალინგრადთან ბრძოლების დასაწყისში.

შეიარაღებული ბრძოლების ხელმძღვანელობაში ი. ბ. სტალინის ეხმარებოდა მისი ბუნებრივი ნიჭი, მდიდარი ინტუიცია. მას შეეძლო სტრატეგიულ ვითარებაში მოენახა მთავარი რგოლი, ჩასჭიდებოდა მას და მტრისათვის წინაღმდეგობა გაეწია, ესა თუ ის დიდი შეტევითი ოპერაცია განეხორციელებინა. უეჭველია, იგი

ღირსეული უმაღლესი მთავარსარდალი იყო. ი. ბ. სატალინის დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი სწორად აღიქვამდა ჩვენი გამოჩენილი სამხედრო სპეციალისტების რჩევას, ავსებდა და ავითარებდა მათ და განაზოგადებდა ინსტრუქციებში, დირექტივებსა და დარიგებებში, რომელთაც დაუყოვნებლივ უგზავნიდა ჯარებს პრაქტიკული ხელმძღვანელობისთვის.

ოპერაციების უზრუნველყოფის, სტრატეგიული რეზიუვების შექმნის, საბრძოლო ტექნიკის წარმოების ორგანიზაციისა და საერთო ფრონტისთვის ყოველივე აუცილებლის შექმნის საქმეში. ი. ბ. სტალინმა, პირდაპირ ვიტყვი, თავი გამოიჩინა, როგორც დიდმა ორგანიზატორმა, და უსამართლობა იქნება, თუ ამისთვის მას ღირსეულად არ დავაფასებთ“.

ა. მ. ვასილევსკის უდავოდ მიაჩნდა ი. ბ. სტალინის სამხედრო-სტრატეგიული დამსახურება ომის მეორე პერიოდში, როცა მან წმინდა სამხედრო დარგშიც დიდი ცოდნა და გამოცდილება მიიღო. „ჩემი ღრმა რწმენით, — წერს ის, — ი. ბ. სტალინი, განსაკუთრებით ომის მეორე პერიოდიდან, სტრატეგიული ხელმძღვანელობის



ყველააზე ძლიერი და კოლორი-
ტული ფიგურა იყო“.

ა. მ. ვასილევსკის აზრით, ი. ბ. სტალინმა დიდი როლი შეასრულა იმაში, რომ ომის დროს საბჭოთა სამხედრო ხელოვნება გერმანიისაზე უფრო მაღალი აღმოჩნდა: „საბჭოთა შეიარაღებული ძალების სტრატეგიული შეტევის პერიოდში სტალინმა საბჭოთა სარდლის ყველა ძირითადი თვისება გამოავლინა. ის ფრონტების მოქმედებას მარჯვედ ხელმძღვანელობდა და მთელმა საბჭოთა სამხედრო ხელოვნებამ ომის წლებში თავისი ძალა, შემოქმედებითი ხასიათი წარმოაჩინა, ის გაცილებით უფრო მაღალი აღმოჩნდა, ვიდრე დასავლეთში განთქმული გერმანულთაშისტური სამხედრო სკოლის სამხედრო ხელოვნება“.

საბჭოთა შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლობისა და გენერალურ შტაბის დამსახურების ასეთი მაღალი შეფასება ახლა მთელ საბჭოთა ისტორიოგრაფიასა და ლიტერატურაში საყოველთაოდ აღიარებულია. ავტორიტეტულ კოლექტიურ ნაშრომში „დიდი სამამულო ომი. მოკლე სამეცნიერო-პოპულარული ნარკევი“, რომელიც ცნობილი საბჭოთა სამხედრო ისტორიკოსის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, გენერალ პ. ა. უილინის რედაქციით ორჯერ გამოიცა, ნათქვამია: „განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო მოღვაწეობა შეიარაღებულ ძალთა სტრატეგიულ ხელმძღვანელობის, უმაღლესი ორგანოსი — უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკისა, რომელსაც სათავეში ი. ბ. სტალინი ედგა“.

მარშალ ი. ს. კონევის გამონათქვამებიც მოვიტანოთ: „ძალზე საინტერესო იყო სტალინის რეაქცია ჩვენს იმ ნინადადებაზე, რომ მისთვის გენერალისიმუსის წოდება მიგვენიჭებინა. ეს უკვე ომის შემდეგ იყო. პოლიტბიუროს სხდომას, რომელზეც ეს საკითხი იხილებოდა, ვესწრებოდით უკუკოვი, ვასილევსკი, მე და როკოსოვსკი (თუ არ ვცდები). სტალინმა თავიდან უარი თქვა, მაგრამ

ჩვენ დაუინებით ვაყენებდით ამ წინადადებას. მე ამაზე ორჯერ ვილაპარაკე. უნდა ვთქვა, რომ იმ დროს გულწრფელად ვთვლიდი, რომ ამისი გაკეთება აუცილებელი იყო, რომ სტალინი ამას იმსახურებდა. ამას იმით ვასაბუთებით, რომ რუსული არმიის სტატუსით, სარდალს, რომელიც დიდ გამარჯვებებს მოიპოვებს და დაგვირგვინებს კამპანიას, ასეთი წოდება ენიჭება“.

ყოველივე აღნიშნულის გამო სრულიად დამსახურებულად სსრ კავშირის მთელი შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდალს — ი. ბ. სტალინს 1945 წლის 27 ივნისს მიერიჭა უმაღლესი სამხედრო წოდება — გენერალისომუსი.

სტალინის განსაკუთრებული სარდლური ტალანტი, ღრმა ცოდნა, უდიდესი წებისყოფა და მრავალმხრივი უმაგალითო შრომისუნარიანობა, მკაცრი მომთხოვნელობა და ენერგიულობა დასახული მიზნების წარმატებით დაგვირგვინებისათვის ბრძოლაში, — აი სტალინის, როგორც უმაღლესი მთავარსარდლის, ის თვისებები, რომლებმაც დიდნილად განაპირობეს დიდ სამამულო ომში ჩვენი გამარჯვება.

ისტორია მონმობს, რომ არ არსებულან სარდლები, რომლებსაც შეცდომები არ მოსვლიათ. შეცდომები სტალინსაც ჰქონდა, მაგრამ მთლიანობაში მისი, როგორც უმაღლესი მთავარსარდლის, არსებითი, განმსაზღვრელი ნიშნები იყო შექმნილი ვითარების ღრმა შემოქმედებითი ანალიზი, არასტანდარტული გადაწყვეტილებების პოვნის უნარი, სტრატეგიული ჩანაფიქრის ორიგინალურობა და ჩაფიქრებული სამხედრო ოპერაციების განხორციელებაში შეუდრეკელი მიზანსწორაფვა. მისი ეს თვისება თვალნათლივ გამოჩნდა უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების მიღებისასა, რომის ნარმართვის დროს და ოპერაციების დაგეგმვისას, საბჭოთა ჯარების მდგომარეობისა და შესაძლებლობების, მოწინააღმდეგების ჩანაფიქრთა და ძალების მისეული ანალიზით, საბ-

ჭოთა ჯარების დაჯგუფებათა და რეზერვების შექმნით, მთავარი დარტყმების მიმართულების არჩევით, შექმნილ ვითარებაზე მოქნილი და სწრაფი რეაგირებით, ოპერაციების ყოველმხრივი — მორალურ-პოლიტიკური, ოპერატიული და ტექნიკური, ზურგთან კავშირის თვალსაზრისით, გულმოდგინედ და ყოველმხრივ მომზადების უნარით, მის მიერ კადრების მარჯვედ შერჩევითა და თავის დროზე გადაადგილებით.

სტალინმა ომის მსვლელობისას, ისეთ ვითარებაში, როცა ერთმანეთთან იყო გადახლართული სამხედრო-პოლიტიკური, სტრადეგიული, დიპლომატიური და ფსიქოლოგიური ფაქტორები, მრავალგზის გამოავლინა ურთულესი პრობლემების ბრწყინვალედ გადაჭრის ნიჭი. გვმართებს დავეთანხმოთ ჩერჩილს, რომელმაც თქვა: „რუსეთისთვის დიდი ბედნიერება იყო ის, რომ მძიმე გამოცდათა წლებში მის სათავეში იდგა გენიოსი და ურყევი სარდალი ი. ბ. სტალინი“.

ომის წლებში აშშ-ის სახელმწიფო მდივანი კორდელ ჰელი აღნიშნავდა: „სტალინი გასაოცარი პირვენებაა, ის დაჯილდოობულია არაჩვეულებრივი ნიჭითა და გონებით, აგრეთვე, პრაქტიკულ საკითხთა არსში წვდომის უნარით. ის რუზველტთან და ჩერჩილთან ერთად ერთ-ერთია იმ ლიდერთაგან, რომლებსაც მხრებზე ანვებათ ისეთი პასუხისმგებლობა, რომლის მსგავსიც არც ერთ ადამიანს არ დაეკისრება უახლოეს 500 წელინადში“.

ცნობილმა ინგლისელმა საზოგადო მოღვაწემ, მეცნიერმა და მწერალმა ჩარლზ სნოუმ 1967 წელს გამოაქვეყნა ცხრა პორტრეტი XX საუკუნის ყველაზე უდიდეს პირვენებებზე. სნოუმ სტალინი თავის თანამემამულე უ. ჩერჩილზე მაღლა დააყენა.

თვალსაჩინო ფრანგ მეცნიერს, მწერალსა და საზოგადო მოღვაწე როუე გარიდგის ყველა საფუძველი ჰქონდა იმისთვის, რომ განეცხადებინა: „...როცა სტალინი 1931 წელს ამბობდა: „ჩვენ წელნა-

დში 10 მილიონ ტონა ფოლადს თუ არ ვაწარმოებთ, 10 წელიადზე ნაკლებ დროში გაგვსრესენ”, სწორი იყო. 10 წელი, ანუ 1941 წელი, მას რომ მაშინ ყველაფერი არ ეღონა, რაც ადამიანური თვალსაზრისით, ძალზე ძნელი რამ იყო, ახლა ოსვენციმის ეპოქაში ვიცხოვრებდით... გარკვეულ ისტორიულ პირობებში ჯერ უნდა აკეთო ის, რაც აუცილებელია, ამას ადამიანთა დიდი ძალის ხმევაც რომ დასჭირდეს. მე მიმაჩნია, რომ, ადამიანური თვალსაზრისით, სტალინიზმი ჩვენ ძალიან ძვირად დაგვიჯდა, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ევროპა დღეს თავისუფალი თუა, სტალინის ნებალობითაა თავისუფალი” („ზავტრა“, 1998, №8).

ცნობილმა რუსმა პოლიტიკურ-მა მოღვაწემა. ფ. კერენსკიმ, 1917 წელს რუსეთის ყოფილმა პრემიერმინისტრმა და მთავარსარდალმა, ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა: „სტალინმა რუსეთი ფერფლიდან აღადგინა, დიდ სახელმწიფოდ აქცია, ჰიტლერი გაანადგურა. რუსეთი და კაცობრიობა გადაარჩინა“. პიტერ უსტინოვს საფუძველი ჰქონდა, განეცხადებინა თავის წიგნში „ჩემი რუსეთი“: „ალბათ, სტალინის გარდა, არავის შეეძლო ომში გაეკეთებინა ის, რაც მან გააკეთა ისეთი ულმობლობით, ისე მოქნილად ან ისე მიზანს ნინო აფულად, როგორც ამას მოითხოვდა ასეთ არაადამიანურ მასშტაბებში ომის ასე წარმატებულად წარმართვა“. ალბათ, სტალინის გარდა, არავის შეეძლო ომში გაეკეთებინა ის, რაც მან გააკეთა ისეთი ულმობლობით, ისე მოქნილად ან ისე მიზანს ნინო აფულად, როგორც ამას მოითხოვდა ასეთ არაადამიანურ მასშტაბებში ომის ასე წარმატებულად წარმართვა“.

ყოფილ დისიდენტს, ფილოსოფოსს, სოციოლოგსა და მწერალა. ზინოვიევს საფუძველი აქვს ამტკიცოს, მე ხომ ომს პირველი დღეებიდანვე ვხედავდი, მთელი ომი გამოვიარე, ვიცი რა და როგორ იყო. სტალინი, სტალინური ხელმძღვანელობა რომარ ყოფილიყო, ჩვენ უკვე 1941 წლს გაგვანადგურებდნენ“.

დიდ სამამულო ომში და საერთოდ, მეორე მსოფლიო ომში სახელოვანი გამარჯვების მოპოვება მნიშვნელოვნად განაპირობა სტალინის შორს მჭვრეტელურმა დიპლომატიამ.



სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწეთა, მეცნიერთა და მწერალთა ციტირება დაუსრულებლად შეიძლება. ამ ციტირებათა არსი ერთი იქნება, — თუ ისინი ისტორიის წინაშე პასუხისმგებელნი და პატიოსანნი არიან, აჩვენონ მსოფლიოს, რომ სტალინი ისტორიას ხალხების, კაცობრიობის კეთილდღეობისთვის ქმნიდა.

სწორედ ი. ბ. სტალინის გენის, მისი ნიჭის, შორსმჭვრეტელური და შედეგებზე გათვლილი პოლიტიკის, ბრძნული დიპლომატიისა და პროფესიონალი მთავარსარდლის უდიდესი დამსახურება იყო ფაშისტურ გერმანიასა და მილიტარისტულ იაპონიაზე ძლევამოსილი გამარჯვება.

საამაყოა, რომ სტალინი ქართველი იყო. ამ პატარა ქვეყანამ მსოფლიოს მისცა დიადი გამარჯვების მთავარსარდალი, რაც მსოფლიო ომში მოპოვებულ გამარჯვებასა და კაცობრიობის ცივილიზაციის ფაშიზმისაგან გადარჩენისა ქართველოს წვლილს განსაკუთრებულს ხდის.

მსოფლიო და სამხედრო ისტორიამ, მეცნიერებამ დიდ სამამულო ომში და მეორე მსოფლიო ომში მოპოვებულ დიდ გამარჯვებაში სტალინის განსაკუთრებულ ღვაწლს სათანადო ადგილი უნდა დაუმჯევიდროს.

ცნობილი ამერიკელი პროფესორი და ავტორი წიგნისა „სტა-

ლინი“ — ალექს დე ჯონდი, აფასებს რა სტალინის უდიდეს როლს კაცობრიობის ისტორიაში, სრულიად სამართლიანად და ობიექტურობის დაცვით წერს: „ვთვლი, რომ ყველა ჩვენებანის არსებობა განუხრელადაა და კავშირებული სტალინის სახელთან. ჰიტლერს რომ დაემარცხებინა სსრკ, არ იქნებოდა რუსები, თუმცა ამავე დროს არც ფრანგები, ინგლისელები და ამერიკელები არ იქნებოდნენ“, რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში, არც ქართველები არ იქნებოდნენ.

ამრიგად, ფაშისტური გერმანიისა და მილიტარისტური იაპონიის განადგურებაში, საერთოდ, მთელ მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებაში, კაცობრიობის გადარჩენაში მთავარი როლი სსრკავშირმა და მისმა უმაღლესმა მთავარსარდალმა ი. ბ. სტალინმა შეასრულეს.

ზემოთ აღნიშნულზე, სათანადო წყაროებზე დაყრდნობით და მათი შეჯერების, გაანალიზების საფუძველზე დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა: დიდ სამამულო ომში და მეორე მსოფლიო ომში გამარჯვება ყველაზე დიდი ძეგლია სტალინისთვის.

ავთადილ დიასამინა,
ლექტორანტი, ისტორიკოსი,
ფილოლოგი, იურისტი,
საქართველოს უურნალისტთა
კავშირის წევრი

რა სესამიური ჩანაცემები დაგვიტოვა აკაკი ხორავა?

ამ ვეებერთელა მსახიობს, მოღვაწეს, ქართული თეატრის კორიფეული უდავოდ აქვს უფლება, იმდროინდელი მოვლენები — ეხება ეს თეატრს თუ საზოგადო ყოფას — ისე მიიტანოს დღევანდელ თაობამდე, როგორც ეს მისი თვალსაწიერიდან ჩანდა. XXI საუკუნის საქართველო, იქნება, ბევრ შეფასებაში არ დაეთანხმოს ჩანაწერების ავტორს (ამ გადასახედიდან ხომ ყოველივე სხვაგვარად მოჩანს), მაგრამ, ვფიქრობთ, იმ ეპოქის თუ გარემოს გაცნობა, რომელშიც ჩვენი დიდი წინაპრები ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ, უთუოდ საინტერესო იქნება დღევანდელი ქართველებისთვის. მერე რა, რომ ამ ჩანაწერებში შეხვდებით მსახიობის კოლეგებს, რომლებიც მთლად მისაბაძი საქციიელით არ გამოირჩევიან; იმავე დროს, შეხვდებით ლავრენტი ბერიას, საქართველოს ცე-ის ამა თუ იმ მდივანსა თუ თანამშრომელს, რომლებიც კოლეგებისგან დაბეზღებული მოღვაწის გადარჩენაზე „ზრუნავენ“, შეხვდებით კეთილ, სტუმართმოყვარე ბელადს, რომელსაც ქართველებთან ყოფნას არაფერი ურჩევნია; აქვე სხვა დიდი მსახიობებისა თუ რეჟისორების მისამართით გამოთქმულ საყვედურსა თუ მწარე კრიტიკასაც ამოიკითხავთ, მაგრამ გვინდა, შეგახსენოთ — ეს ერთი კაცის, ერთი დიდი მსახიობის თვალით დანახული ის მოვლენებია, რომლებიც თეატრში, ქვეყანაში, „დიდ“ საბჭოთაში ხდებოდა, და ამ ჩანაწერებს სულაც არ აქვს უდავო ჭეშმარიტების მტკიცების პრეტენზია.



(გაგრძელება. დასაცილი იხ. „ისტორიული მემკვიდრეობა“ №5)

* * *

ჩემი თეატრის დირექტორად ყოფნის დროს აკაკი ვასაძე მთავარი რეჟისორი იყო, კარგად შეთანხმებულად ვმუშაობდით, მაგრამ ზოგიერთი საკითხის გარჩევისას, ჩვენი აზრის სხვადასხვაობის გამო, მსჯელობა მწვავე ხასიათს იღებდა, თუმცა შემეძლო, თეატრის დირექტორის უფლებებით მესარგებლა და ჩემი აზრი გამეტარებინა, მაგრამ ამას არ ვაკეთებდი — წავიყვანდი ვასაძეს რაიონის მდივანთან (გოგიშვილი), ვეტყოდი, რითი ვიყავი უკმაყოფილო. ვასაძეც თავისას იტყოდა. როგორც მდივანი გვირჩევდა ან მიგვითითებდა, ისე ვიქცეოდით.

* * *

შეიძლება, ჩემი დირექტორობის დროს, ხანდისხან უხეშობას ვიჩენდი დამნაშავის (გრიმის არგა-

კეთება, მსახიობური ამპარტავნობა, ანტიმორალური საქციელი, ახალგაზრდების დაჩაგვრა, ძველგაზრდებისადმი უდიერი მოპყრობა. კუთხე-კუთხე ლაპარაკი, სურვილი ჯგუფების შექმნისა, როლზე უარის თქმა, თეატრის შინაგანაწესის დარღვევა და სხვა ამგვარი) მიმართ, დამისჯია კიდეც, მაგრამ არასოდეს ყოფილა შემთხვევა, რომ კაცი გამეფუჭებინოს, პირიქით, თეატრის გარეშე, ყოფილა, მუშაკს ვიცავდი და ვცდილობდი, ამხანაგებს არ დაეჩაგრათ.

თეატრის ნორმალური მუშაობისათვის საჭიროა, დაცულ იქნას რამდენიმე დებულება, რომელიც თეატრის არსებობისთვის აქსიომას წარმოადგენს: ზუსტი შემოქმედებითი დისციპლინა, უმრავლესობისადმი უმცირესობის დამორჩილება, კოლეგიალობა, ერთ-

მანეთის პატივისცემა, ყოველგვარი ეგოისტური და კარიერისტული მიდრეკილების წინააღმდეგ ბრძოლა, მაღალი ეთიურობა და წმინდა მორალური სახე, მკვეთრი იდეული მიმართება თეატრის საქმიანობისა. იქ, სადაც ეს აქსიომები დაირღვევა, თეატრი ვერ შეძლებს დაკისრებულ ამოცანათა შესრულებას.

არასოდეს ყოფილა შემთხვევა, ჩემს გამოსვლებში თუ სტატიებში საკუთარ თავზე მელაპარაკნა. პირიქით, ვცდილობდი, ძველგაზრდები თუ ახალგაზრდები კარგად მესანებინა და მათი მუშაობისა თუ ნიჭისთვის მაღალი შეფასება მიმეცა. კარგად ვიცოდი, რომ დადგებოდა დრო ძველი თაობის შეცვლისა და ვცდილობდი, თეატრში მიმეღო ინსტიტუტიდან ნიჭიერი ახალგაზრდობა. თეატრში ჩემ მიერ არის მიღებული: ე. მანჯგალაძე, ნ. ჩხეიძე, მ. ჩახავა, ი. ჯინჯიხაძე, რ. ჩხილვაძე, ზ. კვე-



რენჩისილაძე, ს. ყანჩელი (პირველად). ბ. კობახიძე, გ. გეგეჭკორი, მ. გეგეჭკორი, ა. დვალიშვილი, მ. თუმანიშვილი (სამწუხაროდ), ი. ტყავაძე, ნ. მგალობლიშვილი, თ. თეთრაძე, კ. საკანდელიძე, ს. იანელი, ლ. აბაშიძე, ნ. ფალიაშვილი, მ. მიქელაძე, მ. ურუშაძე, ვ. ვაჩანაძე, კ. მახარაძე, გივი ძენელაძე და მრავალი სხვა. არავის ვაძლევდი უფლებას, ახალგაზრდობა და აეჩაგრათ, ამიტომაც ძევლებაზრდები ჩემზე გამწყრალნი იყვნენ. მე მოვიყვანე თეატრში მხატვარი ლაპიაშვილი, კრიტიკოსი ვ. კიკაძე, ბ. ნიკოლაიშვილი და სხვ. ყოველგვარად ვცდილობდი, გამეზარდა ეს ახალგაზრდობა, როგორც ღირსეული ცვლა ჩვენი თაობისა თეატრში.

ჯერ კიდევ ინსტიტუტში მათი ყოფნის დროს ვიშუამდგომლებელმძღვანელობის წინაშე კომკავშირული თეატრის დაარსების შესახებ, მაგრამ მითხრეს, რომ ახლა ომია და არ არის ამის დრო, ომი რომ დამთავრდება, მაშინ დასვით ეს საკითხი, მანამ კი ნიჭიერ ახალგაზრდებს რუსთაველის თეატრში მოყენებული იყო. მეც აგრე მოვიქეცი. ყოველი ახალგაზრდა ყოველმხრივ მყავდა შემონაბეჭული და ვდებულობდი თეატრში მხოლოდ ღირსეულთ. როდესაც მე უცხოეთში გავემგზავრებოდი ხოლმე ჩემი მოვალეობის შემსრულებლად, ვასაძე რჩებოდა. მის მიერ იყვნენ მიღებული ბუს. ზაქარიაძე, ვლ. დოლიძე, ა. აფხაძე, შ. თოიძე, თ. თარხნიშვილი, მსახიობი კიკაძე და სხვ., რომელთა უმრავლესობას მე უთუოდ არ მივიღებდი კოლექტივში, რადგან მათი მორალური და ეთიკური სახე მიუღებელი იყო საპჭოთა თეატრისათვის (ინტრიგანები, ლაქუცები, ქვეშექვეშები, ჭორიკები და სხვ.).

რასაკვირველია, ვასაძის მიერ მიღებული მსახიობები ჩემით იყვნენ უკმაყოფილონი, რადგან მე ახალგაზრდობას ვექომაგებოდი. თეატრში იყვნენ ბევრნი, რომლებიც თვლიდნენ თავიანთ თავს ვასაძის გამოზრდილებად. ასეთები იყვნენ ჩიხლაძე, ხუციშვილი, ლა-

ფაჩი, თ. ბაქრაძე, ასიტაშვილი და სხვ. — საშუალო თაობის წარმომადგენლები. ამ სამ თაობას შორის იყო ჩემი უკმაყოფილებანი. ვასაძე თითქოს მხარს უჭერდა ახალგაზრდობას ჩემი თანდასწრებით, მაგრამ ჩემ გარეშე ამტკიცებდა, რომ ახალგაზრდობის გარეშე მე თეატრში სხვა არავინა მნამს და სხვა ამგვარი.

გულისყურით ვაკვირდებოდი თაობათა ურთიერთობას და ვალნევდი კიდეც მათ შორის ნორმალურ დამოკიდებულებას, დასის მთლიანობას. საკმარისი იყო, დროებით სადმე წავსულიყავი, რომ დაბრუნებისას დასი არეული დამხვედროდა. მეც ვიწყებდი თავიდან თაობათა შერიგებას.

რადგან დასში ბევრი პროფესიონალურად გამოუსადეგარი გვყავდა, ნელ-ნელა მინდობა მათი მოშორება, რათა მათი ადგილი ახალგაზრდებით შემევსო. მურლულიას დირექტორად ყოფნის დროს (მაშინ მე პარტორგანიზაციის მდივანი ვიყავი) დასი შეამოკლეს 14 მსახიობით, მე ამის შესახებ არა ვიცოდი რა — შეამოკლეს ვასაძემ და მურლულიამ ჩემ დაუკითხავად, ზოგიერთის შემოკლებას მე არავითარ შემთხვევაში არ დავეთანხმებოდი. მაგ. ნ. ჩხეიძის, ი. ტუსკიასი, ა. კუპრაშვილის, გ. ნულაძის და ზოგი სხვებისაც, მაგრამ ცეკაში შესამოკლებელ ხალხის განხილვის დროს მე ფაქტის წინაშე დავდევი და ჩემი არდათანხმებოდი. ბოლოს მე გამოვედი დამნაშავე და ყველა შემოკლებულები მე მლანძლავდნენ, ხოლო შემმოკლებლები კი ვითომ უდანაშაულონი იყვნენ ამ საქმეში.

საინტერესოა კიდევ ერთი ფაქტი: როდესაც ტფილისში ვიყავ, თეატრი ასრულებდა ფინანსურ გეგმას და, როდესაც მივლინებიდან დავბრუნდებოდი, თეატრი ვალში იყო ჩავარდნილი.

შთაბეჭდილება მექმნებოდა, თითქოს ვიღაც განზრას ურევდა საქმეს, რომ ბოლოს მე დამბრალებოდა. კულტობრდი, თეატრში

გამეგრძელებინა ის მოწინავე ტრადიციები, რომლებიც მარჯანიშვილისა და ახმეტელის მიერ იყო დამკვიდრებული, მაგრამ ამ ჩემს ხაზს თეატრში ენინააღმდეგებოდნენ თეატრის დანარჩენი ხელმძღვანელები. დარწმუნებული ვიყავი, რომ ზოგიერთ უფროსთაობელთან ერთად ახალგაზრდობას ესმოდა ჩემი მიზანი და მიჭერდა მხარს.

ვგრძნობდი, რომ დღითიდლე მწვავდებოდა მდგომარეობა და მეც გადავწყვიტე, შემეკრიბა თეატრის კოლექტივი და ყველას გვეთქავა, ვის რა სტკიოდა, რა ანუხებდა, თათბირი გაგრძელდა სამ დღემდე. თათბირმა ვერაფერი მოგვცა ერთის გარდა — აშკარა გახდა, რომ ახალგაზრდობა ამხედრებული იყო თეატრის ძველგაზრდების მიმართ და, მათ შორის, ჩემზედაც, როგორც ხელმძღვანელზე; ამბობდნენ, რომ ყველა სეზონი, ახმეტელის შემდეგ, ჩავარდნილი იყო და, თუ ყურადსალებია რომელიმე ნარმოდგენა, მხოლოდ „არსენა“ და „ოტელო“. ბელადობდა ახალგაზრდობას ა. დვალიშვილი; მ. თუმანიშვილი, როგორც მას სჩვენია, იყო მუდოსავით, ხმას არ იღებდა, თუმცა ქვეშ-ქვეშ მთელი ინტრიგანობის სულისჩამდგმელი იყო. ახალგაზრდობის სურვილი იყო, თავისი თეატრი შეექმნა. მეც ვიყავ მოსურნე, შექმნილიყო ახალგაზრდობის თეატრი, მაგრამ ამისი დრო არ იყო. ეტყობა, ვიღაცამ დაარწმუნა ისინი, ახალი თეატრის შექმნის ნაცვლად, შიგნით ებრძოლათ, რომ თეატრი ხელში ჩაეგდოთ. დარწმუნებული ვარ, ამ იდეის სულისჩამდგმელი ზოგიერთისათვის ერთად იყო კომკავშირის ცკ-ის მდივანი ჯანელიძე, რომელიც მეგობრობდა ახალგაზრდობასთან, ქეიფობდა და დროს ატარებდა მათთან. არ ვიცი საიდან, ვიღაცამ დაარწმუნა ახალგაზრდები, რომ ცკ-ში ჩემით უკმაყოფილონი არიან და აი, აქ დაიწყო ჯირითი, თუ ვინ მეტ სისაძაგლეს იტყოდა ჩემზე. ამით სურდათ, თუ ვინიცობაა, მე მომხსნიდნენ — უფროსთაობის თუ უმ-

ცროსების ჯგუფს შეექმნათ შთაბეჭდილება მთავრობაში, რომ ისინი იბრძვიან თეატრის კეთილდღეობისთვის. ვგრძნობდი რა თეატრში დაჭიმულ მდგომარეობას, გადავწყვიტე, შემეტანა განცხადება ჩემი დირექტორობიდან განთავისუფლების შესახებ. რამდენიმე ხანი ჩემი ეს განცხადება დარჩა უპასუხოდ. მუშაობაზე გული გამიფუჭდა. ვასაძემ იფიქრა, რომ ჩემი საქმე ცუდად არის და გამიღება განზე და მიემხრო ჩემს მონინააღმდეგეს იმ ფიქრით, რომ ხორავას მოხსნან და ბურთი და მოედანი მას დარჩებოდა. იქამდის მივიდა ვასაძე, რომ კულტურის მინისტრთან განაცხადა, რომ ის ვერ იმუშავებს ჩემთან.

ახალგაზრდობას თეატრის ხელში ჩაგდება უნდოდა, საშუალო თაობამ იფიქრა, რომ, თუ ხორავას მოხსნიდნენ, ვასაძე ჩაუდგებოდა სათავეში და ახალგაზრდობაც აილაგმებოდა. შეიქმნა ინტერესთა თამაში. ანგარიშის გასწორება. გაავრცელეს ათასნაირი ჭორი, ხმა გავიდა ქალაქში. ჩემ წინააღმდეგ ალაპარაკდნენ ყველანი, კინც სტალინის სახელობის ლაურეატობა ვერ მიიღო (მწერლები, მარჯანიშვილის თეატრის მსახიობები, თეატრიდან გარიცხული მსახიობები. ხმა ამოიღეს იმათაც, კინც სახელწოდები თუ ორდენები ვერ მიიღეს, თითქოს მე მკითხებოდნენ, ვისთვის მიეცათ ლაურეატობა, სახელწოდება თუ ორდენი. თეატრის მუშაობის წინააღმდეგ გამოვიდნენ რუსთაველის თეატრის მტრები, ყოფილი მარჯანიშვილისტები, რომლებიც, დიდი ხანია, ლამობდნენ ჩვენი თეატრის დანგრევას და, პირველ რიგში, ჩემ განბილებას, რადგან თვლიდნენ, თუ მე მომაშორებდნენ თეატრს, თავისთავად დაირღვეოდა. რასაკვირველია, თეატრის ამბები მიდიოდა ცკ-ში უფრო გაზვიადებულად და, ასე ვთქვათ, მთელი ამ ორმატრიალის ფოკუსში მე ვიყავი. მე კი ვიყავი ჩემთვის, ვმუშაობდი, როგორც შემეძლო, და დარწმუნებული ვიყავი, რომ ცკ-ში ყველაფერი გამოაშკარავდებოდა. მესმო-

და ხმები, რომ თეატრში დესპოტი ვარ (თუ წესრიგისა და დისციპლინის განმტკიცება დესპოტიზმია). რომ მხოლოდ ჩემ თავზე ვფიქრობ და ვდევნი ახალგაზრდობას (დე, ახალგაზრდობის სინდისზე იყოს ეს აღმაშფოთებელი ბრალდება), რომ ქართულ დრამატურგისა არ ვაბოგინებ თეატრში, რომ მე ყველაფერს ვაკეთებ, რათა თეატრში მარტო მე გამოვჩნდე მთავრობის წინაშე, რომ ყველაფერს მე ვთამაშობ, რომ პრესაში მე ვაწერინებ რეცენზიებს კარგსა თუ ცუდს — მსახიობებზე თუ რეჟისორებზე, რომ მე და ვასაძემ დავაჭერინეთ ახმეტელი და სხვები და დავლუპეთ ისინი (ამ საკითხზე ცალკე მექნება საუბარი). იქნობამდის მივიდნენ, რომ გარყვილებაც კი დამნამეს. ამტკიცებდნენ, რომ მე არავითარი მსახიობი არა ვარ, რომ სტალინმა და ბერიამ გამბერეს, როგორც შემოქმედი, და, ვინ იცის, კიდევ რას არ ამბობდნენ. სამწუხაროდ, ეს ამბები მხოლოდ ჩემი მოხსნის შემდეგ გავიგე. იმსანად დაინყო სტალინის კულტის დამუშავება და მე, როგორც ვითომ „მისი კაცი“, არ მომნონდა ახალი ხელმძღვანელობა, მისი საქმიანობა და ვინ მოთვლის, კიდევ რა.

დადგა საკითხი რუსთაველის თეატრის მდგომარეობის შესახებ ცკ-ის ბიუროზე. ვგრძნობდი, რაღაც ხდებოდა ჩემ თავს და არ ვიცოდი კი, რა. დაიწყო ბიურო. კრებას ესწრებოდნენ: მე, ვასაძე, დვალიშვილი, ალექსიძე, თუმანიშვილი, ალ. აფხაძე, ემ. აფხაძე, რ. ჩხილვაძე. გამომსვლელები მოითხოვდნენ ჩვენს (ჩემი და ვასაძის) მოხსნას, რადგან ჩვენ სათანადოდ ვერ ვუძღვებოდით საქმეს. ბრალდება იყო ახალგაზრდობის უგულველყოფა, ქართული დრამატურგის დევნა, დესპოტიზმი და სხვა. არც ერთი კაცი თეატრიდან არ გამოვიდა ჩვენს დასაცავად. მერე იქ იყვნენ სწორედ ისეთები, რომელთათვის ბევრი რამ გამიკეთებია და, როდესაც მე მომეცა სიტყვა, ისე ვიყავ აღელვებული, რომ ვერა

ვთქვი რა, უნდა ვთქვა, ჩემდა სამარცხინოდ, ცრემლები მომადგა, კინაღამ ისტერიკა დამემართა. ახალგაზრდები, რომელთათვის დღედაღამ ვზრუნავდი, ვცდილობდი მათი შემოქმედებით გაზრდას; ძველგაზრდები, რომელებიც დაპატიმრებისაგან გადამირჩენია... დღეს ბრალმდებლად გამოდიოდნენ. საკმარისია, ერთი ფაქტი მოვიგონო: ალ. აფხაძე, რომელსაც ახმეტელი არ ლებულობდა თეატრში, როგორც ინტრიგანს, მიღებული იყო ვასაძის მიერ. იმდენად ორპირი და არაკეთილსინდისიერი, ამორალური კაცი აღმოჩნდა, რომ ხშირად იდგა საკითხი მისი მოხსნის შესახებ, მაგრამ, უზრუნველყო რა ანგარიშს შალვა აფხაძის (ძმა იყო ალ. აფხაძის) თხოვნას და ვფიქრობდი, რომ ბოლოს და ბოლოს, გამოსწორდებოდა, ვინახავდი თეატრში. აფხაძის „პოდხალიმბისას“ საზღვარი არ ჰქონდა. ჩემს პალტოს კოცნიდა და დემამის მაგიერად, ხორავას ვფიცავო, — ამბობდა, მან პარტიის საწევრო ანარიცხები 10000 მანეთის ოდენობით შეჭამა და დიდი ამბავი დამჭირდა, რომ პარტიიდან არ გამოუგდოთ. გამოუცხადეს სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით და გაფლანგული ფული შეატანინეს (ნანილი გაფლანგული თანხის დასაფარავად მე შევიტანე). და აი, ეს უმადური ადამიანი დადიოდა თეატრში და ყველას ეკითხებოდა: „როგორ ფიქრობთ, ხორავას თუ მოხსნაან?“ ვერ გადაეწყვიტა, რა ორიენტაციას დასდგომოდა. და, რომ დარწმუნდა, ჩემი მოხსნა გადაწყვეტილი იყო, გაშალა სასტიკი მუშაობა ჩემ წინააღმდეგ, რასაკვირველია, მე არასძეს მიფიქრია, რომ ვისმეს დავხმარებოდი ანგარების მიზნით, არასდროს ვყოფილვარ კრიტიკის წინააღმდეგი და ყველას ვაძლევდი უფლებას, ვაძლევდი და არა — ვთხოვდი, ჩემი მუშაობის ნაკლზე მიეთითებინათ. და განა მარტო ალ. აფხაძე იყო ასეთი — თითქმის სუსტელანი. თითქოს ხალხი რაღაცამ შეცვალაო.



მე რომ ბიუროზე ყველაფერი მე-
ლაპარაკა, რაც ვიცოდი ბევრ
მსახიობზე, შეიძლება ისინი დი-
დად გაიღანდებოდნენ, მაგრამ
აღელვებისა გამო ვერა ვთქვი.

განსაკუთრებით ამაღლვა ვა-
საძის განცხადებამ, რომ ის ჩემ-
თან ვერ იმუშავებდა. დე, ვასაძის
სინდისზე იყოს ეს განცხადება.
მწყინს, რომ ასეთი ულირს ხალ-
ხის სიტყვები, სავსე ჭორებით და
ინსინუაციებით, გახდა საბუთები
ჩვენი მოხსნისათვის. **როგორც**
შევამჩნიე, გადაწყვეტილი იყო
ჩემი სრულიად მოხსნა თეატრი-
დან, მაგრამ ვასილ მუავანაძეს
უნდა ვუმადლოდე, რომ თეატრ-
ში მსახიობად მაინც დამტოვეს.

სანამ საკითხი ბიუროზე გავი-
დოდა, კაცმა არ დამიძახა, რომ
მშვიდობიან პირობებში მეც მეთ-
ქვა ჩემი სიტყვა. მაშინ, დარწმუ-
ნებული ვარ, საქმე სხვანაირად
შეტრიალდებოდა. მზაკვრულად
გამნირეს და ხალხშიც სახელი გა-
მიტეხს. ეს მიენეს ჩემმა გაზრ-
დილმა ახალგაზრდობამ და ძველ-
გაზრდობამაც. რომ ჩემ ირგვლივ
ინტერესთა თამაში დატრიალდა,
ამას ისიც ადასტურებს, რომ სწო-
რედ მოხსნის დღის, საღამოს თე-
ატრის სარეჟისორო ოთახში
ალექსიძესა და თუმანიშვილს დი-
დი ჩხეუბი მოუვიდათ, თუ ვინ იქ-
ნებოდა მათ შორის მთავარი რე-
ჟისორი. აქედან დაიწყო ჯგუფო-
ბანა თეატრში და მათი ბრძოლა
უფლებებისათვის, რამაც თეატ-
რი მიიყვანა დღეს კატასტროფამ-
დე, როგორც ორგანიზაციულად,
ისევე შემოქმედებითად.

ინგლისელები ამბობენ: „უმა-
დურობა, ეს ყველაზე დიდი ნაკ-
ლია“.

რასაკვირველია, ეს ფაქტი დიდი
ტრავმა იყო ჩემთვის და ახლაც
არის. არა, მე დირექტორობა არ
მანუქებს. მანუქებს ის, რომ დამ-
ბრალდა ყოველივე ბოროტება,
რომ როგორმე ჩემთვის სახელი
გაეტეხათ, ქართველი ხალხის ნი-
ნაშე შევერცხვინე, რომ ხალხის
ნინაშე თავი გაემართლებინათ
თავისი საქციელის გამო. მაგრამ
ბედნიერი ვარ, რომ ხალხმა იგრ-
ძნო, რაშიც იყო საქმე და თავისი
გულისყური და სიყვარული არ
მომაკლო. ჯანდაბას ჩემი თავი,
მაგრამ თეატრს რომ არა ეშველა
რა.

თეატრი გაიხრწნა იდეურად,
მორალურად. გამეფდა არა საბ-
ჭოური ეთიკა, მორალი, არამედ
ისეთი უარყოფითი თვისებები გა-
მოვლინდა, რომლებიც რევოლუ-
ციამდელ მსახიობებს არ ახასია-
თებდათ: კარიერიზმი, ერთმანე-
თის სიძულვილი, გაუტანლობა,
ერთმანეთის ქება, ავადმყოფური
პატივმოყვარეობა, ჭორიკანობა,
„პოდრალმობა“ გამეფდა თეატრ-
ში და, რაც უნდა ეცადოს ზოგი-
ერთი დაინტერესებული კრიტი-
კოსი რუსთაველის თეატრის გა-
მარჯვებებზე წერას და ხელოვ-
ნურად მისი შემოქმედებითი
ცხოვრების ავტორიტეტის შექმ-
ნას — მკვდარს მაინც ვერ გაა-
ცოცხლებენ. თეატრმა დაკარგა
ავტორიტეტი, ყოველგვარი ტრა-
დიციები უარყოფილ იქნა. ახალ-
გაზრდობის სურვილმა — თეატ-

რის ხელში ჩაგდებისა — თითქმის
გაიმარჯვა, საშუალო თაობიდან
თითქმის სუყველანი გაძევებუ-
ლია თეატრიდან - ისეთებიც კი,
ვინც ნიჭიერ და საჭირო ძალას
წარმოადგენდა და დატოვებულია
თეატრში ბევრი უნიჭო, უპერს-
პექტივი ახალგაზრდა. ხელოვნე-
ბის მესვეურებს ავიწყდებათ, რომ
ახალგაზრდობა ლირსება კი არ
არის, უპირატესობაა. და, რომ შე-
მოქმედებაში ხანში შესული შეიძ-
ლება უფრო თანამედროვე იყოს
და მეტი სარგებლობის მომტანი,
ვინემ უნიჭო და უსაქმური ახალ-
გაზრდა მსახიობი.

მწყინს და გული მტკივა, რომ
ნიჭიერი მსახიობები გაიტაცა
დიპლომატიამ, პოლიტიკამ თე-
ატრში. შემოქმედებითად დაიშ-
ტამპნენ და უკვე შუახნის კაცებს
ჯერ არაფერი გაუკეთებიათ, რომ
ქართულ თეატრს შეეძლოს იამა-
ყოს.

1946 წელს სხვებთან ერთად
მოვხვდი გაგრაში, სტალინთან. იყვნენ ჩარკვიანი, ვასო ეგნატაშ-
ვილი, კარანაძე, შარია, ვასაძე, ბა-
ლაშვილი; სტალინის მონაფეობის
ნამხანაგარნი პეტა კაპანაძე, კე-
რაძე (მოჭიდავე) და სხვები. არ ვი-
ცი, ვინ მოაწყო ეს ამბავი. ვითვ-
ლებოდით სტალინის სტუმრებად.
ჩასვლის მეორე დღეს მიგვიღო
თავის აგარაკზე. თვითონ გამოგ-
ვეგება და მიგვიწვია ოთახში.
თვითონ არ დაჯდა, თუმც გვეპა-
ტიუებოდა, დავმსხდარიყავით,
მაგრამ ჩვენ, აბა, როგორ დავჯ-
დებოდით, როდესაც ის ფეხზე
იდგა. ჩამოვარდა საუბარი. ჩვენ
გაჩიმებულნი ვიყავით. უფრო სა-
უბარში დებულობდნენ მონაწი-
ლეობას ეგნატაშვილი და მისი მო-
ნაფეობის ამხანაგები. ერთმა მის-
მა ნამხანაგარმა (სამუქაროდ,
გვარი არ მახსენდება) სთხოვა
სტალინს, გაეთავისუფლებინა მი-
სი დაპატიმრებული სიძე. სტა-
ლინმა უპასუხა „ხომ იცი, ასეთი
საკითხი მე არ მესება, ეს ბერიას
საქმეა“. სტალინმა პეტა ეგნა-
ტაშვილს: რას ფიქრობ, ვასო, ომი
იქნება თუ არაო. ეგნატაშვილმა
უპასუხა: — არ იქნებაო; სტალინ-
მა გაიკვირვა, — რა იციო. ვასომ

სტალინის რეალურად თქვა: ხორივა საკავშირო კლასის არტისტის, პირველი კლასის, არა, ის მსოფლიო კლასის არტისტის, ბალაშვილი კი — პირველი კლასის.

უპასუხა: „არ იქნება, სტალინმა თქვა, არ იქნებაო“. „სტალინმა რაც თქვა, მე ვიცი, შენ როგორ ფიქრობ“. „რაც სტალინმა თქვა, არ იქნებაო, მაშასადამე, არ იქნება“, — უპასუხა ვასომ. ჩამთავრდა ლაპარაკი განვლილ ომზე: ომი საშინელებაო, — თქვა მან, „რამდენი მილიონი ხალხი დაიღუპა, რამდენი ნგრევა მოჰყვა, რამდენი სისხლი დაიღვარა“, — დამწუხრებულმა წარმოთქვა და აღლვებულმა გაიარ-გამოიარა. ჩვენ ვიგრძენით, რომ ხალხის მამა წუხდა ომში დაღუპული შეიღების გამო. მისი ოთახში სიარულის დროს ჩვენ ხმა არ ამოგვიღია. ვერავინ ბედავდა ამ სიჩუმის დარღვევას. ხოლო ვიღაც მოკრძალებით შეეკითხა — სად არის მოლოტოვი, სად ისვენებსო. სტალინმა პატარა პაუზის შემდეგ ამოიხსრა და თქვა „უყითომ პექჭით“, დიდი ჯაფა გადაიტანეს მათ ამ ომის დროს. არცები დაუსვენიათ. უნდა დავასვენო, ცოდვანი არიან“. ისევ გაიარ-გამოიარა. კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა. მიგვინვია სუფრაზე, რომელიც აიგანზე გაეშალათ. აიგანი ზღვას გადაპყურებდა. ლამაზი ხედი ჩანდა. თვითონ გასწიგამოსწია ფარდები აივნისა, რომ ზღვის ნიავი არ მოგვხვედროდა და არ გავცივებულიყავით. სუფრა უკვე განყობილი იყო. მოსამსახურე ქალმა ვინებრეტი შემოიტანა. ეგ აქედან მოაშორე, ესენი ქართველები არიან და ამას არ შეჭამენ, — უკან წაალებინა სტალინმა.

თამადად ბერია დანიშნა, რომელიც მაგიდის თავში დასვა. თვითონ კუთხეში დაჯდა, ნამდვილი ქართველი მასპინძელი იყო: ღვინოს თვითონ უსხამდა ყველას. ურჩევდა, რომელი დაელიათ. გვირჩევდა ატენურს. საჭმელებს თვითონ გვიღებდა თეფშებზე. რასაკვირველია, ყოველი ორი-სამი სადლეგრძელოს შემდეგ მუდამ სტალინის სადლეგრძელო ისმებოდა. კარგ გუნებაზე დადგა, ოხუნჯობდა, იცინოდა. ეტყობოდა, რომ უხაროდა ქართველებთან ჯდომა. იგონებდნენ მონაფეობის დროს. თვითონ წა-

მოიწყო „ნეტავი, გოგოვ, მე და შენ“. ჩვენც ავყევით. პირველ ხმას მღეროდა. გვარიანი გამოვიდა. სიმღერა რომ დავასრულეთ, იხუმრა: „რა ვუყო, რომ თქვენ ვოუდი ვარ. ვიყო თქვენი რეგნენტი, ო, როგორ სიმღერებს გასწავლიდით, მაშინ გაგაებინებდით, როგორ უნდა სიმღერა“. ჩემ გვერდით იჯდა ცერაძე. როგორც კი ჭიქას დავცლიდი, იმწამვე ღვინოს დამისხამდა. ჭიქები პატარები იყო. სტალინი ცდილობდა, დავეთვრეთ. ამბობენ, თუ უნდოდა კაცის შესწავლა, უთუოდ დაათრობდა, რომ შემდეგ თვალყური ედევნებინა მისი საქციელისთვის, სიტყვა-პასუხისთვის.

სტალინი ამჩნევდა, რომ ცერაძესულ მისხამდა ღვინოს. ყველას ჭიქა რომ დაიცლებოდა, ცერაძე იმწუთში დამისხამდა. სტალინი მოვიდა ჩემთან და ყასიდად მკითხა — შენ რად არა სვამო? ვსვამ-მეთქი, მაგრამ ჩემი მეზობელი მაშინვე მისხამს-მეთქი. მე არ დამინახავს, შენ როგორ დალიეო. ავიღე და მეორე დავლიე. დალევის დროს სტალინი წავიდა თავისი ადგილისკენ, მე დავლიე და, ჭიქა რომ დავდგი, ცერაძემ მაშინვე დამისხა, სტალინი უცებ მობრუნდა და ჩემი ჭიქა ისევ სავსე დახვდა, რატომ მატყუებო — მე მაშინვე გამოვცალე. კმაყოფილების ნიშნად მან ულვაშებზე ხელი მოისვა. მივხვდი, რომ მას ჩემი დათრობა უნდოდა. მეც ფრთხილად ვიყავი. როდესაც დიდ კაცებთან ხარ, განსაკუთრებით სტალინთან, უკვე მთვრალივითა ხარ და ღვინოც მალე გათრობს. ეს მე კარგად ვიცოდი.

სუფრას მივუსხედით ზუსტად ოთხ საათზე. დაახლოებით სამი-ოთხი საათის შემდეგ სტალინმა გამოაცხადა 20 წუთით შესვენება. ყველანი წამოვიშალეთ. ჩარკვიანმა და შარიამ ქვედა სართულზე ჩამიყვანეს. არ ვიცი, საიდან დაინყო კანდიდსა და შარიას შორის ვასაძეზე ლაპარაკი, მხოლოდ მომებსა: „სულ აკაკის ბრალია“. „რაა ჩემი ბრალი?“ — შევეკითხე მე. „ვასაძე, ო, ვასაძე — გულმოსულ-

მა წამოიძახა კანდიდმა, — შენ არ იცი, ის რა არის, შენ უჭერ მაგას მხარს და ეს შველის“. მე ვერა გავიგე რა, რად ან რატომ მითხრეს ეს. შესვენების შემდეგ ისევ სუფრას მივუსხედით (ზუსტად ოცი წუთის შემდეგ). სტალინმა ანიშნა, რომ ჩემი სადლეგრძელო დაელია თამადას. სადლეგრძელობს მხოლოდ ბერია ამბობდა ძალიან მოკლედ. ჩემი სადლეგრძელოს დროს სტალინი წამოდგა, წამოვიდა ჩემკენ, მე მაშინვე ავდექი და კედელს გავეკარ. სტალინმა რუსულად თქვა: ხორავა საკავშირო კლასის არტისტია, პირველი კლასის, არა, ის მსოფლიო კლასის არტისტია, ბალაშვილი კი — პირველი კლასის.

სტალინის ასეთმა შეფასებამ ცრემლები მომგვარა. მომიჭახუნა ჭიქა. ძალზე ავლელდი. შემდეგ მივიდა ბალაშვილთან, „ა, რას იტყვი, ხომ კარგია კომუნისტური პარტია?“ „კარგია, ბატონო სტალინი“, — უპასუხა ბალაშვილმა. „კაცო, რა სულ ბატონოს მექახი, მე მთელი ჩემი სიცოცხლე ბატონებს ვებრძოდი, დამიძახე ამხანაგო“. „კარგი, ბატონო სტალინი“, — უპასუხა ბალაშვილმა. სტალინმა გაიღიმა და ხელი ჩაიქნია.

ვახშმის შემდეგ სტალინმა ყავაზე მიგვიპატიუა. საუბარი უფრო ეხებოდა მისი მონაფეობის პერიოდს. ყველას გვიხაროდა, რომ სტალინი მხიარულად გრძნობდა თავს. დავიშალებით ღამის ორ საათზე გამომშვიდობებისას სტალინს გულზე ვაკოცე. ის გადამევია და მაკოცა. რასაკვირველია, მე ბედნიერი ვიყავი...

სტალინი ამ საღამოს იყო ნამდვილი გულუხვი ქართველი მასპინძელი. თვითონ უსხამდა ყველას, თითქმის, ღვინოს. ურჩევდა, რომელი ღვინო დაელიათ (ხმარებაში უფრო ატენური იყო), თვითონ გადმოგვიღებდა თეფშებზე საჭმელებს. ყველას ყურადღებით ექცევდა. ვამჩნევდი, რომ უფრო ხშირად მე მადევნებდა თვალს. ალბათ, ჩემი შესწავლა სურდა. „ბატონო სტალინ, — უთხრა ვახშმის დროს ბალაშვილმა, — მე არ მომნაფეობის დროს. თამაშობენ



სტალინის როლს კინოში — მე სხვანაირად ვითამაშებდი". — სტალინმა საუბარი სხვა საგანზე გადაიტანა. დიდად აკვირდებოდა ბალაშვილს. იცოდა, რომ ის ფსიქიურად დაავადებული იყო და თითქოს ცდილობდა, გაეგო მიზეზი მისი დაავადებისა. გამოგვემშვიდობა, ეზოში გამოგვაცილა და ჩვენც გახარებულნი წავედით ჩვენს ბინებში. იმდენად ვიყავით აღფრთოვანებულნი, რომ სახლში მოსვლისას კიდევ შემოვუსხედით სუფრას და დიდხანს შთაბეჭდილებათა გაზიარებით ვიყავით გართულნი.

იმ დილით უნდა გამოევლო სპეციალურად გამოყოფილ მატარებელს უმაღლესი საბჭოს სესიაზე მიმავალი დეპუტატებით. მეც ვიფიქრე, რომ სტალინთან სტუმრობა დამთავრდა და გადავწყვიტე, გავყოლოდი იმ მატარებელს. ჩემს შეკითხვაზე, ხომ არ არის მოსალოდნელი, რომ ისევ მოგვიხდება სტალინთან შეხვედრა, ეგნატაშვილმა, რომელიც ხშირი სტუმრი იყო სტალინისა, მიპასუხა — არა, მე მგონია, ჩვენი სტუმრობა გათავდა. მე მივდივარ მოსკოვში, წამოდიო შენც. მეც ავიდე ჩემი ჩემოდანი და წავედით ორივენი სადგურზე. ჩავსხედით მატარებელში და გავწიეთ მოსკოვისკენ.

დეპუტატებმა იცოდნენ, რომ ჩვენ სტუმრად სტალინთან ვიყავით. გვეკითხებოდნენ, როგორ

იყო, რა თქვა; მე კიდევ არა ვარ ჩვეული, საზოგადოდ, დიდგაცებთან შეხვედრის ამბების მოყოლას — შეიძლება, რომელიმე მომენტი არასწორად გავიგე ან შევაფასე და ამით ჩემი შთაბეჭდილება, არ მინდა, ვინმეს თავზე მოვახვიო.

დიდგაცების სიტყვებს, ქცევას არ შეიძლება ზერელედ შევხედოთ. ყოველ მათ ქცევას, სიტყვებს, უთუოდ რაღაც მიზანი აქვს. შე ვგულისხმობ იმ დიდ კაცებს, რომლებიც სახელმწიფო ბრივ თუ საზოგადოებრივ საქმიანობაში დიდ ღირებულებას წარმოადგენ და მათი ავტორიტეტიც დასაფასებელია და მოსავლელი.

ბევრს უყვარს ფამილიარულად მოპყრობა დიდი სახელების მიმართ. ამით, ჰერინია, ხალხის თვალში პრესტიჟი ემატება, მაგრამ როგორი ხალხის — ისეთივესი, როგორიც თვითონ არიან, კარიერისა და ცრუ განდიდების მანიით შეცეყრობილთა ასეთი მოქცევა სახელს უტეს მართლაც საპატივცემულო ადამიანებს.

ხანდისხან ასეთი განდიდების მოყვარულნი თავის კომენტარებს უკეთებენ დიდი კაცის ნათევამს, ცქევას და ეს კომენტარები სავსებით ენინააღმდეგება ნათევამის აზრს. შეცდომაში შეყვავთ სწორი აზრის გაგების მოსურნენი. სიტყვას მოჰყვა და უნდა ვთქვა: რამდენი უნებლივ შეცდომა ჩაუდენია ადამიანს, როდესაც არასწორად გადმოუცია ვინ-

მეს — რომელიმე ხელმძღვანელის დავალება ან აზრი. საბოლოოდ დამხაშავე გამოდის არა დავალების გადმომცემი. ამიტომაც, როდესაც მეუბნებიან ვინმეს დავალებას, ვცდილობ, შევამოწმო უშუალოდ დავალების მომცემთან (როდესაც ეს შესაძლებელია).

მოსკოვში ჩასვლისას მ. ბარამიამ მისაყვედურა, თუ რატომ წამოვედი გაგრიდან — სტალინს მეორე დღეს ისევ მიუწვევია იგივე სტუმრები და, მე რომ ვერ მნახა, გული მოსვლია და უსაყვედურნია ჩარკვიანისთვის, რად გამიქციე სტუმარიო. ახლავე გზიდან დააბრუნეთ და მომიყვანეთო. აბა, ამ სიგრძე გზაზე სად მნახავდნენ.

თბილისში დაბრუნებისას მივწერე სტალინს წერილი, რომელშიც ვიხდიდი ბოდიშს ჩემი დაუკითხავად გამგზავრებისა გამო და ვუხსნიდი, წვეულება დამთავრებული მეგონა-მეთქი.

რასაკვირველია, ძალიან შევწერდი, რომ მე გავხდი მიზეზი სტალინის უკმაყოფილებისა და აღელვებისა ჩემი მოსკოვში გამგზავრებისა გამო. მართლაც, რა მიმეჩარებოდა სესიაზე მოსკოვში, როდესაც დიდ სტალინთან სტუმრად ვიყავი — მოსკოვიცა და სესიაც იქ იყო, სადაც სტალინია.

რამდენიმე ხნის შემდეგ მივიღებარათი სტალინისაგან, სადაც ბოდიშს იხდიდა ცუდი მასპინძლობისთვის. წერილი, როგორც წმინდა რელიეფი, შენახული მაქვს.

* * *

ვერიკო ანჯაფარიძე — უბედურება და სიხარული ჩემი თაობის ქართული თეატრის. ადამიანი, რომელიც არასდროს თავის შინაგან, მაინცადამაინც არასახარბიელო ადამიანურ ბუნებას არ გამოამჟღავნებს. ხალხში კეთილშობილების, სამართლიანობის, ხელოვნებისათვის მებრძოლის ნიღაბი აქვს ჩამოფარებული და, უნდა ითქვას, ნიღაბს ოსტატურად ატარებს. ასეთივე მისი მეუღლე მიხეილ ჭიაურელიც — ნიჭიერი დილეტანტი. კაცი უნ-

ყველა ჩაერისონი და ვერიკო

**ამარი ახელების გინების მეტს არას
სჩადიოდეს იგ მიზნით, რომ კოტეს
გული გასტესოდა ახელებიზე და მის
გაგიარ რომელიმე ქართველ ჩაერისონს
და ეკავებინა ახელების აღმიანის აზრი.
ჩასაკვირველია, ანჯაფარიძე
ცდილობდა, თავისი ქარი, ჭიაურელი
გაესაღა კოტეს მოაღილეოდ.**

ლო, მშიშარა, პატივმოყვარე, კარიერისტი, ქვეშ-ქვეშა, პოდხალიმი, რომელიც თავისი კარიერისათვის გაყიდის თავისიანებსაც კი „ფერი-ფერსაო“ ... ამბობს ანდაზა — ეს ამ ცოლ-ქმარზეა გამოჭრილი. დავიწყებ ჩვენი გაცნობის პირველი დღიდან. ანჯაფარიძე არც ცხოვრებაში და არც სცენაზე არ მინახავს ჩემი რუსთაველის თეატრის სცენაზე მუშაობის დაწყებამდე. ისე კი მშენია, რომ არის ახალგაზრდა, ნიჭიერი მსახიობი. როგორც ვიცი, სწავლობდა მოსკოვში. და ჩვენში ხომ ჩამოსულ კაცს მეტი პატივი აქვს, ვიდრე შინაურს. გავარდნილი ჰქონდა ხმა, რომ იყო ყარაჩოლელი გოგო, უბრალო, უფრო თეატრის ახალგაზრდა ყმანვილებთან იყო. მათთან ქეიფობდა, დროს ატარებდა. ხანდახან „ყარაჩოლელობას“ იმითაც ამტკიცებდა, ვითომ ხუმრობით, მამაკაცისათვისაც კი უკადრისი გინებაც იცოდა. ეს ყოველივე, ეტყობა, არასათანადო კულტურულ ახალგაზრდობას მოსწონდა და თავის ტოლ-ამსანაგად თვლიდნენ. გათხოვდა შალვა ამირეჯიბზე, რომელიც ქართველი ინტელიგენციას უყვარდა და მის წრეშიც ანჯაფარიძე იყო მიღებული. ჰქონდა გავარდნილი სახელი მომხიბვლელის და ბოჰემის (ბოჰემურისა).

თეატრში ჩემი მოსკოვისას ვერიკო გაყიდილი იყო თავის ქმართან და გადაკიდებული იყო ჭიაურელს, მგონი, უკვე მისი ცოლიც იყო. ქართველი ინტელიგენცია უკამაყოფილო იყო ანჯაფარიძით, რადგან გაჭირვების დროს ამირეჯიბს უდალატა და არა მაინცადამაინც კარგი სახელის მქონე მიხეილ ჭიაურელს გაჰყვა ცოლად. ამირეჯიბი და ამეტელი ახლო კაცები იყვნენ და, რასაკვირველია, სანდოროც გამწყვალი იყო ვერიკოზე. არ ვიცი, სხვა რა იყო მიზეზი მათი უთანხმოებისა, მაგრამ ერთი კია, რომ თითქმის ერთმანეთს ხმასაც კი არ სცემდნენ. ანჯაფარიძე ხედავდა, რომ ჭიაურელს მაინცადამაინც ხალხი პატივით არ ეპყრობოდა და იგი ყველაფერს აკეთებდა, რომ

როგორმე ჭიაურელს საზოგადოებაში კარგი მდგომარეობა ჰქონდა. მარჯანიშვილის ჩამოსვლიდან ანჯაფარიძე ცდილობდა ჭიაურელის და კოტეს დაახლოებას, რომ იგი გამხდარიყო კოტეს მარჯვენა ხელი. როგორც ვიცით, კოტემ რეჟისორებიდან სანდორო ამეტელი აირჩია თავის თანაშემწედ. ყველა რეჟისორი და ვერიკოს ამეტელის გინების მეტს არას სჩადიოდნენ იმ მიზნით, რომ კოტეს გული გასტეხოდა ამეტელზე და მის მაგიერ როგორიმე ქართველ რეჟისორს დაეკავებინა ამეტელის ადგილი. რასაკვირველია, ანჯაფარიძე ცდილობდა, თავისი ქმარი, ჭიაურელი გახეადა კოტეს მოადგილედ. კოტემ, მიუხედავად ასეთი სიძულვილისა, მაინც არ მოიშორა თავიდან ამეტელი და, როგორც ნიჭიერ რეჟისორს, თვლიდა თავის მარჯვენა ხელად. ამეტელიც უხდიდა კოტეს ღრმა სიყვარულით, ერთგულებით და პატივისცემით.

ყველას ახსოვს, თუ როგორი უკმაყოფილონი იყვნენ ძველი რეჟისორები კოტესი — ყოველ რეჟისორს ჰყავდა თავისი ჯგუფი, ყოველ დიდ მსახიობს (ჩემიძე, იმედაშვილი და სხვ.) — თავისი აპამრინები. თეატრი და, საერთოდ, საქართველოს თეატრების მუშანი დაყოფილი იყვნენ ჯგუფებად. ახალგაზრდობა უფრო კოტესაკენ იყო.

ახალმა პოლიტიკურმა ვითარებამ დააყენა ქართული თეატრის მოღვაწეობის წინაშე საკითხი — როგორ უყურებენ ისინი საბჭოთა ხელისუფლებას და იმუშავებენ თუ არა იმ მიზნების მისაღწევად, რომელთაც გამარჯვებული მუშა და გლეხი ისახავდა. ქართული თეატრის მიღწევათა კონფერენციაზე აუდიტორია ორ ბანაკად გაიყო: ერთი, რომელსაც სურდა, დამდგარიყო საბჭოთა პლატფორმაზე და თავისი ნიჭი მშრომელთა სამსახურში ჩაეყენებინა; მეორენი — რომლებიც კიდევ ებლა უჭებოდნენ ძველი თეატრის ნაციონალისტური დეოლოგიას. დაარსდა მსახიობთა ახალი კავშირი.

ძველი თაობის ხელოვანებმა დემონსტრატიულად დატოვეს კონფერენცია (ქორელი, ანდრონიკაშვილი, ჩხეიძე, იმედაშვილი, ამირეჯიბი, არობიძე და სხვ.).

ახალ კავშირში ახალგაზრდებთან ერთად იყვნენ: ფალავა, გუნია, ნ. დავითაშვილი, ნ. ჯავახიშვილი, პ. კორიშელი, ს. ბეჟანიშვილი, ნ. გოცირიძე და სხვ.

მარჯანიშვილმა შეადგინა 1923-24 წლის სეზონისათვის დასი საბჭოთა პლატფორმაზე მდგომ ძველგაზრდა თუ ახალგაზრდა მსახიობებისგან, რასაკვირველია, მხედველობაში იყო მიღებული ყველა მსახიობი, რომლებიც იდგნენ საბჭოთა პლატფორმაზე და განაცხადებდნენ საჯაროდ სურვილს, ებრძოლათ ახალი ქართული თეატრის შექმნისათვის, პრძოლა ძველსა და ახალს შორის თანდათან მწვავდებოდა. ეს პრძოლა გადავიდა საზოგადოებაშიც.

ამეტელის მეთაურობით ახალგაზრდობამ გადაწყვიტა, შეეკრა მტკიცე თრგანიზაცია, რომელიც გარს შემოეკვროდა კოტე მარჯანიშვილს და არ მისცემდა ნაციონალისტურ ფენას გასაქანს, რაიმე ზიანი მიეყენებინა კოტესათვის. დაარსდა დურუჯი. იგი გამოვიდა ძალიან უხეშად დანერილი მანიფესტით. დურუჯის მანიფესტის დედააზრი იყო პრძოლა ახალი ქართული თეატრის შექმნისთვის, თეატრისა, რომელიც თავისი შემოქმედებით ახალი დროის მოთხოვნებს მოემსახურებოდა, განამტკიცებდა რკინისებურ დისციპლინას მუშაობაში, იპრძოლებდა ნაციონალისტური იდეების და ახალი დროისათვის მიუღებელი ტრადიციების წინააღმდეგ. იპრძოლებდა ახალი ტიპის მსახიობის ჩამოყალიბების და არა უკრავს ხელი არ უკრავს ძველი მსახიობებისთვის და, ვისაც სურდა კოტესთან მუშაობა, ყველა დასში ირიცხებოდა (ნ. გოცირიძე, ნ. დავითაშვილი, ნ. ჯავახიშვილი, პლ. კორიშელი და სხვ.). ნ. ჩხეიძემ, იმედაშვილმა და მათი აზრის



მატარებლებმა დატოვეს თეატრი და შეადგინეს „ქართული დასი“ — მართავდნენ წარმოდგენებს ოპერის თეატრში.

რასაკვირველია, დურუჯის სულის ჩამდგმელი იყო სანდრო ახმეტელი, მარჯვენა ხელი კოტე მარჯანიშვილისა. მანგლისში დასის საზაფხულო ყოფნის დროს მედამევალა, შემედგინა დურუჯის წესდება და შინაგანანესისა, რაც შევასრულე. ერთ-ერთი მუხლი შინაგანანესისა იყო — უმცირესობა ვალდებულია, დაემორჩილოს უმრავლესობის აზრს. ამთავითვე დურუჯში ორი ჯგუფი შეიქმნა — ერთი, ასე ვთქვათ, არისტოკრატია, „კულტურული მსახიობი“, მაღალ წრებში მიღებული ხალხი; უკვე სახელმოხვეჭილი ანჯაფარიძე, დავითაშვილი, გ. დონაური, ნ. გამრეკელი და სხვანი; ხოლო მეორე ჯგუფი შედგებოდა უსახელო ახალგაზრდებისგან, „დაბალი კულტურის მქონეთაგან“. ასეთები იყვნენ: თ. ჭავჭავაძე, ჩეჩიძე, ლორთქიფანიძე, ვასაძე, პატარაია, კორიშვილი, ჯიქია, პატარიძე, კ. გველესიანი, ანთაძე და სხვ. პირველი ჯგუფი ყოვლის მცოდნედ თვლიდა თავს და, რაკი ხშირად იყვნენ ხელმძღვანელების წრებში, თავი მოჰქონდათ ყოვლის შემძლებელ და უცვლელ ადამიანებად. მეორე ჯგუფი გულწრფელად იყო მონადინებული, ებრძოლა ახალი, საბჭოური მსახიობის სახის შექმნისთვის და ზუსტად იცავდა წესდებას. ყველა-სათვის, დიდისათვის თუ პატარი-

სათვის, დისციპლინა ერთნაირად იყო სავალდებულო.

რასაკვირველია, პირველი ჯგუფის მსახიობებს ეთაკილებოდათ მკაცრი დისციპლინა და ხშირად ამუშავებდნენ და გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას უმრავლესობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. მეორე ჯგუფში იყო კიდევ ერთი ჯგუფი: „ზესტაფონელები“ — ლამბაშიძე, უ. ჩხეიძე, დ. ჩხეიძე და მათი ბეთაური დ. ანთაძე. ამათ ჯგუფთან ახლოს იდგნენ ჭავჭავაძე, ვასაძე, შეიძლება ითქვას, რომ ყოველგვარი ჯგუფობრიობის გარეშე იდგნენ ახმეტელი, ჯიქია, ი. გამრეკელი, პატარაია, შავიშვილი და ერთი-ორი კიდევ, რომელიც ზესტად იცავდნენ დურუჯის მთლიანობას და მის შინაგანანესის, პირველი ჯგუფის მიერ ახმეტელის დამუშავებამ უმძაფრეს წერტილს მიაღწია. ისინი ცდილობდნენ, როგორმე კოტეს გული აცრუებოდა სანდროზე და, რასაკვირველია, ფარული მიზანი იყო ჭიაურელის მიყვანა თეატრში. შეისწავლეს რაკოტეს სისუსტე, დონაურის ოჯახი თითქმის ყოველდღე მართავდა ქეიფებს კოტესათვის. ქეიფებს ესწრებოდნენ, რასაკვირველია, დონაური, მისი ბიძაშვილი ლიალია, რასაკვირველია, ვერიკო. მუდამდელ იყო დამუშავება კორპორაციისა მისი დაშლის მიზნით, დამუშავება ახმეტელისა, თითქოს მტრისა მარჯანიშვილის. ამ ქეიფებს დაბალი ხარისხის ბოჭებურობა ახასიათებდა. კოტეც ჩა-

ვარდნილი იყო ამ წუმპეში, მაგრამ, მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ, მიუხედავად პირველი ჯგუფის სიძულვილისა, მარჯანიშვილი ახმეტელს, როგორც თავის მოადგილეს, არ თმობდა.

ამ ქეიფების დროს ყველანი უპრანავდნენ თვალს კოტეს, რომ როგორმე მისი განსაკუთრებული ყურადღება დაემსახურებინათ — მიზანი იყო, როგორმე კოტე ჩაეგდო რომელიმე მათგანს ხელში და მისი ნება-სურვილის გამტარებელი გამხდარიყო. კოტეს თვალში ელენე დონაური ჩაუვარდა. ყველა უწყობდა ხელს, რომ კოტესა და დონაურს შორის რომანი გაღვივებულიყო — აეც-რუებინათ გული კოტესათვის კორპორაციაზე, ახმეტელზე. ჩვენ ვგრძნობდით, რა მზაკვრულ პოლიტიკას ანარმობენ კოტეს მიმართ „სახელოვანი“ მსახიობები — მათ სურდათ, კოტე გაყროდა თავის მეუღლეს, შესანიშნავ ქალს, და შეერთო ელენე დონაური. ამ საქმისათვის თავგამოდებით იბრძოდნენ ანჯაფარიძე, ლიალია ვაჩინაძე, გამრეკელი ბაბუცა. ანჯაფარიძის მიზანი იყო, ელ. დონაურის მეშვეობით ხელში ჩაეგდო კოტე და თავის ნება-სურვილზე ეტრიალებინა იგი. შუამავლებმა მიზანს მიაღწიეს — კოტე გაყარეს ცოლს და შერთეს დონაური.

ამ პირობებში უფრო გამწვავდა შიგნით, კორპორაციაში, ურთიერთობა. კოტეს არწმუნებდნენ, რომ კორპორაცია ძირს უთხრის მის ავტორიტეტს, რომ ახმეტელი ცდილობს, გააგდოს კოტე თეატრიდან და თვითონ ჩადგეს სათავეში. პირველი ჯგუფი ამ პირობა-განდას საზოგადოებაში ეწეოდა. თანდათან გაიყო ინტელიგენცია ორ ბანაკად, ორად გაიყვნენ პარტიული ხელმძღვანელებიც. რასაკვირველია, ყურულაშვილი თავისი ცოლის, ს. ჭიჭინაძის გავლენის ქვეშ მოექცა, ლ. ღოლობერიძე ერთი მსახიობი ქალისადმირომანულმა დამოკიდებულებამ გაიტაცა.

დასასრული
შემდეგ ნორაში

**პირველი ჯგუფის მიერ
ახმეტელის დამუშავება
უძაფრეს წერტილის მისაღები.
ისინი ცდილობდნენ, როგორმე
კოტეს გული აცრუებოდა
საცხოვე და, რასაკვირველია,
ფარული მიზანი იყო ჭიაურელის
მიყვანა თეატრში. შეისწავლეს რაკოტეს სისუსტე, დონაურის ოჯახი თითქმის ყოველდღე მართავდა ქეიფებს კოტესათვის. ქეიფებს ესწრებოდნენ, რასაკვირველია, დონაური, მისი ბიძაშვილი ლიალია, რასაკვირველია, ვერიკო. მუდამდელ იყო დამუშავება კორპორაციისა მისი დაშლის მიზნით, დამუშავება ახმეტელისა, თითქოს მტრისა მარჯანიშვილის. ამ ქეიფებს დაბალი ხარისხის ბოჭებურობა ახასიათებდა. კოტეც ჩა-**

ს

«ივერია» და ქართული ინტელიგენცია XIX საუკუნის 90-იან წლებში

(დასასრული დასაცყისი იხ. „ისტორიული მემკვიდრეობა“ №5)

90-იანი წლების დამდეგისთვის გაზეთი „ივერია“ კვლავ რჩება ქართული საზოგადოებრივი აზრის ერთადერთ გამომსახულებად, 1891 წლიდან 1893 წლამდე ქართველი დემოკრატიული ინტელიგენციის საერთოდ და უპირატესად — თერგდალეულთა იდეური მიმდინარეობის ერთადერთი მესიტყველი.

ქვეყნის სამეურნეო დოკუმენტის ეროვნულად მოვლა-პატრონობის საკითხს ილია საგანგებოდ ეხება სტატიებში, „ჩვენი სოფლის მეურნეობა და შეკავშირების საჭიროება“ და „კახეთის სოფლის მეურნეობის კავშირი“. პირველ სტატიაში ილია მიუთითებს გლეხობის შეკავშირებაზე, მათი შესაძლებლობის გაერთიანების აუცილებლობაზე მინის დამუშავების პრიმიტიული წესების აღმოსაფხვრელად, სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციისთვის მანქანა-იარაღების შესაძენად და სხვ. გლეხებმა, — შენიშნავს ილია, „უნდა საზოგადო ქონება გაიჩინონ და ეს ქონება თავის დროზედ მოახმარონ მინების შესყიდვას, ადგილმამულების შეძენას, მინადმოქმედების განკარგებას, სარწყავ წყლების გამოყვანას, სკოლების დაარსებას, კაი ჯიშის საქონლის მოშენებას და გამრავლებას, რომელიც შორიდამ თუ ახლოდამ ხელს უწყობს სოფლური მეურნეობის წარმატებას“.

მეორე სტატიაში ილია ასაბუთებს, რომ ქართველ ხალხს აქვს მეურნეობის უკეთ მოწყობის და ეკონომიკური დოკუმენტის შექმნის ყველა საშუალება. რომ ახლა რკინიგზებმა და საზღვაო ხომალდებმა ჩვენი პროდუქციის შორის გატანის საუკეთესო შესაძლებლობანი შექმნეს, რომ ბუნებისა-გან მომადლებულ ჩვენს ქვეყანაში ყველაფერია, რაც სულსა და

გულს უნდა, კაცმა გაიჩინოს, გამოილოს ბაზარში გასატანად. ას-ლა, ამ ახალ ვითარებაში ქონება მთავარი, იგი ფართო ცენტრი ისტორიული საზოგადოების მეურნეობის განკარგება და გაძლიერება. „მინათმოქმედებას ჩვენში სხვა გზა და მიმართულება“ უნდა აუჩინონ, — ნერს ილია, — გაუმრავალგვარონ კულტურა ჰავისა და მინის შესაფერად. ყოველივე ახლად შემოსალები საჭირნახულო შეუნიონონ საშინაო და საგარეო ბაზრის მოთხოვნილებას, ძვირფასი რამ ჭირნახული დაუდვან საგნად მინისმოქმედს და იეფის ფასის ჭირნახულზე ხელი ააღებინონ ან გაუადვილონ ხარჯი და მუშაობა“.

ილიას აზრით, ცოდვაა, მადლიანი ქართული ნიადაგი პურზე მოაცდინო. იმისთანა ქვეყანაში, „სადაც ჩაი, სორგო, ალისარჩული, აბრეშუმი მოდის, საცა ბამბა ხარობს, საცა ყოველგვარი ხეხილია შესაძლებელი, საცა ყურძნი მოდის, ლვინო დგება, საცა შესაძლოა გაჩენა თითქმის ყოველგვარ საზეთე, სამღებრო და სააფთიაქო მცენარეებისა, იქ მინისა და ხელის მოცდენა იმისთანა ფასმოკლე ჭირნახულისათვის, როგორც, მაგალითებრ, პურია, ჩვენის ფიქრით, დიდი შეცდობა“.

ილიას საჭიროდ მიაჩინდა, რომ ჩვენი მეურნეობის პროდუქცია გაგვეტანა რუსეთში, სადაც მას



ხელსაყრელი ბაზარი ელოდებოდა, იქიდან კი სანაცვლოდ პური შემოგვეტანა.

ამით იყო გამოწვეული ილიას განსაკუთრებული ყურადღება საქართველოს სოფლის მეურნეობის ისეთი დარგებისადმი, როგორიცაა მევენახეობა-მელვინეობა, მეხილეობა და მესაქონლეობა; ამიტომ ურჩევდა იგი ხალხს ინტენსიური კულტურების გაშენების მიზანშენილობაზე.

ამ დროისათვის ილიას ყურადღების ცენტრი მართლაც სოფელი იყო, რადგან სოფელი ეროვნული ლონისძიების საფუძვლად მიაჩინდა. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავდა, რომ იგი, თითქოს, კაპიტალისტური მრეწველობის განვითარების წინააღმდეგ გამოდიოდა. ილია დიდი მოსურნე იყო — ჩვენი ქვეყნის კაპიტალისტური მრეწველობის განვითარებისა. მას გულს უკლავდა ის, რომ შავი ქვის მრეწველობა უცხოელთა ხელში იყო. სხვები ისქელებდნენ ჯიბეს ჩვენი ეროვნული დოკუმენტით, რომ



ცხენის რეინისგზა ქალაქში უცხოელებმა გამართეს, ჩვენი სოვდაგრები კი თვლემდნენ, რომ საქართველოში დიდებული სალითოგრაფიო ქვა აღმოჩნდა, მაგრამ მის დამუშავებაზე არავის უფიქრია. რომ ჩვენი სიმდიდრე ჩვენს ხალხს პირიდამ ეცლება და გამკითხავი არავინ არის, რომ შაქრის ქარხანას „სხვიდგან მოსულები“ მართავენ, რომ ნავთის საქმესაც ჩვენი სოვდაგრების უთაურობით ასეთივე დღე დაუდგა და სხვ.

ილიას მიაჩნდა, რომ ქვეყნის სამრეწველო განვითარებას სათავეში ეროვნული ძალები უნდა ჩაუდგნონ, ამისათვის პირველყოვლისა, საჭიროა კადრები, საჭიროა ტექნიკური ინტელიგენციის აღზრდა. სტატიაში „სატექნიკო და სახელოსნო სასწავლებელთა შესახებ“ (დაწერილია 1898 წ.), ილია საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას ტექნიკური ინტელიგენციის უდიდეს მნიშვნელობაზე და მაგალითისათვის მოჰყავს გერმანია, რომელიც 90-იან წლებში წინა პლაზე სამრეწველო განვითარება გარდაუვალად და სასარგებლოდ მიაჩნდა; იგი შესაძლებლად თვლიდა ახალ პირობებში ხალხის შემოქმედებითი ძალების მიზანსნრაფულად ამოქმედებას, რაც ეკონომიკური პროგრესის შემაპირობებელი უნდა ყოფილიყო. ამრიგად, 90-იან წლებშიც ილია აქტიურად, მიზანსნრაფულად, ულევი ენერგიით, ოპტიმისტური განწყობილებით განაგრძობდა ბრძოლას ეროვნულგანმათავისუფლებელი მოძრაობის იმ იდეალებისათვის, რომელიც ჯერ კიდევ 60-იან წლებში იქნა განხორციელებული.

ილიას აზრით, თუ გვსურს მსოფლიოს ტექნიკურ პრო-

რესს ფეხი ავუცყოთ, უნდა ვიზრუნოთ ტექნიკური განათლებისათვის. „სატექნიკო სკოლები აუცილებელი საჭიროებაა და ცხოველყოფები სახსარია ჩვენი ნარ-სულის საძმის ხელახლად გამოგრძელებისათვის“.

ეკონომიკურ საკითხებზე 90-იან წლებში ილიას ნააზრევის ეს მოკლე დახასიათებაც ცხადყოფს, რომ იგი კი არ ჩამორჩა მოვლენებს, არამედ წინ უსწრებდა მათ. ცხადყოფს, რომ მისი პოზიცია ქვეყნის სამეურნეო განვითარებისა პროგრესული იყო და ხალხის ინტერესებიდან ამოდიოდა; რომ მას საქართველოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის კაპიტალისტური განვითარება გარდაუვალად და სასარგებლოდ მიაჩნდა; იგი შესაძლებლად თვლიდა ახალ პირობებში ხალხის შემოქმედებითი ძალების მიზანსნრაფულად ამოქმედებას, რაც ეკონომიკური პროგრესის შემაპირობებელი უნდა ყოფილიყო. ამრიგად, 90-იან წლებშიც ილია აქტიურად, მიზანსნრაფულად, ულევი ენერგიით, ოპტიმისტური განწყობილებით განაგრძობდა ბრძოლას ეროვნულგანმათავისუფლებელი მოძრაობის იმ იდეალებისათვის, რომელიც ჯერ კიდევ 60-იან წლებში იქნა დასახული.

ილია ჭავჭავაძე:
ასაფერო არსებობის ინიციატივის მისი გული და სელი ენა, ამიტომაც
ტლანები ხალი უხესარის მოხელეობისა
უველავად უცინარეს ენას მისწვდა.
თუ არმალსამა მოხელის ხელს ამ
შემთხვევაში აზრი არა ამოქმედებდა,
ის ის აზრი იყო, რომ სახელმწიფო
ერთიანობა შეუძლებელია იქ, სასა
უველავი ერთსა და იმავე სახელმწიფო
ენაზე არ ლაპარაკებოდა. იგი, სასა
უველავი ერთსა და იმავე სახელმწიფო
ენაზე არ ლაპარაკებოდა.

კავკასიაში ცარიზმის რეაქციული პოლიტიკის მესვეურთათვის ილიას ეს ენერგიული მოღვაწეობა არ შეიძლება დაფარული ყოფილიყო. მათთვის ცხადი იყო ისიც, რომ ამ ბრძოლაში ილია მეთაურის როლს განასახიერებდა, რომ მის გარშემო იყვნენ დარაზმული ეროვნული და სოციალური ჩაგვრისაგან ქვეყნის განთავისუფლებისათვის მებრძოლი ძალები.

ამიტომ იყო, რომ კავკასიის რეაქციული მოხელეობა ეჭვის თვალით უცქეროდა „ივერიას“ და მის რედაქტორს, კრძალავდა გაზეთის გამოცემას და ადმინისტრაციულ საჯარელს ადებდა მის მეთაურს.

„დაბეჯითებით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ მთავარი ხელმძღვანელი იმ მიმართულებისა, რომელსაც მიზნად აქვს დასახული ეროვნული მოძრაობის გაღრმავება, არის თავადი ილია ჭავჭავაძე. ი. ჭავჭავაძე შესანიშნავი გონიერისა და მდგომარეობის პატრონია. სარგებლობს დიდი ავტორიტეტით საერთოდ ქართველთა და განსაკუთრებით თავისუფალმოაზროვნეთა შორის. ხმები დადის, რომ დღოდადრო მასთან ენყობა საიდუმლო კრებები, რომელზედაც ირჩევა სხვადასხვა საზოგადოებრივი და სოციალური საკითხები“.

თბილისის უანდარმთა სამმართველოს ეს დასმენა, რომელიც პეტერბურგში იქნა გაგზავნილი, 1894 წელსაა დაწერილი და საკმაო სიზუსტით ასახავს ი. ჭავჭავაძის მაღალსაზოგადოებრივ მდგომარეობას, საყოველთაო ავტორიტეტს, მის იდეურ მიმართულებას. ამიტომ იყო იგი პოლიციის საიდუმლო მეთვალყურეობის ქვეშ, ამიტომ არ დართეს ნება ქართველ საზოგადოებრიობას, 1898 წელს გადაეხადა ი. ჭავჭავაძის სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის იუბილე.

„ივერიის“ რიგი მოწინავე წერილებისა, რომელიც, ჩვეულებრივ, ხელმოუწერელი იყო, ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის. ...ნიმუშისათვის ყურადღებას

ჩვენ მხოლოდ ილიას ერთ მოწინავე წერილზე შევაჩერებთ. ამ სტატიას, ჩვენი აზრით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივის მეცნიერთანამშრომელმა, ანგანსვენებულმა ა. იოვიძემ 1947 წელს ჟურნალ „საისტორიო მოამბეში“ გამოაქვეყნა დოკუმენტური მასალები ილია ჭავჭავაძის (ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ). მასალებში შეტანილია კავკასიის საცენზურო კომიტეტის საქმეებში დაცული გაზეთ „ივერიისთვის“ ნავარაუდევი მოწინავე სტატიის (ცენზურის მიერ აკრძალულის) რუსული თარგმანი. თარგმანი ხელნაწერია, უთარილო. იმავე საქმეში დაცულია საცენზურო კომიტეტის მიმართვა, რომლითაც დგინდება სტატიის დაწერის მიახლოებითი დრო და თარგმნის ზუსტი თარიღიც — 1897 წლის 8 დეკემბერი. ავტორის ვინაობაზე თარგმანში არაფერია ნათქვამი, დედანი კი დაკარგულია. ა. იოვიძე ვარაუდობს, რომ „მოწინავე სტატია, მასში გამოთქმული აზრების მიხედვით, ილია უნდა ეკუთვნოდს“, თუმცა დასაბუთება არ უცდია.

ა. იოვიძის ეს საყურადღებო ვარაუდი, სამწუხაროდ, ქართული საზოგადოებრივი აზრი სპეციალისტებს შეუმჩნეველი დარჩათ. როგორც ცნობილია, 1951-1961 წლებში გამოიცა ი. ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებული (პ. ინგოროვას რედაქტორობით). ამ გამოცემაში აღდგენილია ილიას სტატიებიდან ცენზურის მიერ ამოღებული ადგილები და ცალკეული სტატიებიც კი, მაგრამ ზემოთ მითითებული მოწინავე სტატია არსად არაა ნახსენები.

გაზეთ „ივერიისთვის“ განკუთვნილი ეს მოწინავე სტატია ეძღვნება იმ დროისათვის მეტად მტკიცნეულ პრობლემას — ცარიზმის რეაქციულ მოხელეთა ხელყოფისაგან მშობლიური ენის დაცვას. ცარიზმის რეაქციულ მოხელეთა ასეთ პოლიტიკას გაბედულად აღუდგნენ წინ ი. ჭავჭავაძე და მისი თანამებრძოლები. ი.



ჭავჭავაძემ იანოვსკისა და მისი დამქაშების ცრუპედაგოგიური აზრებიდან ქვა ქვაზე არ დატოვა. თერგდალეულთა ბრძოლა მშობლიური ენის დასაცავად თანმიმდევრული და ორგანიზებული იყო.

ქვემომოტანილი სტატიაც, რომელიც გაზ. „ივერიაში“ 1897 წ. უნდა დაბეჭდილიყო, ილიას ამ რიგის სტატიებს განეკუთვნება. 1897 წელს რუსეთის ახალმა იმპერატორმა ნიკოლოზ მეორემ ვარშავაში სტუმრობისას ზოგიერთი შეღავათი მისცა პოლონურ ენას, რომელიც პოლონეთის 1863 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ ცარიზმის მიერ სასტიკად იყო დათოგუნული. პოლონელი ხალხისადმი ასეთმა „წყალობამ“ აალაპარაკა რუსეთის მოწინავე საზოგადოებრიობა, რომელიც არასოდეს არ თანაუგრძნობდა ცარიზმის რეაქციულ მესვეურთა შოვინისტურ-დამპყრობლურ ლონისძიებებს. ახალი იმპერატორის ეს „წყალობა“ რეაქციის შავბნელ ფონზე იმდენად მოულოდნელი და თვალსაჩინო იყო, რომ ამ ფაქტს ლიბერალურ-დემოკრატიული გაზეთები დადებითად გამოეხმაურნება.

პოლონელი ერისადმი ცარიზმის ასეთი დათმობა განხორციელდა იმ დროს, როცა ამიერკავკასიაში მთავარმართებელ გოლიცინს კურსი ჰქონდა აღებული ქართული ენის განდევნაზე არა მარტო სკოლებიდან, არამედ ეკლესიიდანაც კი. როგორც ჩანს, ი. ჭავჭავაძემ, როგორც გაზ. „ივერიის“ რედაქტორმა, ისარგებლა პოლონელი ხალხისადმი „წყალობის“ გამო რუსულ დემოკრატიულ პრესში ამტკიცდარი მოწინების ხმაურით და დროულად ჩათვალა ამ ფონზე ემზილა და დაეგმო ქართული ენის მიმართ ამიერკავკასიის რეაქციონერ მოხელეთა მტრული დამოკიდებულება, რაც ამ ვითარებაში მთავრობის ოფიციალურ კურსთანაც შეუსაბამო ჩანდა. სტატიის ავტორი, იმოწმებს რა რუსეთის მოწინავე გაზეთების შეხედულებებს, იცავს სახელმწიფო ენის გვერდით ეროვნული ენების არსებობის უფლებას და დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ ეროვნული ენების განვითარება არათუ აბრკოლებს, არამედ, პირიქით, ხელს უწყობს სახელმწიფო ენის გავრცელებას. როგორც აღვნიშნეთ, ხელთა



გვაქვს „ივერიის“ აკრძალული
მონინავის მხოლოდ რუსული
თარგმანი, რომლის შესატყვისო-
ბას დედანთან ადასტურებს ცენ-
ზორი გ. უურული. რუსულიდან
ქართულად სტატია ჩვენ ვთარგ-
მნეთ. კითხვა ისმის — რა ნიშნე-
ბის მიხედვით შეიძლება ეს სტა-
ტია ილია ჭავჭავაძეს მივაკუთვ-
ნოთ?

პირველყოვლისა, აღსანიშნავია ის, რომ ისეთ საპასუხისმგებლო, ეროვნულად მტკიცვნეულ და საყოველთაო სახალხო წადილის გამომხატველ მონინავე სტატიებს „ივერიაში“, როგორც წესი, წერდა ილია ჭავჭავაძე, როგორც რედაქტორი ამ გამოცემისა. თუ თვალს გადავავლებთ 80-იანი წლების პირველი ნახევრის „ივერიის“ (იგი მაშინ ყოველთვიურ ჟურნალად გამოდიოდა) მონინავე სტატიებს, რომლებიც „შინაური მიმოხილვის“ სათაურით იძექდებოდა, დავრწმუნდებით, რომ ყველა (გარდა ორიოდ გამონაკლისისა) ილიას მიერაა დაწერილი, თუმცა ხელმოუწერელია. ამ სტატიებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურის მიერ გაბედულადაა დაგმობილი ცარიზმის კავკასიელ მოხელეთა რეაქციული პოლიტიკა, დასაბუთებულია ეროვნული ენის მაღალი უფლება, მხილებულია ცილისმნამებლები, რომლებიც ქართველ ერს სეპარატიზმისაკენ მისწრაფებაში აპეზლებდნენ, მოშველიებულია რუს მეცნიერთა აზრები მკირე ერების უფლებათა დაცვის

თაობაზე და სხვ. მაგალითად, 1881 წ. მარტის „შინაური მიმოხილვა“, რომელიც ილიას კალამს ეკუთვნის, თემატიკისა და დებულებებით თითქმის იდენტურია 1897 წ. იმ მონიაზისა, რომლის ავტორის ვინაობაც ამჟამად გვაინტერესებს. ილია აქ ეხება მრავალეროვან რუსეთში მცირე ერების ენობრივ უფლებებსა და ავტორიტეტულ რუს მოღვაწეთა ნათექვამების მოშველიებით გმობს ამიერკავკასიის რეაქციულ მოხელეთა კურსს, თვითმმართველობის ჩახშობისა და სკოლიდან და ეკლესიიდან მშობლიური ენის გამოდევნისაკენ რომ იყო მიმართული:

რით, რომ თავსა და ბოლოს მაინც
ნება ჰქონოდა ქვეყანაში გამოსვ-
ლისაო“.

თერგდალეულებს წესად ჰქონდა
დათ გეგმაზომიერი გალაშქრება
მთავრობის მოხელეთა გამოხდო-
მის წინააღმდეგ. პირველი და
მთავარი სიტყვა აქ ილიას ეკუთ-
ვნონდა. ეს ტრადიცია „ივერიაშიც“
გრძელდებოდა. მშობლიური ენის
საკითხებზე, განსაკუთრებით,
თეორიული ხასიათის სტატიებს
ილია წერდა. (იხ. მისი „ბ-ნ იანოვ-
სკის წერილის გამო“, „პედაგოგი-
ს საფუძვლები“, „ვიცინოთ თუ
ვიტიროთ“ და მრ. სხვა). ილიამ
გასცა პასუხი კატეგორია, ილია ამ-
ხელდა და გმობდა გაზიეთ „კავკა-
ზის“ გამოხდომებს ქართული
ენის, კულტურისა და ტრადიციე-
ბის წინააღმდეგ. ილიამ დაწერა
პოლემიკური ტრაქტატები სა-
ქართველოს ისტორიის გამყალ-
ბებელთა წინააღმდეგ. ერთი
სიტყვით, ი. ჭავჭავაძე, რომელიც
ქართველ ეროვნულ მოღვაწეთა
მთელ პლეადას ფლაგმანობდა,
თვითონ წერდა ისეთ სათუთ და
საპასუხისმგებლო საკითხებზე,
რომლებიც ეროვნულობის დაც-
ვასა და მთავრობის კურსის კრი-
ტიკას შეეხებოდა.

ქართული საზოგადოებრივი აზ-
რის ზოგი მკვლევარი შეიძლება
შეგვედავოს — ილიას აქტიური
ბრძოლა ცარიზმის კავკასიულ მო-
ხელეთა კურსის წინააღმდეგ და,
კერძოდ, მისი მონინავე სტატიიები
შეურნალ „ივერიაში“ 80-იანი წლე-
ბის პირველ ნახევარს განეკუთვ-
ნება და საბუთად არ გამოდგებაო.
ზოგი მკვლევარი მართლაც იმ აზ-
რისაა, რომ 80-იანი წლების შემ-
დეგ თერგდალეულობაც დაიშა-
ლა, ილიაც თითქმის ჩამოსცილდა
„ივერიას“ და მის მხატვრულ და
პუბლიცისტურ აზროვნებაში
„კრიზისი“ დაიწყო, რომ იგი „ივე-
რიას“ ფორმალურად რედაქტო-
რობდა და მასში მონინავეებს აღ-
არ წერდა და სხვ. ეს შეხედულება,
როგორც ზემოთ მივუთითებდით,
ძირშივე მცდარია. ი. ჭავჭავაძე
90-იან წლებშიაც ადრინდელი შე-
უპოვრობით განავრძობდა ეროვ-
ნული თვითმყოფადობისთვის

ეთავსრობის გიგაზიერები ქართული ენა
მოსეავლეთათვის სავალდებულო იყო
და ქართული ენის მასეავლებლის
აღგილი გზატით იყო უზარესობურობილი.
ცეთა აგან აგიხავ ზიანი ეორუტან?
ჩვენ თავისუფლად უკვიპლია ვთქვათ,
რომ აა გზით თავაძეა ვოროშოვან
დიდად უცხოო ხელი აუსელი ენის
გვარცხელებას ჩვენს მსარები.



ბრძოლას და გაზეთ „ივერიის“ საქმიანობას წარმართავდა. ხოლო თვით „ივერია“ მოთავე გაზეთი იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ამიტომ იყო, რომ 1896 წ. რვა თვით აკრძალეს „ივერიის“ გამოცემა, ამიტომ იყო, რომ „ივერიის“ რედაქტორზე პოლიციის საგანგებო ზედამხედველობა იყო დაწესებული, ამიტომ ჩაშალა მთავრობამ ი. ჭავჭავაძის იუბილე, რისტვისაც 1897-1898 წლებში საგანგებოდ ემზადებოდა ქართული საზოგადოებრიობა.

ჯერ ქართულიდან რუსულ, ხოლო შემდეგ რუსულიდან ქართულ თარგმანში, ცხადია, სტატიას დაკარგული აქვს ის პოლიტიკური სიმახვილე და განსაკუთრებული მადლი აზრის ჩამოსახმისა, რაც მხოლოდ ილიას ახასიათებდა. ამიტომ მკითხველი, რომელიც მიჩვეულია ილიას ენის მარილიანობას, შეიძლება შეყყოფანდეს — ილია ასე არ დაწერდათ. მაგრამ, ვინც ღრმად ჩაუკირდება ქვემოთ მოტანილ სტატიას, მიუხედავად იმისა, რომ იგი თარგმანის თარგმანია, მაინც შეამჩნევს იმ საოცრად მტკიცე შინაგან ლოგიკას, აზრის სიცხადეს, მაღალ ტაქტს, თავშეეკავებულ, მაგრამ მომაკვდინებელ სარკაზმს, რომლითაც საერთოდ გამოირჩეოდა ილიას საპოლემიკო წერილები.

ახლა გავეცნოთ სრულ ტექსტს ამ სტატიისა:

„დედაქალაქის გაზეთები უკანასკნელ ხანებში ბევრს წერდნენ, თუ როგორ მოეპყრან იმ ეროვნულ უმცირესობათა ენებს, რომლებიც რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიან, როგორც ერთიანი რუსეთის სახელმწიფოს ერთგული ქვეშევრდომები. ამ სახელმწიფო იმპერატორმა ვარშავა მოინახულა და პოლონელი ხალხისთვის გაილო ზოგიერთი უმაღლესი წყალობა პოლონური ენის სასარგებლოდ. ამ წყობილებამ გამოიწვია პოლონელთა დიდი აღტაცება და საქმე ისე წარიმართა, რომ პოლონელთა ადრინდელი უკამაყოფილება ცხრება და დავიწყებას ეძლევა.

ასეთმა წყალობამ, აგრეთვე, გაახარა ის მონინავე ჯგუფი რუსეთისა, რომელიც სახელმწიფოს ძალასა და დიდებას ჰქედავს ქვეშევრდომთა სიყვარულსა და წებაყოფლობით ერთსულოვნებაში და არა ხელოვნურ ერთგვარობაში. სხვა და სხვა ეროვნებათა სრული ასიმილაციისაკენ მისწრაფებამ არ გაამართლა მასზე დამყარებული იმედები, პირიქით ზიანი მიაყენა ეროვნებათა სულიერი ერთიანობის საქმეს, რადგან ერთგვაროვნება ვერადა ვერ შექმნა. სახელმწიფოს ძალა ერთსულოვნებაა და სრულიადაც არაის, რომ ყველა ქვეშევრდომს ერთნაირი ფიზიონომია ჰქონდეს, ერთგვარ ტანსაცმელს ატარებდეს, ერთნაირად ლოცულობდეს და ერთ ენაზე ლაპარაკობდეს. ჩრდილოეთ ამერიკის შტატებში გაბატონებული ენა ინგლისურია, მიუხედავად იმისა, რომ შტატები ინგლის გამოყენები და ეს საქმე არც უსისხლოდ მომხდარა. სრულებითაც არაა საჭირო მაგალითების შორიდან მოტანა. განაიროსლავის გუბერნიის მცხოვრები მოსკოვის გუბერნიის მცხოვრებისაგან არაფრით არ განსხვავდება, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ერთი ტომისანი არიან და ერთ ენაზე ლაპარაკობენ? მაგრამ ვინ იტყვის, რომ რომელიმე მათგანი ნაკლებად ერთგული იყოს რუსეთისა ან ნაკლებად უყვარდეს იგი.

ცხადია, რომ სახელმწიფოს ერთიანობისათვის ერთგვარობა და თუნდაც, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთენვნობა არაფრე შუაშია, ყოვლადმოწყალე იმპერატორის ვარშავაში სტუმრობამ მოძღვრებას ამ ერთგვარობაზე ბოლო მოუღლო. დედაქალაქის გაზეთთა ნააზრევი ნათლად გვიჩვენებს, რომ განსვენებული კატკოვის მიერ 1863 წლიდამ დაწყებულმა პროპაგანდამ ერთგვაროვნობაზე თავისი დრო უკვე მოსჭამა და ყოვლისშემძლე მარჯვენამ სხვა, ახალ და უკეთეს გზისაკენ მიუთითა.

წინანდელი მოძღვრება, პირველყოფილისა, ილაშქრებდა სხვა-

დასხვა ერების ენების წინააღმდეგ, ცდილობდა შეეზღუდა, შეევიწროებინა ისინი და განედევნა არა მარტო სამთავრობო სკოლებიდან, არამედ იმ სკოლებიდანაც, რომელიც თვით ამ ხალხების მიერა დაარსებული. ეს მიმართულება ერთ დროს ხელისუფალთა მეტისმეტი გულმოდგინებით იქამდეც კი მივიდა, რომ თავის უფლებებსაც გადააჭარბა და ნებისმიერად, უკანონოდ მოინდომა სხვადასხვა ხალხთა ენა ეკლესიიდანაც განედევნა. ამ მხრივ ყველაზე მეტად დაზარალდნენ ის ეროვნებანი, რომლებიც მართლმადიდებლობას აღიარებენ. ყველაზე საკვირველი მაინც ისაა, რომ მაგალითად, ჩვენში სხვა სარწმუნოების ადამიანებს უფლება აქვთ საღვთო წერილი თავიანთ ენაზე შეისწავლონ და ამ მხრივ შევიწროებული არიან მხოლოდ მართლმადიდებლელი ქართველები — მართლმადიდებლური სახელმწიფოს ქვეშევრდომები. რატომ და რისტვის? — ეს დღემდე გაურკვეველი რჩება.

თავისითავად იგულისხმება, რომ სახელმწიფო უნდა ცდილობდეს, განვირცოს თავისი ენა, რომლის შესწავლა თითოეული ქვეშევრდომის არა მარტო უფლება, არამედ მოვალეობაცაა. სახელმწიფო ენის განვირცობა აუცილებელია იმიტომაც, რომ სახელმწიფომ უკეთ შეასრულოს თავისი ფუნქციები, უკეთ განახორციელოს თავისი განზრახულობანი. მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს, რომ თუ ქვეშევრდომებს თავისი ენა წართმეული არა აქვთ, ისე მათ შორის სახელმწიფო ენა ვერ გავრცელდება? სახელმწიფო ენის განვირცობა, უმთავრესად ამ ენის შესწავლის მისწრაფებას უნდა ეყრდნობოდეს და არა სხვა ენების აღმოფხვრასა და განადგურებას. სახელმწიფო ენის შესწავლას, სხვადასხვა ერების საკუთარი ენა არათუ აბრკოლებს, არამედ ხელს უნყობს კიდეც, რადგან მშობლიური ენის დახმარებით ამა თუ იმ ეროვნების შვილი უფრო სწრაფად და უკეთ ითვისებს მისტვის აუცილებელ სახელმწი-



ფო ენას. ეს დებულება პედაგოგიურ მეცნიერებაში იმდენად ნათელია, რომ მის სამართლიანობაში დღეს ეჭვი არავის შეაქვს, გარდა რამდენიმე კერპა კაცისა, რომელთაც ჭეშმარიტების აღქმის უნარი, ალბათ, წართმეული აქვთ.

ყოველივე ზემოთქმულის გარდა, სახელმწიფო ენას აქვს სხვა, ასე ვთქვათ, ბუნებრივი გზა განვრცობისა. თუ მხედველობაში მივიღებთ მარტო იმ გარემოებას, რომ სახელმწიფო სამსახური შეუძლებელია სახელმწიფო ენის ცოდნის გარეშე, ხოლო ეს სამსახური წყაროა არსებობისა, მაშინ ნათელი გახდება, თუ რაოდენ ძლიერი უნდა იყოს იძულება, შეისწავლონ ეს ენა. მარტო ამ ვითარების გამო სახელმწიფო ენას გავრცელების მეტად ფართო გზა გააჩნია. მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ ეკონომიურ ურთიერთობათათვის სულიერ და მატერიალურ ძალთა განვითარებისათვის სახელმწიფო ენა, რომლის სარბიელი ფართეა, უფრო აუცილებელი და ხელსაყრელია, ვიდრე ერთი რომელიმე ადგილობრივი ენა. ამ ორი გარემოების გამო სახელმწიფო ენა ერთადერთი იარაღია არსებობისათვის ბრძოლაში და ის, ვინც ცდილობს ამ ბრძოლიდან გამარჯვებული გამოვიდეს, უსათუოდ უნდა ფლობდეს არა სასხვათაშორისოდ, არამედ იმათზე უკეთესად, ვისთვისაც ეს ენა მშობლიურად ითვლება.

როგორც ვხედავთ, ერთი მხრივ, წმინდა ეკონომიური მიზეზები, ხოლო მეორე მხრივ, თვით საზოგადოებრივი ცხოვრება სახელმწიფო ენის ცოდნას აუცილებელს ხდის სახელმწიფო ყველა ნეკრისთვის, განურჩევლად ეროვნებისა, ეს ისეთი ძლიერი შინაგანი აუცილებლობაა, რომ, სახელმწიფო ენის გავრცელების საქმე მარტო ამ აუცილებლობასაც რომ მივანდოთ, ესეც სავსებით საკარისი აღმოჩენიდება, რათა იგი ყოველგვარი იძულებისადან და შევიწროების გარეშე თავის დროზე და თავისთავად გავრცელდეს.

ამრიგად, სახელმწიფო ენის გავრცელება ისეთს მყარნიადაგზეა, რომ მას წინ ვერავითარი დაბრკოლება ვერ აღუდგება, რადგან თვით ცხოვრება გახდის იძულებულს, შეისწავლო და იცოდე ეს ენა. ახლა საკითხავია — როგორ შეიძლება, ადგილობრივი ენის ცოდნამ ხელი შეუშალოს სახელმწიფოებრივის განვრცობას, როცა ამ ორი ენის შეჯახების ან ურთიერთგამორიცხვის არავითარი ნიადაგი არ არსებობს? თითოეულ მათგანს ხომ თავისი ასპარეზი აქვს და ისინი ერთიმეორის საზღვრებში არ იჭრებიან. სრულიად სხვა საქმეა, როცა ერთი ენა ცდილობს, მეორეზე იმძლავროს და გაბატონდეს. ჩვენში ხომ ეს არ ხდება! ამიტომ გაუშებარიბა, რად უნდა შეუშალოს ხელი სახელმწიფო ენაზე სრულიად სხვა ენას, თუ, მაგალითად, ესა თუ ის ერთულებამოსილი იქნება თავის საკუთარ სკოლაში თავისი სახელმწიფო ენისათვის, თუ სხვა ერები თავიანთ სკოლებში და თავიანთ სალოცავებში თავიანთ ენაზე ილაპარაკებენ, წარმოიდგინეთ, თვით „ნოვოე ვრემიამაც“ კიჩამოიბერტყა ზურგიდან ძველი მოძლვრება და რუსეთში არარუსი ხალხების ენებს შეჰქედა ახალი თვალსაზრისით“.

ი. ჭავჭავაძის ზემომოტანილი გამოუქვეყნებელი სტატია ყოველმხრივ საინტერესო დოკუმენტია. იგი ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ თერგდალეულებს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დროშა არც 90-იან წლებში დაუხრიათ და ყველა შემთხვევას მოხერხებით იყენებდნენ, რათა დაეცვათ ქართველი ერის უფლებანი, პირველ რიგში, ქართული ენა, როგორც ბურჯი ეროვნულობისა. სტატია, ამასთან, იმის კიდევ ერთი მოწმობაა, რომ ილია ჭავჭავაძე 90-იან წლებში ერთგული იყო იმ პროგრამისა და იდებისა, რომლებიც 60-იან წლებში წამოაყენა, როგორც თერგდალეულთა მესვეურმა, იგი კვლავ ადრინდელი შეუპოვრობით ებრძოდა ქართველი ხალხის მტრებს და ბელადობას უწევდა ქართულ დემოკრატიულ ინტელიგენციას.

თუ ამან რაიმეს ზიანი მოუტანა? ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომამგზით თავადმა ვორონცოვმა დიდად შეუწყო ხელი რუსული ენის გავრცელებას ჩვენს მხარეში. მის შემდეგ დღევანდლამდე ამ მხრივ ძალიან ცოტაა გაეთებული, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რაც თვით ცხოვრებამ გააკეთება, ყოველგვარი დაწოლის გარეშე.

ჩვენ აზრად არ გვქონია, წინამდებარე სტატიაში მთელი სისრულით წარმოგვედგინა მსჯელობის საგანი. ჩვენ ყველა ჭეშმარიტი და განათლებული რუსისათვის მხოლოდ ის გვინდოდა გვეთქვა, რომ დიდი ნაწილი დედაქალაქის გაზეთებისა არავითარ საშიშროებას არ ხედავს სახელმწიფო ენისათვის, თუ სხვა ერები თავიანთ სკოლებში და თავიანთ სალოცავებში თავიანთ ენაზე ილაპარაკებენ, წარმოიდგინეთ, თვით „ნოვოე ვრემიამაც“ კიჩამოიბერტყა ზურგიდან ძველი მოძლვრება და რუსეთში არარუსი ხალხების ენებს შეჰქედა ახალი თვალსაზრისით“.

ი. ჭავჭავაძის ზემომოტანილი გამოუქვეყნებელი სტატია ყოველმხრივ საინტერესო დოკუმენტია. იგი ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ თერგდალეულებს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დროშა არც 90-იან წლებში დაუხრიათ და ყველა შემთხვევას მოხერხებით იყენებდნენ, რათა დაეცვათ ქართველი ერის უფლებანი, პირველ რიგში, ქართული ენა, როგორც ბურჯი ეროვნულობისა. სტატია, ამასთან, იმის კიდევ ერთი მოწმობაა, რომ ილია ჭავჭავაძე 90-იან წლებში ერთგული იყო იმ პროგრამისა და იდებისა, რომლებიც 60-იან წლებში წამოაყენა, როგორც თერგდალეულთა მესვეურმა, იგი კვლავ ადრინდელი შეუპოვრობით ებრძოდა ქართველი ხალხის მტრებს და ბელადობას უწევდა ქართულ დემოკრატიულ ინტელიგენციას.

აპაპი სურგულაძე,
„ნარკვევები ქართველი ინტელიგენციის ისტორიიდან“,
მეცნიერება, 1980 წ.

ექვთიმე თაყაიშვილის აჩერლოგიური მოგზაურობა

ექვთიმე თაყაიშვილის მიერ განძეულის სამშობლოში დაბრუნების მამულიშვილური საქმე ერთგვარად ჩრდილავს მის მეცნიერულ ლვანლს და ფართო საზოგადოებრიობის ყურადღების მიღმა რჩება ის ფასდაუდებელი მეცნიერული მემკვიდრეობა, რომელიც მან და მისმა თაობამ დაგვიტოვა და რომლის გარეშეც, როგორც სამართლიანად აღნიშნავენ, ქართული ჰუმანიტარული მეცნიერება ნაბიჯსაც ვერ წადგამდა წინ.

უაღრესად საინტერესოა ექვთიმე თაყაიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობის ერთი მნიშვნელოვანი მხარე — არქეოლოგიური მოგზაურობანი, რომელთაც ის აწყობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ექსკურსიების (როგორც თავად ექვთიმე უწოდებდა ამგვარ ღონისძიებებს) მიზანი მრავალმხრივი იყო: არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ ნივთთა შეგროვება, ისტორიულ ძეგლთა შესწავლა — ანაზომებისა, გეგმა-ჭრილებისა და ჩანახატების გაკეთება, ფრესკების ასლების გადმოღება, ეპიგრაფიკული მასალის შეგროვება, ძეგლთა ფოტოგრაფირება, ეკლესია-მონასტრებში დაცული ნივთების აღწერა და ადგილზე შესწავლა, ხოლო სადაც შესაძლებელი იყო, მათი შეძენა და მუზეუმებში დაბინავება...

მოგზაურობებთან დაკავშირე-

ბული ერთი საინტერესო დეტალი: 1907 წელს, კოლა-ოლთისში მოგზაურობისას, სოლომონისის მღვიმე-ეკლესიაზე ძნელი ასასვლელი ყოფილა და მესხებს ხელით აუყვანით კოჭლი მეცნიერი.

ექსკურსიათა ქრონოლოგია ასეთია:

1889 წელს შედგა ექვთიმე თაყაიშვილის პირველი აქეოლოგიური მოგზაურობა. თებერვალში იგი დიმიტრი ბაქრაძესთან ერთად მცხეთას გაემგზავრა. მათ სვეტიცხოველში ბევრი საინტერესო ხელნაწერი უნახავთდა თან წამოულიათ. ზაფხულში კი თაყაიშვილი პედაგოგიური მივლინებით იმყოფებოდა სურამში. თავისუფალ დროს სიძველეთა ძებნა-სა და დათვალიერებაში ატარებდა. აქ, ერთ-ერთი სოფლის ეკლესიაში, მან მიაგნოსახარებას, რომელიც სამეცნიერო ლიტერატუ-

რაში პარხლის ოთხთავის სახელნოდებითაა ცნობილი.

1902 წელს უკავშირდება თაყაიშვილის პირველი მოგზაურობა სამხრეთ საქართველოში. მას თან ახლდნენ ხუროთმოძღვარი სიმონ კლდიაშვილი და ფოტოგრაფი ალექსანდრე მამუჩაიშვილი. გამოკვლეულ იქნა ახალციხე-ახალქალაქისა და არტაან-ოლთისის ზოგიერთი ძეგლი.

1907 წელს კი მეორე ექსპედიცია მოეწყო სამხრეთ საქართველოში. ექვთიმესთან ერთად ექსპედიციის შემადგენლობაში იყვნენ ხუროთმოძღვარი ანატოლი კალგინი და ფოტოგრაფი ედუარდ ლიოზნი. თაყაიშვილმა შეისწავლა კოლას რაიონის ძეგლები და დაამთავრა ოლთისის ოლქის ძეგლებზე მუშაობა. შეისწავლა პანას ტაძარი, ქ. ოლთისი, ტაოსკარი, მოინახულა ფანასკერტი (თუმცა აქ მან ვერაფერს მიაკვლია). მუშაობის შედეგები ექ. თაყაიშვილმა გამოაქვეყნა პარიზში 1938 წელს – „არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგალში 1907 წელს“ (სოფ. ჩანგალში აღმოჩნდა ჯვრის ტიპის ეკლესია, რომელსაც მეტად საინტერესო ქართული წარწერები ჰქონდა).

1908 წელი. ახლად დაარსებული საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება აწყობს თავის პირველ არქეოლოგიურ მოგზაურობას. ექსპედიციის წევრები ექ. თაყაიშვილი და არისტო ქუთათელაძე მიემგზავრებინ სოფ. ატენში და ეცნობიან ადგილობრივ სიძველებს.

1909 წელს კი საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარე ექვთიმე თაყაიშვილი და საზოგადოების ხაზინადარი ალექსანდრე სარაჯიშვილი ესტუმრნენ ქ. გორსა და ქართლის სოფლებს: ახალქალაქს, დოესს,



ექვთიმე თაყაიშვილი
ხოდის მონასტრის პერიგოდაზე. 1913 წელი



ოთარაშენს, მეჯვრისხევს, იკორთას, ხელთუბანს, კასპს, ლამისყანას, ოძისს, ქსოვრისს, მუხრანს. შეკრიბეს მრავალი სიგელ-გუჯარიდარამდენიმე ხელნაწერი. აღნიშნული ექსპედიცია იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ მან ქართულ სოფლებში სხვადასხვა სიძველის დიდალი რაოდენობით არსებობა დაადასტურა და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება დააყენა ფართომასშტაბიან ექსპედიციათა მოწყობის აუცილებლობის წინაშე: საჭიროა მთელი საქართველოს მოვლა და ამ ძვირფასი საუნჯის პატრონობა, დღევანდელ პირობებში ადვილად შესაძლოა ეს დაუფასებელი საუნჯე სამუდამოდ დაიღუპოს“ (ამონაწერი საზოგადოების ოქმიდან, „ძველი საქართველო“, III, 1913-14, განყ. მესამე, გვ. 54).

1910 წელს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ ექსპედიცია ლეჩებუმსა და სვანეთში მოაწყო. ხელმძღვანელი ექვთიმე თაყაიშვილი იყო, წევრები — სიმონ კლდიაშვილი (ხუროთმოძღვარი), დიმიტრი ერმაკოვი (ფოტოგრაფი) და ივანე ნიუარაძე. მოგზაურობა დააფინანსა საზოგადოების წევრმა და მისმა მეცენატმა პეტრე თუმანიშვილმა. ექსპედიციამ შეისწავლა სვანეთისა და ლეჩებუმის ქრისტიანული კულტურის ძეგლების დიდი ნაწილი, ფოტოგრაფიულად გადაიღო სოფლების საერთო ხედები, ისტორიული ძეგლები, ხელოვნების ნიმუშები, შეგროვილ იქნა დიდალი სამუზეუმო მასალა. ექსპედიციის დროს შეკრებილი მასალა წარწერათა და სიძველეთა მოკლე აღწერილობის სახით გამოიცა პარიზში 1937 წელს — „არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩებუმ-სვანეთში 1910 წელს“.

სვანეთის სიძველეთა შესწავლას ექვთიმე თაყაიშვილი მიჰყავს ორ მნიშვნელოვან დასკვნამდე:

1) „წინათ ფიქრობდნენ, სიმრავლე ჯვარ-ხატებისა და ხელნაწერებისა, რომელიც სვანეთში იყო..., აიხსნებოდა იმით, რომ სვანეთში ეზიდებოდენ... ამ წინთებს შესანახად და მტერთა განადგურებისა-



სვანეთი. I რიგში: სვანურ საკარცხულზე ზის ექვთიმიში თაყაიშვილი, უცხოგი ადგილობრივი მღვდელი და დიმიტრი ერმაკოვი (ფოტოგრაფი)

II რიგში: ე. თაყაიშვილსა და მღვდელს შორის — სიმონ კლდიაშვილი (არქიტექტორი), ზემოთ მარჯვიდან ივანე ნიუარაძე (უცხოესისტეტის ლექტორი), დანარჩენი ადგილობრივი სვანები.

გან გადასარჩენად შემოსევის დროს. ეჭვი არ არის, ამასაც ადგილი ჰქონდა, მაგრამ ჩვენის დაკვირვებით, ცხრამეათედი ჯვარ-ხატებისა თვით სვანეთშია დამზადებული. ამას მოწმობს სვანიზმები წარწერებისა, გვარები შემკვეთელებისა და აქრომჭედელთა“;

2) ძველი სასაფლაოებიდან ამოღებული და სოფლის ეკლესიებში დაცული მრავალი არქეოლოგიური ნივთი ნათლად მოწმობს, რომ „არქეოლოგიურმა გათხრამ სვანეთში დიდი შედეგები უნდა მოგვცეს“.

1913 წელი გურია-სამეგრელო-სა და იმერეთში მოგზაურობას დაეთმო. ამ ექსპედიციაში ექ. თაყაიშვილს თან ახლდა ფოტოგრაფი კიუნე. გურიაში მათ შეისწავლეს შემოქმედის მონასტერი, ხოლო იმერეთში — ხონი და ვანი. ექსპედიციას მიზნად ჰქონდა, ფოტოგრაფიულად გადაეღო ისტორიული ძეგლები და ხელოვნების ნიმუშები, გასცნობოდა ეკლესიათა მოხატულობას. ექსპე-

დიცია აგროვებდა სხვადასხვა სამუზეუმო ნივთს, არქეოლოგიურ და ეპიგრაფიკულ მასალას, ხატების, ჯვრებისა და სხვა საეკლესიო ნივთების წარწერებს, სიგელ-გუჯრებსა და ხელნაწერთა მინაწერებს. ამ ღონისძიებას დიდი დახმარება აღმოუჩინა ყოვლად სამღვდელო გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა ლეონიდმა. ექვთიმე თაყაიშვილი გაეცნო სამეგრელოს ძირითად ეკლესიებსა და მონასტრებს. ექსპედიციის შედეგებს მან თავი მოუყარა ნაშრომში „არქეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში“.

ამავე წელს ექვთიმე თაყაიშვილი, თეოდორ კიუნე და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მდივანი სერგი გორგაძე შიომღვიმის მონასტერს ეწვიონენ. ექსპედიციამ გადაიღო მნიშვნელოვან სიძველეთა ფოტოები და შეადგინა შიო მღვიმელის საფლავზე აგებული ტაძრის გეგმა. ამავე წელს ექვთიმე თაყაიშვილმა საისტორიო და საეთნოგრა-

ფიო საზოგადოების წევრთან – არქიმანდრიტ ლაზარისთან (ლე-უავა) ერთად მოინახულა დავითგარეჯის მონასტერი. წლის დასასრულს ექვთიმე გაემგზავრა ქუთასის, საიდანაც მდიდარი არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალა ჩამოიტანა.

1917 წელს მესამე ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში ყველაზე ნაყოფიერი და განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე არქეოლოგიური მოგზაურობა იყო ექვთიმე თაყაიშვილის ექსკურსითა შორის. ექსპედიცია ყველა წინამორბედზე მრავალრიცხოვანი იყო: **ხელმძღვანელი – ექვთიმე თაყაიშვილი, ხუროთმოძღვრები – ანატოლი კალგინი და ილია ზდანევიჩი, მხატვრები – დიმიტრი შევარდნაძე, მიხეილ ჭიათურელი და ლადო გუდიაშვილი. ექსპედიციამ შეისწავლა ხახულის მონასტერი, თორთუმის ციხე, ექეიისა და სოხთოროთის ტაძრები, ქართული ხუროთმოძღვრე-**

ბის უმნიშვნელოვანესი ძეგლები – ოშკი, იშხანი, პარხალი, ოთხთა ეკლესია და სხვ. ექსპედიციის მიერ ჩამოტანილი მასალები საფუძვლად დაედო ძეგლი ქართული ხუროთმოძღვრების გამოფენას 1920 წელს. ამ ექსპედიციის მნიშვნელობა მარტოდენ მისი შედეგებით როდი განისაზღვრება. რამდენიმე თვის შემდეგ ეს მხარე კვლავ თურქეთმა ჩაიგდო ხელთ და ქართველი სპეციალისტებისთვის იგი მრავალი წლის მანძილზე მიუწვდომელი გახდა. სინტერესობა ერთი დეტალიც: ექვთიმე თაყაიშვილმა ექსპედიციიდან დაბრუნების შემდეგ სთხოვა ქართულ ეკლესიას, გაეგზავნათ სასულიერო პირები ტაოს ქართული მონასტრების სამეთვალყურეოდ. ეკლესიამ დააკმაყოფილა ეს თხოვნა და იქ საკუთარი სახსრებით 1 ბერი და 2 მორჩილი გაგზავნა.

1919-1920 წლები – არქეოლოგიური ექსპედიცია რაჭაში. ექვთიმე თაყაიშვილს თან ახლდა ფოტოგრაფი თეოდორ კიუნე. 1919 წლის ზაფხულში აღნერა რაჭის ერთი ნაწილი: ნიკორწ-

მინდა, ბეთლევი, ჭელიშის მონასტერი, აგარა, ხოტევი, ამბროლაური, ბარაკონის ეკლესია, სორი. მომდევნო წლის ზაფხულში ექვთიმემ მოინახულა რაჭის თითქმის ყველა სოფელი, რომლებშიც კი ძეველი ეკლესია და საეკლესიო ნივთები ეგულებოდა. ეს სოფლებია: ბუგეული, მიქანმინდა, ქედისუბანი, ხონჭიორი, ონი, გლოლა, დები, ჭიორა, მრავალძალი, სხვავა. აღნერეს ისტორიული ძეგლები, ხელოვნების ცალკეული ნიმუშები, წარწერები. გაკეთდა სიძველეთა ფოტოფიქსაცია. შეკრებილი მასალის კვლევითი ანგარიში გამოქვეყნდა ექ. თაყაიშვილის გარდაცვალების შემდეგ, მისი დაბადების 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

წყარო: თაყაიშვილი ექვთიმე, მარტვილის მონასტერი, რედ.-გამომც.: ბუბა კუდავა, თბილისი, 1993 წ.

კონსტანტინე გამსახურდია საქართველოს მაჭარებლათურები

აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი გავიცანი 1918 წელს. იგი ისე მეგობრულად მექცეოდა, თითქოს მისი თანატოლი ვყოფილყოვი. მთავრობის სასახლის ბიბლიოთეკა, რომელიც შემდგომ წლებში საჯაროდ იქცა, მის განკარგულებაში იყო.

ექვთიმე თავად ეძებდა ჩემთვის საქართველოს, სომხეთისა და აღმოსავლეთის ისტორიულ ანალებს. იგი დაბეჯითებით მირჩევდა, ქართული ქრონიკები საფუძვლიანად შემსახულა და მათვის პოეტური ექვივალენტები შემეტება.

იმუამად მე უპირატესად იტალიისა და საერთოდ ევროპის ისტორიით ვიყავი გართული, მიუხედავად ამისა, ენერგიულად მიყვავი ხელი ქართული ქრონიკების შესწავლას. ამავე ხანებში დამიმეგობრა ივანე ჯავახიშვილმა. ორივენი მთხოვდნენ ევროპას მიმავალს, ვატიკანის, ბერლინისა და პარიზის ბიბლიოთეკები შემესახულა და შემდგომ ამისა რომანები და ნოველები დამეტერა. ივანე ჯავახიშვილი მთხოვდა, ნიურნბერგს ვწვეოდა, რადგან იქ ეგულებოდა მას შუასაუკუნეთა საქართველოს შესახებ ცნობები.

წავედი კიდევაც ნიურნბერგს, მაგრამ იქ წავანებდი მხოლოდ ჯვაროსანთა ისტორიებსა და ქრონიკებს.

1923 წელს პარიზში ვინახულე ექვთიმე თაყაიშვი-

ლი, ხანგრძლივად მესაუბრებოდა საქართველოს ისტორიის საკვანძო საკითხების გამო.

ცნობილია, ე. თაყაიშვილი 1921 წელს თან გაპყვა მენშევიკების მიერ წალებულს საქართველოს სიძველეთა საგანძურს და ცერბერივით დარაჯობდა მას მრავალი წლის მანძილზე. იმ წელს ბარე რვა თვის განმავლობაში ვმუშაობდი პარიზულ წარიზულ წილში ბიბლიოთეკაში. იმ ხანებში „დიონისის ლიმილს“ ვწერდი, თანაც აღმოსავლეთის ისტორიას ვსწავლობდი, მაგრამ ჯერ არც მქონდა კონკრეტულად განზრახული, რაიმე დამეტერა ჩემი ქვეყნის ისტორიის თვის. წლის ბოლოს მე ტოკიოში მიწვევდნენ გერმანული ლიტერატურის კათედრის დასაკავებლად.

ბოლოს მდგომარეობამ მოითხოვა ჩემგან სამშობლოში დაბრუნება და ერთ საღამოს უკანასკნელად ვეწვიე ექვთიმეს.

მან გაიხარა, ჩემი განზრახვა რა გაიგო.

„შენისთანა ახალგაზრდა რომ ვიყვე (და აქ მან სიტყვა ტალანტი ახსენა) და შენისთანა ტალანტი რომ გამაჩნდეს, მე დაუყოვნებლივ წავიდოდი და საქართველოს შეგალევდი ჩემს ძალასა და სიცოცხლეს.

ხომ ხედავ, რა განსაცდელშია ჩვენი ხალხის უძვირფასესი საგანძურებ. სანამდის პირში სული მიდგას, მე მათ უნდა ვუდარაჯო აქ“.



პეტრე ჩაიკოვსკი:

**ქალიან კაუროვილი ვარ თბილისეი
ყოფილი. ას საცხოვო ქვეყანა! უფრო
ახალგაზრდა არმ ვიყო, სამუდამოდ
დავარებოდი აა საცხოვრებლად**

დიდი რუსი კომპოზიტორი პეტრე ჩაიკოვსკი საქართველოში პირველად 1886 წლის 31 მარტს ჩამოვიდა და ერთი თვე დაჰყო. სამხედრო გზამ, ბუნებამ ისე მოხიბლა 46 წლის კომპოზიტორი, რომ თბილისიდან გაგზავნილ კერძმა ბარათში წერდა:

„გზა იმდენად გასაოცარია, რომ მთელი დღის განმავლობაში ძილზე არც კი მიფიქრია, სიზმარშიც ვერ წარმოიდგენ... დუშეთში მისვლამდე ისეთი ხედები იხსნება, იმდენად მომზიბვლელია, რომ აღტაცებისაგან გინდა იტირო... ე. ნ. საქარველოს სამხედრო გზა, რომელზეც ამდენი წამიკითხავს და მსმენია, ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებს. ცნობილი დარიალის ხეობა, მთის აღმართები, თოვლის საფარი, არაგვის ყელზე ჩამოსასვლელი დამართი — ყველათერი ეს წარმოუზარდებად ოამაზია“.

თბილისმა და თბილისელებმა დიდი სითბოთი და სიყვარულით
მიიღეს რუსი კომპოზიტორი. თბილისი იყო მსოფლიოში პირველი
ქალაქი, რომელმაც პეტრე ჩაიკოვსკის შემოქმედებისადმი
თაყვანისცემა გამოხატა და პირველმა გადაუხადა იუბილე.
ეს მოხდა 1886 წელსვე (მეორედ კი — 1890 წელს). დროს წინ
გავუსწრებთ და აქვე აღვნიშნავთ, რომ თბილისურმა ზემომა
თავისი გაგრძელება პპოვა მსოფლიოს სხვა დიდ ქალაქებშიც.
კერძოდ, 1888 წელს — პრაღაში, 1891 წელს — ნიუ-იორკში,
1893 წელს მას კემბრიჯის უნივერსიტეტმა „Honoris causa“
(„პატივისთვის“) დოქტორის ხარისხი მიანიჭა....

პეტრე ჩაიკოვსკის უყვარდა სა-ქართველო, პატივს სცემდა ქარ-თულ მუსიკას. საქართველოში ცხოვრებისას (თბილისი, ბორჯო-მი, ბათუმი...) კომპოზიტორმა შექ-მნა სიუიტა „მოცარტინა“, „ღამეს ათევდა ოქროს ღრუბელი“ (საგუნ-დო ნაწარმოები „ნოჩევალა ტუჩქა ზოლოტრაია“)... ქართული პანგები გამოიყენა ბალადა „ვოევოდაში“, ბალეტ „მაკნატუნაში“, ოპერა „იოლანტაში“... მუსიკათმცოდნე-ები იმასაც ირწმუნებიან, რომ ბა-ლეტ „გედის ტბაში“ „ეართული ოკურის“ მუსიკა აირეკლაო...

მართალია, პეტრე ჩაიკოვსკი
კავკასიის ნახვის სურვილმა ჩა-
მოყენანა საქართველოში, მაგრამ
მას ახლობელი მასპინძელიც

ჰყავდა — ძმა, რომელიც 1885 წლიდან მუშაობდა თბილისში საოლქო სასამართლოს პროკურორად, გუბერნატორის თანაშემნედ, ვიცეგუბერნატორად. თბილისში კომპოზიტორი სტუდენტობის მეცნიერს, **ხალამპრე სავანელს**, შეხვდა. მასთან ერთად შემოიარა დედაქალაქი, იყო მამადავითზე. თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა თბილისმა პეტრე ჩაიკოვსკიზე, ჩანს ნ. მეკერესადმი 1886 წლის 1 აპრილს მიწერილი წერილიდან: „**ესლარი საოცრად მომსიგვლელია...** ახაურ ჩაღ-ეგში (ისევე, როგორც რომში) გვხვდება გარად მცველი მცვენარები, თავს განონებთ ყვავილების ჯარი... მთავარი



თის მონასტერში, სადაც გრიბოედოვია დაკრძალული. აქედან თბილისის წარმტაცი ხედები მოჩანს“.

1886 წლის 19 აპრილს გაიმართა დიდი სიმფონიური კონცერტი. პროგრამაში შეტანილი იყო პეტრე ჩაიკოვსკის ნანარმოებები. თეატრი საზეიმოდ იყო მორთული. ამ ზეიმისთვის ქუთაისიდან სპეციალურად ჩამოიტანეს კომპოზიტორის საყვარელი ყვავილები — „მთელი ვაგონი“ შრომშანები. პეტრე ჩაიკოვსკის მიართვეს ვერცხლისა და დაზნის გვირგვინები, ნობათი. მისალმების სიტყვებს ბოლო არ უჩანდა. სტუმრები ჩამოვიდნენ ბაქოდან, ქუთაისიდან, კავკავიდან... საიუბილეო საღამო და მთავრდა ბანკეტით. გაზეთი „კავკაზი“ (№ 104) წერდა: „19 აპრილს, შაბათს, ტფილისის თეატრში შედგა საიმპერიო მუსიკალური საზოგადოების ტფილისის განყოფილების კონცერტი, რომელიც მიეძღვნა ტფილისის სტუმარს, ცნობილ კომპოზიტორს — პეტრე ილიას ძე ჩაიკოვსკის... კონცერტზე შესრულდა ჩაიკოვსკის ნანარმოებები... ჩაიკოვსკის თვის გამოყოფილი იყო თეატრის დირექტორის ლოუა, რომელიც მორთული იყო გირლიანდებით. დარბაზი სავსე იყო მაყურებლით. ფარდის ახდისთანავე ლოუაში გამოჩნდა ჩაიკოვსკიც. შეკრებილნი აპლოდისმენტებით შეხვდნენ...

კომპოზიტორს მიართვეს რამდენიმე გვირგვინი ლენტებით... მისალმების შემდეგ გაიმართა კონცერტი... ორკესტრს დირიჟორობდა მ. იპოლიტოვ-ივანოვი“.

თბილისმა, მართლაც რომ გულში ჩაიკრა რუსი კომპოზიტორი. ქუჩაში გავლაც კი უჭირდა, აჩერებდნენ, ესიყვარულებოდნენ, ეპატიულებოდნენ. ეტყობა, თბილისურმა სითბომ და, რაც მთავარია, იმის შეგნებამ, რომ „უცხო ხალხმა“ ასე ძლიერ შეიყვარა მისი შემოქმედება, თავისი გაიტანა — განშორების სევდამ ხელი დარია. 23 აპრილს მეკესადმი მიწერილ ბარათში ეს სევდაც გამოიკვეთა: „**ტფილისში ჩემი ყოფის დღეები მიიღორისა. თუ არ მივიღო მევალობაში იმ ფაქტს, რომ მე არ შეგიძლია დაგალვა, ყველგან მარჩევე ვარ, მაგალი წრის ცხოვრებით ვითოვო, მაშინ მთელი თვე, რომელიც ტფილისში გავათარებ, შეიძლება ჩაითვალოს ჩემი ცხოვრების ერთ-ერთ მომხიპლელ პერიოდად. მე ისევ და ისევ მომხოცეს ტფილის, მისი საოცარი, გამჭვივავნა ვითა ალვალებაში და, მეტად გულისტკივილით ალნიშნავდა: „**მანვალეპს ტფილისზე ციქირი. ეს თვე ჩემი ცხოვრების ერთი ფრიად ლამაზი თვეა. მართლაცდა, მეტისმეტად მიზვარს ტფილის არა იმითო, რომ თქვენ ის ცხოვრობთ, არამედ იმითო, რომ თვით ეპალეა სამხრეთული პავა, მისი მოგზაურება... ერთი სიფვით, არ მე შესანიშნავად ვცხოვრობ... აძაურ თეატრში გამიმართეს ზეიმი. ამ ზეიმის მოგონება, რომ-****

ლის მსგავსიც ჯერ არსად და არასდროს გამოიცდია, მთელი ჩემი ცხოვრების სასიამოვნო მოვალეობად დარჩება“.

25 აპრილს კომპოზიტორი თავისი ოპერის — „მაზეპას“ წარმოდგენას დაესწროდა თავისი გაოცება ისევ კერძო წერილს მიაწიო: „**მე არ მოველოდი, რომ თბილისში ასე კარგად იცნობენ ჩემს მუსიკას. ჩემი ოპერები აქ იდგმება უფრო ხშირად, ვიდრე სხვაგან, განსაკუთრებით კი „მაზეპას“ აქ დიდი წარმატება აქვს. ეს მეტად სასიამოვნოა ჩემთვის და ყოველივე ამან შემაყვარა ტფილისი, რომელიც ისედაც ძლიერ მომწონს“.**

აპრილის მიწურულს პეტრე ჩაიკოვსკი თბილისიდან ნავიდა და 1 მაისს ბათუმ-მარსელის სარეისო თბომავალით ევროპას გაემგზავრა. 2 მაისს ძმისადმი გამოგზავნილ ბარათში გულისტკივილით ალნიშნავდა: „**მანვალეპს ტფილისზე ციქირი. ეს თვე ჩემი ცხოვრების ერთი ფრიად ლამაზი თვეა. მართლაცდა, მეტისმეტად მიზვარს ტფილის არა იმითო, რომ თქვენ ის ცხოვრობთ, არამედ იმითო, რომ თვით ეპალეა სამხრეთული პავა, მისი მოგზაურება... ერთი სიფვით, არ მე შესანიშნავად ვცხოვრობ... აძაურ თეატრში გამიმართეს ზეიმი. ამ ზეიმის მოგონება, რომ-**

1887 წლის 30 მაისს პეტრე ჩაიკოვსკი საქართველოში მეორედ



პ.ი. ჩაიკოვსკი და მისი ეგოგროგი, 1886 წ. ტფილისში ჩამოსვლა



ჩამოვიდა და 5 ივლისამდე დაჰყო; ივნისი ბორჯომში, ძმის აგარაკზე, გაატარა. ბორჯომთან შეხვედრამ წარუშლელი კვალი დატოვა კომპოზიტორზე. 27 ივნისს ი. შპაუინსკაიასადმი მიწერილ წერილში ვკითხულობთ: „უკვე ორი კვირა, რაც პორფორაში ვარ. უნდა მოგახსენოთ, რომ ეს გახლავთ ერთ-ერთ-ერთი უშასიშნავისი ადგილი, რომელიც კი ოდესი მინახავს... ღმერთმანი, აირდაპირ აღტაცების ცორებულსა ვლორი სილამაზისგან, რაც აქ ყოველ ნაგიჯზე ხვდება ადამიანს“. მეორე წერილში კი ბორჯომის გახსენებისას წერს: „ჩემი ფიქრი, პორფორი ერთ-ერთი ყველაზე უფრო ღვთაებრივი და შესანიშნავი ადგილია მსოფლიოში“.

და მაინც, სადაც უნდა იყოს კომპოზიტორი, თბილისზე ფიქრი მოსვენებას არ აძლევს. 22 ივნისს ნ. მეკუეს სწერდა: „რაც შეეხება ფიქლისს, ამ სრულად ევრო-აულ ჩალაპს, ბრწყინვალე-და მოცყობილი. სულთაა, შესანიშნავი კლიმატი, მდიდარი მაღაზიები, შესანიშნავი ოპერა, ასეთი ჩალაპი მთლიანად აკასურობს ციცილზებული ევროპის მოთხოვნებს. ამასთან ერთად, ფიქლისში ჩალაპი ევროპაული ნაინის გვერდით არის არა მარტინი მარტინი ევროპის და არის არა საიმარტინი ევროპის გვერდით არის კეშ-მარტინი აზიდისათვის და არა საიმარტინისათვის და არა ევროპის სცორედ ასე-



ჩაიკოვსკი თავის მეგობრებს შორის, რომლებმაც ის გააცილეს 1886 წლის 29 აპრილს. სურათი გადაღებულია „თეთრი ღუძნის“ ფარდულში საქართველოს სამხედრო გზაზე, თბილისის ახლოს, ს. დილომის სასოფლო გზასთან.

თი შერცება განაპირობებს ფიქლისს სიმჟვენიერებს“.

საქართველოსთან პეტრე ჩაიკოვსკის მესამე შეხვედრა შედგა 1888 წლის 26 მარტს. ამჯერად 15 აპრილამდე დარჩა. ევროპიდან მობრუნებული 29 მარტს მეგობრას სწერდა: „ღმერთო, როგორ მიდევობა ბრძოლის ნაცვლად ფიქლისში ვყოფილიყავი!!! და აი, გოლოს და გოლოს, ფიქლისში ვარ. თავს ძლიერ ვიკავებ, რათა არ გაცვლით, გამოეგგზავროთ,

კავკასიაში“.

1889 წლის 12 აპრილს პეტრე ჩაიკოვსკი ლონდონიდან ბათუმს ჩამოვიდა და აქედან თბილის ესტუმრა. მატარებლით უმგზავრია კომპოზიტორს და შთაბეჭდილებებიც ასე აღუნერია ნ. მეკუესადმი 20 აპრილს გაგზავნილ ბარათში: „რასაუცხოვო ქვეყნანა კავკასია! იმდენად მრავალფეროვანია, ლამაზია და მცენარეულობით იმდენად მდიდარია რიონის ხეობა, რომელზეც გადის პატუმიდან მომავლი რკინიგზა, რომ მისი აღწერა შეუძლებელია... გარმოუნებთ, მართო ამ განუვითარებელი სილამაზის სანახავად ლის ჩამოსვლა კავკასიაში“. ამჯერად, თბილისშა კიდევ ერთი სიურაპიზი მოუმზადა კომპოზიტორს — იგი 22 ოქტომბრამდე დარჩა. ცხოვრობდა კონსულის ქუჩაზე (ახლანდელი ჩაიკოვ-

«იგრეთ ცოდებულება საქართველოს სამხედრო გზაზე, რომელზედაც გევრი მსხვილი და ცამიკითხსავს, ყოველ ჩემს მოლოდის გადააჭარბა. შესანიშნავი დარიალის ხეობა, მთაში, თოვლის სახეობი ასელა, არაგვის ხეობაში დაგვეკა, ყველა ეს განსაზღვრებლად კარგია, და თანაც რაოდენ მრავალმასრივი ამ გზის სილამაზი»

სკის) №14 სახლში. ამბობენ, თითქოს აქ დაასრულაო მუშაობა ბალეტ „მძინარე მზეთუნავზე“.

ჯერ კიდევ 4 ივნისს მ. იპოლიტ-ოვ-ივანოვს კომპოზიტორმა მოსწერა: „**ძნელია თარომიდგინოთ, თუ რომორ მოვისწრაფვი ფილისისაკენ.** მე თვითონ მიკვირს, რას ეყრდნობა ამ ძალაკისადმი ჩემი ესოდენ განსაკუთრებული სიგათია... ხომ ვერ გამონახავ საშუალებას, მიმიციონოთ ერთი ან ორი კრიცერტის სადირიზოროდ? როგორ მინდა ფილისის ჩამოსვლა!“

ოცნება აუხდა პეტრე ჩაიკოვსკის — იგი თბილისშია. აქ ისმენს ქართულ მუსიკას, ეცნობა ფოლკლორს... კომპოზიტორი გაკვირვებული ამბობდა: „ნუთუ ეს სიმღერები მართლა ხალხის გულიდან არის ამონადული?“ როგორც მიჩნეულია, პეტრე ჩაიკოვსკიმ ქართული „იავნანა“ თავის ბალეტ „მაკანატუნაში“ ახალი ინტერპრეტაციით გააცოცხება. „იავნანას“ „არაბულ საცეკვაოდ“ გადაკეთებამ ქართველი კომპოზიტორების უკამაყოფილება გამოიწვია. მელიტონ ბალანჩივაძემ ხმამაღლაც კი განაცხადა: „ევგენი ონეგინის“ სახელოვან ავტორს არ შეეფერებოდა, გადაეცმია ქართული თვითმყოფი და პატივსაცემი ჰანგისათვის მსუბუქი, მისთვის შეუფერებელი სამოსი და სრულებით უცხო და სხვა სახელით გაესტუმრებინა მსოფლიოში“.

პეტრე ჩაიკოვსკის ჩამოსვლა გაზეთმა „ივერიამ“ 13 სექტემბერს აუნიყა მკითხველებს: „ამჟამად, — წერდა „ივერია“, — ტფილისში იმყოფება სტუმრად რუსეთის კომპოზიტორი პ. ი. ჩაიკოვსკი, რომელიც, როგორც ამბობენ, ოქტომბრის გასვლამდე დარჩება“. ხოლო ოქტომბრის ნომერში გაზეთი იტყობინებოდა: „15 ოქტომბერს საზაფხულო თეატრში წარმოადგინეს ოპერა „ევგენი ონეგინი“ ჩაიკოვსკისა, რომელიც ამჟამად ტფილისში იმყოფება და რომელმაც თვითონ გაუნია დასს ხელმძღვანელობა ამ ოპერის წარმოდგენისთვის. ეს იყო მიზეზი, რომ



ოპერამ კარგად ჩაიარა და ტაშისკვრა და ბრავოს ძახილი ბევრი იყო. მეორე მოქმედების შემდეგ მაყურებელმა ორჯერ გამოიხმო პატივცემული ავტორი ოპერისა — ჩაიკოვსკი“.

პეტრე ჩაიკოვსკი იცნებობდა საქართველოში ხელახლა ჩამოსვლაზე. 1890 წელს მეგობრისადმი მიწერილ ბარათში კომპოზიტორი წერდა: „**მე ძალია ემაყოფილი ვარ ფილისის ჩვეყანაა. ცოტა ახალგაზრდა რომ ვიყო, სამუდაოდ არ დავსახლდებოდი.**“ სიკვდილის წინ კი უთქვამს: „**მაცოცხლებს ფილი, რომ ფილისის თეატრი ჩავალ.**“ სამწუხაროდ, არ აუსრულდა პეტრე ჩაიკოვსკის იცნება — იგი 1893 წლის 25 ოქტომბერს გარდაიცვალა ქოლერით.

ჩაიკოვსკიმ ქართველი ხალხის სიყვარული მოიპოვა თავისი სათნოებით, გულკეთილობით, უბრალოებით, ჰუმანურობით და ყოველთვის გულწრფელი მსჯელობით.

თბილისელების მიერ გულთბილი მიღებისა და მისი შემოქმედებისადმი განსაკუთრებული ყურადღების გამო მაღლობის გრძნობით აღვსილი კომპოზიტორი, რომელიც განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა შემოქმედების საკითხებს, ყოველნაირად ცდილობდა, ჩაბმულიყო ქალაქის

მუსიკალურ ცხოვრებაში: ესწრებოდა საკვარტეტო სალამოებს ანდრონიკაშვილისას, ხშირად დადიოდა ოპერაში, ეცნობოდა მაშინ თბილისში მცხოვრებ კომპოზიტორების შემოქმედებას.

ერთ-ერთი საკვარტეტო სალამოს შესახებ, რომელიც გაიმართა ანდრონიკაშვილისას, დაწვრილებით გადმოგვცემენ შემდეგს: როდესაც გამოირკვა, რომ ვიოლონჩელის პარტიას შესრულება არ შეიძლებოდა, ჩაიკოვსკი, რომელსაც არ სურდა ანსამბლის წახდენა, როიალს მიუჯდა და ეს პარტია შეასრულა.

20 ოქტომბერს თბილისის ოპერის თეატრში სიმფონიური მუსიკის კონცერტი გაიმართა. დირიჟორობდა პეტრე ჩაიკოვსკი, იგი საკუთარ ნაწარმოებებს ასრულებდა. როგორც კი დირიჟორის პულტან კომპოზიტორი მივიდა, დარბაზი და ორკესტრი ფეხზე წამოდგა და ოვაციით შეეგება. პეტრე ჩაიკოვსკის სამახსოვროდ მიართვეს ოქტომბერი მოჭედილი სპილოს ძვლის სადირიჟორო წკირა და „თბილისის სამუსიკო წრის“ საპატიონ წევრის დიპლომი. სცენა ყვავილებით იყო მორთული. კონცერტის შემდეგ საყვარელი კომპოზიტორი ბანკეტზე მიიწვიეს.

23 ოქტომბერს პეტრე ჩაიკოვსკი საქართველოს სამხედრო გზას ეტლით დაადგა. მასპინძლებმა სტუმარი მცხეთამდე მიაცილეს.



გრიგოლ გაგარინი – კავკასიის მხატვარი

ალბათ, არის რაღაც მაგიური ძალის მსგავსი, რომელიც უცხოელს საქართველოსკენ მოახედებს და ქართველი ერის თანადგომისთვის უხვად ასაჩუქრებს — დიდ სახალხო აღიარებას მოუპოვებს და საქართველოშივე აკურთხებს შემოქმედად. ასეთები არც თუ იშვიათია. უცხოელ მოღვაწეთაგან გრიგოლ გაგარინის ლვანლი თბილისისა და თბილისელების წინაშე ფრიად წონადია. იყო იყო ქართველი ერის ჭირისა და ლხინის გამზიარებელი. ცნობილმა რუსმა ფერმწერმა, არქიტექტორმა, ხელოვნებათმცოდნები, გრიგოლ გაგარინმა თბილისში ექვსი წელი იცხოვრა და, მიუხედავად იმისა, რომ საუკუნეზე მეტი გვაძორებს მისი მოღვაწეობის პერიოდიდან, მხატვარი დღესაც შეგვახსენებს თავს თბილისისადმი მიძღვნილი თავისი სისხლსავსე შემოქმედების ნიმუშებით, როგორიცაა სიონის ეკლესიის კედლის მხატვრობა, თბილისის ყოფილი საოპერო თეატრის დარბაზისა და ფორიების მოხატულობა, დავით ჭავჭავაძისა და მაკე ორბელიანის პორტრეტები, ყოფითი სცენები, ხუროთმოძღვრების ძეგლთა სურათები, პარიზში დასტამბული ალბომები „თვალწარმტაცი კავკასია“ და „კავკასიის კოსტუმები“, ბატალური სცენა „ახტალის ბრძოლა“, სცენიურად გაფორმებული გიორგი ერისთავის პიესები „გაყრა“ და „დავა“, ბეთანიის ეკლესიაში თამარ მეფის პორტრეტისა და ფრესკის საკუთარი ხარჯით აღდგენა...



გრიგოლ გაგარინი დაიბადა 1810 წლის 29 აპრილს (11 მაისი) ჰეტერ-ბურგში. მამა თავისი დროის გამოჩენილი დიპლომატი, იყო განათლებული ადამიანი, რომლისთვისაც უცხო არ იყო ლიტერატურა და უყვარდა ხელოვნება. ის ანუყოდა და შეხვედრებს მხატვრებთან და იტალიაში მსახურობის ჰერიოდში, შეძლო გადაექცია თავისი სახლი რუსული მხატვრული ცხოვრების ერთ-ერთ ცენტრად საზღვარგარეთ. მასთან ერთმანეთს ხვდებოდნენ მხატვრები, მოქანდაკები, არქიტექტორები.

გრიგოლ გაგარინი 13 წლამდე იზრდებოდა მშობლებსა და ძმებთან ერთად პარიზსა და რომში, ხოლო მერე სწავლობდა სიენაში, ტოლომეის კოლეგიაში, რომლის კურსიც დაამთავრა 1826 წელს. პარიზის უნივერსიტეტში მოისმინა ლექციები მათემატიკაში, ფილოლოგიაში, სამართალში, ფილოსოფიასა და ისტორიაში; გაიარა კურსები სამშენებლო ხელოვ-

ნებასა და ფერწერაში.

1832 წელს გაგარინი მამასა და ძმებთან ერთად ჩამოვიდა რუსეთში. ახალი შთაპეჭილებები მაშინვე გადმოსცა ნახატებში: ამ წლებიდან მოყოლებული გაგარინის მუდმივი საქმიანობა გახდა ხატვა. ყველაფერი, რასაც ის ხედავდა ქუჩებში, პარკებში, ბეტონურების არემარებში, მის კანცელარიებსა თუ მანევრებზე, შემდგომ მოსკოვშიც შეტანილი იყო ალბომებში.

კავკასიაში მოღვაწობა

კავკასიის მეფისნაცვალმა მ. ვორონცოვმა 1848 წელს საქართველოში მოინვია გ. გაგარინი. ვორონცოვმა თბილისში ახალი თეატრის მშენებლობაზე დაიწყო ზრუნვა. იმხანად წარმოდგენები ე. წ. მანეუის თეატრში იმართებოდა, შემდეგ გიმნაზიის შენობაში გადაიტანეს. სცენა თვით გ. გაგარინმა გამართა და გ. ერისთავის

კომედია „გაყრის“ დეკორაციებიც მან შეასრულა.

რაკი ქალაქს არ გააჩნდა სრულყოფილი თეატრი, მეფისნაცვალმა დღევანდელ თავისუფლების მოედანზე არსებული თავისუფალი ტერიტორია გამოიყენა და 1847 წლის 15 აპრილს ახალი თეატრის შენობის საძირკველიც ჩაიყარა. თეატრის მშენებლობას ხელმძღვანელობდა იტალიელი არქიტექტორი ჯოვანი სკუდიერი, ხოლო გრიგოლ გაგარინს დაევალა დარბაზისა და ფოიეს მხატვრული გაფორმება. თუ როგორ გაართვა თავი მხატვარმა დაკისრებულ მოვალეობას, მოვიტანთ ორ ამონაზერს, რომლებიც ეკუთვნის რუს მწერალ ვ. სოლოგუბს და ფრანგ მწერალ ალექსანდრე დიუმას. ვ. სოლოგუბი, რომელიც თეატრის დირექტორი იყო, 1851 წლის გაზეთ „კავკაზში“ (№ 29) წერდა: „თავადმა გაგარინმა კიდევ უფრო სრულყო თავისი ნიჭი და, დასახლდა რა თბილისში,

უკვდავყო სახელი ილუსტრაციებითა და სურათებით კი არა, მთელი ძეგლებით. სწორედ მან მორთო თბილისის ახალი თეატრი გაუმჯობესებული არაბული სტილით.... მკვდარი კალამი უძლურია, გამოჰქმდა ახალი დარბაზის მთელი ნარმტაცობა, სიკეკლუცე და სიმშვენიერე. იგი მიაგავს სტორისა და მორტიმერის მიერ აღმოსავლური სურათების შიხედვით სხვადასხვა მინანქრისაგან გაკეთებულ ვეებერთელა სამაჯურს.... როდესაც თეატრში შედისართ, თქვენ გაოცებთ ქვედა იარუსის ლოუები, რომლებსაც შემოვლებული აქვთ თეთრი და ცისფერი ფართო არშია, ფაქიზად შესრულებული მკრთალ-იასამნისფერ ფონზე.... ოქროცურვილ პლაფონზე... ჩამნერივებულია მედალიონები: ესექილეს, სუდრაკის, შექსპირის, კალდერონის, მოლიერის, გოლდონის, გოეთესა და გრიბოედოვის სახელებით".

თბილისური თეატრისა და გრიგოლ გაგარინის მხატვრობის აღნერაში მეტი სითბო და სიყვარული ჩაქრის აღექსანდრე დიუმაშ თავის წიგნში „კავკასია“. ფრანგი რომანისტი წერდა: „უნდა გამოვტყდე, რომ ვესტიბიულში შესვლისთანავე განცვიფრებაში მომიყვანა ორნამენტის სადა და დახვენილმა სტილმა. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს პომპეუსის თეატრის ვესტიბიულში შევედი... მაგილისის სათეატრო დარბაზისთანა თვალ-ნარმტაცი დარბაზი ჩემს სიცოცხლეში არსად მენახა; არდა და დახვენილმა სტილმა. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს პომპეუსის თეატრის ვესტიბიულში შევედი... მაგილისის სათეატრო დარბაზისთანა თვალ-ნარმტაცი დარბაზი ჩემს სიცოცხლეში არსად მენახა;

... ფარდა საუცხოოა (ისიც გ. გაგარინს ეკუთვნოდა): მხატვულობის ცენტრში აღიმართება ქანდაკების კვარცხლბეკი ზედ დახატული ჯვეფით, რომელიც მაყურებლისაგან მარჯვნივ ნარმოადგენს რესეთს, მარცხნივ კი — საქართველოს. რუსეთის ჯვეფში მოჩანს პეტერბურგი და ნევა, მოსკოვი თავისი კრემლით, ხიდები, რკინიგზები, გემები, ცივილიზაცია. საქართველოს მხარეზე მოჩანს თბილისი თავისი ციხის ნაგრევებით, ბაზრებით, ნამოშვერილი



„კახეთი, ალავერდიში“

კლდეებით, თავისი ბობოქარი, დაუკუებელი მტკვარით, სპეტაკიცითა და მთელი თავისი პოეზიით. კვარცხლბეკის ძირში რუსეთის მხარეზე მოჩანს კონსტანტინეს ჯვარი, ნმინდა ვლადიმერის დევნა, ციმბირის ბეწვები, ვოლგის თევზები, უკრაინის ხორბალი, ყირიმის ხილი, ესე იგი, რელიგია, მინათმოქმედება, კომერცია, სიუხვე. საქართველოს მხარეზე მოჩანს საუცხოო ქსოვილები, შესანიშნავი იარაღი, ვერცხლის სევადიანი თოფები, სპილოს ძვლითა და ოქროთი დამშვენებული ხანჯლები, ვარაყიანი ხმლები, ოქროცურვებული ვერცხლის კულები, სადაფით მოჭედილი ჩინგურები, დოლები სპილენძის ეუვნებით, შავი ხის ზურნა, ესე იგი, სამკაული, მიმი, ღვინო, ცელვა, მუსიკა“.

თეატრი საზემოდ გაიხსნა 1851 წლის 8 ნოემბერს და სულ 23 წელი იარსება, – 1874 წლის 11 ოქტომბერს ეს უნიკალური ნაგებობა ხანძარმა იმსხვერპლა. ასე დაიღუპა გრიგოლ გაგარინის შემოქმედების დიდი წიგნის ერთი ყველაზე საინტერესო გვერდი.

თეატრის მოხატვის შემდეგ გრიგოლ გაგარინი ჩვეული მონდომებით შეეჭიდა სიონის ტაძრის კედლებს. მოდით, ისევ ა. დიუმას მოვუსმიროთ: „როცა თავადმა გაგარინმა მორთო ჯოჯოხეთის ტალანი, როგორც ამას თეატრს უწოდე-

ბენ, მან ხელი მიჰყო სამოთხის კარის შესრულებას, როგორც ეკლესიას ეძახიან. თბილისის კათედრალური ტაძარი მთლიანად მოხატულია ამ დიდი ხელოვანის მიერ და, მსგავსად თბილისის თეატრისა, რომელიც თუ ყველაზე უკეთესი არა, ყოველ შემთხვევაში, ერთერთი საუკეთესო თეატრია დედამინის ზურგზე, სიონის ტაძარიც ერთ-ერთი ელეგანტური ეკლესიაა მთელ რუსეთში“.

როდესაც სიონის ტაძრის მხატვას შეუდგა, გ. გაგარინმა მოსკოვიდან და პეტერბურგიდან გამოიჩერა საღებავები, ტილო, არმატურა... რუსი მხატვარი ბევრს მოგზაურობდა საქართველოში და საკუთარი სახსრებით აღადგინა შელახული ფრესკები, პორტრეტები. მისი პროექტით აშენდა აღაგირის ეკლესიაც.

მხატვარს იმდენად უყვარდა საქართველო და ქართველი ერი, რომ სამშობლოში დაბრუნებაზე არც კი ფიქრობდა. იყო შემთხვევა, როდესაც მისმა ახლობლებმა მოსკოვში სოლიდური სამსახურიც კი გამოუიყენეს, მაგრამ ყურად არ იღო. ჭეშმარიტებას არ იქნება მოკლებული თუ ვიტყვით, რომ მხატვრისთვის თბილისურ პერიოდს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც სწორედ მთელი თბილისი იქცა მის შემოქმედებით სახელოსნოდ



და სწორედ აქ გაიფურჩქნა მისი ნიჭიც.

საქართველოში ჩამოსული გ. გაგარინი წლების განმავლობაში აქტიურად მონაწილეობდა თბილისის კულტურულ ცხოვრებაში. მისი სახელი რუსული და ქართული კულტურის შემაერთებელ ხიდად იქცა. მხატვარს ახლო მე-გობრობა ჰქონდა ალექსანდრე ჭავჭავაძესთან, მანანა ორბელიანთან, ...აგრეთვე, იმხანად თბილისში მცხოვრებ სხვა ერების წარმომადგენლებთან — ი. პოლონსკისთან, მირზა ფათალი ახუნდოვთან, მირზა შაფისთან....

1849 წელს მიენიჭა როტმისტრის წოდება. 1850 წელს მონაწილეობდა გენერალ ნესტეროვის ჩეჩენური რაზმის მიერ წარმოებულ ომში მთიელი ხალხის წინააღმდეგ. წარჩინებისთვის მიენიჭა პოლკოვნიკის წოდება. 1852 წელს მონაწილეობდა დაღესტნის ექსპედიციაში. 1853 მხატვრულ და სამშენებლო დარგში სასარგებლო ნაშრომებისთვის მიიღო მეორე ხარისხის წმ. ანას ორდენი.

იმის გამო, რომ გრიგოლ გაგარინი 1854 წელს გაამნესეს სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტის დიდი თავადის ქალ მარიამ ნიკოლოზის ასულის განკარგულებაში, იძულებული გახდა, საქართველოდან წასულიყო. ბევრი კეთილი სიტყვა ითქვა ქართველი ერის დიდი მეგობრის თბილისიდან გა-



„კახეთი, ნიშავრობის დრაგულთა პოლკის მხედართმთავრები“

მგზავრების დროს, რადგანაც განმორება ორივე მხარემ ტკივილ-ამდე განიცადა.

1854 წლის 24 ივნისს თავი გამოიჩინა კურუკ-დარის ბრძოლაში, რის გამოც დაჯილდობული იყო მე-4 ხარისხის წმ. ვლადიმერის ორდენით. 1856 წლის 6 მაისს მიიღო III ხარისხის იგივე ორდენი დაშნით. ალექსანდრე II-ის მეფედ კურთხევის დროს იმყოფებოდა მოსკოვში. მან მიიღო დავალება, ეხელმძღვანელა „მეფის კურთხევის ზეიმების აღნერის“ მხატვრუ-

ლი ნაწილისთვის. 1858 წლის 30 აგვისტოს მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება და ჩაირიცხა ამაღლაში, ხოლო 1859 წლის 27 მაისს დაინიშნა სამხატვრო აკადემიის ვიცეპრეზიდენტად. ამ თანამდებობაზე იყო 1872 წლის 19 აპრილამდე. ამ ხნის განმავლობაში დააჯილდოვეს პირველი ხარისხის წმ. სტანისლავის ორდენით (1860 წ.), წმ. ანას ორდენითა და დაშნით (1862 წ.). მე-3 ხარისხის წმ. ვლადიმერის ორდენითა და დაშნით (1867 წ.), თეთრი არნივის ორდენით (1868 წ.). 1864 წლის 4 დეკემბერს მიენიჭა საიდუმლო მრჩევლისა და გოფმეისტერის წოდება. 1874 წლის 11 იანვარს დააჯილდოვეს წმ. ალექსანდრე ნეველის ორდენით და 1890 წლის 19 თებერვალს უბოძეს ობერ-გოფმეისტერობა.


თბილისიდან წასვლის შემდეგ გრიგოლ გაგარინს არ გაუწყვეტია კავშირისაქართველოსთან. იგი ისკვიდილამდე მის თავგადადებულ მომლერლად დარჩა. ლრმა მოხუცებულობამდე იცოცხლა მხატვარმა და 83 წლის ასაკში, 1893 წლის 30 იანვარს გარდაიცვალა საფრანგეთში, შატერლომში. მისი ნეშტი გადმოასვენეს ტვერის გუბერნიის კოროჩევის მაზრის სოფელ კარაჩაროვში, საკუთარ მამულში.

„სურამის ციხე“



1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომი და ქართველი საზოგადოებისა

გვიანი შუა საუკუნეები საქართველოსთვის საბედისწერო აღმოჩნდა. პოლიტიკური კრიზისით მოცულ ქვეყანას სხვადასხვა მხრიდან უძლიერესი დამპყრობლები გაუმჯობლდნენ, რომელთა ერთ-ერთ ძირითად მიზანს კავკასიის დამორჩილება წარმოადგენდა. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონებთან ერთად აჭარა ოსმალთა ბატონობაში მოექცა. დამპყრობთაგან მიტაცებული მინა-წყლის დაბრუნებისთვის ბრძოლაზე ქართველ ხალხს ხელი არასოდეს აუღია, მაგრამ პოლიტიკურად დაქუცმაცებულ ქვეყანას ასეთი პრობლემის დამოუკიდებლად გადაჭრისთვის ძალა არ ჰყოფნიდა. ვითარება შეიცვალა XIX საუკუნის დამდეგიდან, როცა ამიერკავკასიაში მტკიცედ მოიკიდა ფეხი რუსეთმა და ირანისა და ოსმალეთის მთავარი მეტოქე გახდა კავკასიაზე ბატონობისათვის ბრძოლაში. ამდენად, გაჩნდა შესაძლებლობა ერთმორწმუნე რუსეთის მხარდაჭერით საუკუნეების წინ დაკარგული ისტორიული ტერიტორიების დაბრუნებისა, რასაც აღფრთოვანებით შეხვდა მაშინდელი ქართველობა.



XIX საუკუნის 60-70-იან წლებში ბალკანეთის საკითხის გამწვავებამ რუსეთ-თურქეთის ომი გარდაუვალი გახდა. რუსეთ-თურქეთის ომის დაწყების შემთხვევაში კავკასია აუცილებლად იქცეოდა საომარი მოქმედებების ასპარეზად. რას მოუტანდა ორი დამპყრობის მორიგი დაპირისპირება საქართველოს, როგორიციც ნადა ყოფილი ქართველი საზოგადოების დამოკიდებულება მოსალოდნელი ომისადმი? ამ კითხვებზე პასუხის გაცემას ცდილობდა იმ პერიოდის ქართველი პრესა, რომელიც იმავე დროს გამოხატავდა ქართველი ინტელიგენციის პოზიციასაც. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებული 6. ნიკოლაძის წერილი „საქართველო — ომი თუ იქნა“. ავტორი წერს: „აღმოსავლეთის ომი თუ ატყდა, ბრძოლა მარტო რუსეთსა და ოსმალეთს შუა კი არ დაბოლოვდება. მარტო ერთ შემთხვევაშია შესაძლებელი ამგვარი „ომის შემოსაზღვრა“ — თუ რუსეთმა თავდაპირველშივე ხეირიანად დაამარცხა ოსმალეთის

რაზმები, ისე, რომ ომის გაგრძელება აღარ შეეძლოს და, თუ რუსეთის დიპლომატიამ იმნამსვე ნარუდინა ადვილად მისაღები მორიგების პირობა, მაშინ შესაძლებელია, რომ ომი ადვილად და მალე დაბოლოვდეს... თუ ბრძოლა გაჭიანურდა, მაშინ კი ოსმალეთის ევროპელი მომხრეები აუცილებლად თავს გამოიდებენ და ბრძოლა მთელს ევროპას მოედება... ჩვენს ქვეყნას დიდი სტრატეგიული და პოლიტიკური მნიშვნელობა მოელის აღმოსავლეთის ომში. საქართველოთი რუსეთი პირდაპირ შედის ოსმალეთში... საქართველოს კი, ეხლა მაინც დიდი პოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ინგლისის თვალში“ („დროება“, 36, 3 აპრილი, 1877). 6. ნიკოლაძის თვალსაზრისი დაადასტურა შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმა. მოსალოდნელ ომში ქართველთა დამოკიდებულებასთან დაკავშირებით 6. ნიკოლაძის პოზიცია გამოკვეთილი იყო: „ჩვენი ქვეყნის სახელი, სიკეთე და მომავალი ჩვენს საკუთარს საქციელზეა დამოკიდებუ-

ლი. ნუ შევირცხვენთ დღემდე პატივცემულ სახელს... ნუ დავიმაღვით სოროში. ჩვენი გონიერი, ნესიერი და პატიოსანი საქციელი მაღლა ასწევს საქართველოს სახელს და მტერსა და მოყვარეს დაანახებს, რომ ჩვენი ხალხი სიყვარულის, პატივისცემის, მორიდების და კეთილდღეობის ღირსია“ („დროება“, 36, 6 აპრილი, 1877). რუსეთის ცდა, დიპლომატიური გზით მოეხდინა გავლენა ოსმალეთზე, უშედეგო აღმოჩნდა და ალექსანდრე II-მ 1877 წლის 12 (24) აპრილს კიშინოვში ხელი მოაწერა ოსმალეთთან ომის დაწყების შესახებ მანიფესტს.

ქართველი საზოგადოება სიხარულით შეხვდა რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყებას, რადგან მიიჩნევდა, რომ მას „შედეგად მოპყვება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს თურქთა ბატონობისაგან გათავისუფლება“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბილის 1970). ომის დაწყებას და ამ მოვლენისადმი ქართველთა დამოკიდებულებას „ივერია“ ასე აღწერდა: „12-ს აპრილს ხელმწიფე იმპერა-

ტორმა კიშინიოვში მოაწერა ხელი უმაღლეს მანიფესტს, რომლითაც ომი გამოუცხადა ოსმალეთს... ეს ხმა ელვაზედ უმაღლეს მოედო მთელს ქალაქება... ორს საათზედ მთელი სიონის სობორო აივსო ხალხითა, კაცითა და ქალითა... ბანებზედ, ჩვეულებრივ ხალხი მოგროვდა". წერილი ასეთი მოწოდებით მთავდებოდა: „ჩვენც ხმალს ხელი უნდა ვიკრათ და ჩვენს ძმებთან ერთად სისხლი ვლვაროთ" (ივერია" 7, 16 აპრილი, 1877).

რუსეთის ხელისუფლება კარგად ხვდებოდა, თუ რამდენად არსებითი მნიშვნელობა ექნებოდა სამხედრო ოპერაციების მსვლელობისას ოსმალთა მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე მცხოვრები მაჰმადიანი ქართველების პიზიციას, მით უფრო მხარდაჭერას. ცარიზმი ძალას არ იშურებდა მათი კეთილგანნებული ძალი მოსაპოვებლად, მით უფრო, რომ სულთნის პრიპაგანდა მიზანმიმართულად ცდილობდა ადგილობრივი მოსახლეობის ანტირუსული განწყობილების გაძლიერებას. კავკასიის მეფისნაცვალი, დიდი მთავარი მიხეილი, რომელიც იმავდროულად კავკასიაში მოქმედი ჯარების მთავარსარდალიც იყო, ასე მიმართავდა აჭარისა და ქობულეთის მოსახლეობას: „აჭარისა და ქობულეთის მცხოვრებნო!... ჩვენმა კეთილისმყოფელმა და კაცთმოყვარე ხელმწიფემ ამოიღო ხმალი არა იმისათვის, რომ დაპსჩაგროს მშვიდობისმოყვარე მცხოვრებნი... იგი გზავნის ჯარს ჩაგრულთა დასაფარველად და მჩაგვრელთა შესაკავებლად. ხელმწიფესა სურს, დაიცვას სიმართლე და პატივი... რუსის ჯარის ყოფნამ თქვენს ქვეყანაში უნდა გვაშოროს ერთმანეთის მტრობა-სიძულვილი და გულით შეგვათვისოს და დაგვახლოვოს ჩვენ ძმებთან. ჰოი, ძენო კეთილშობილის ქართველის ტომისანო, ძმანო ყოველთვის ერთგულთა და საყვარელთა ქვეშეცრდომთა რუსის იმპერატორისათა" („ივერია" 8, 23 აპრილი, 1877). სამუსლიმანო საქართველოს მოსახლეობას ჯერ კიდევ არ დაეკარგა ეროვნული ცნობიერება. სწორედ ამის შედეგი იყო რომ „რუ-



სეთ-ოსმალეთის (1877-1878 წ.წ.) ომის დროს აჭარა მტკიცედ დადგა განმათავისუფლებელი არმიის მხარეზე" (საქართველოს ისტორია, 1984) ოსმალთა საუკუნოვანმა ბატონობამ მაინც ვერ გააქრო სამუსლიმანო საქართველოს მოსახლეობაში ეროვნული მთლიანობის შეგნება. დედასამშობლოსთან დაბრუნებას აღტაცებით შეხვდა მაჰმადიან ქართველთა დიდი ნაწილი. მოსახლეობის ასეთ განწყობილებას გამოხატავდა გულო კაიკაციშვილი, რომელიც ქობულეთში შემოსული განმათავისუფლებელი არმიის მებრძოლებზე მიმართვისას, 1878 წლის 19 აგვისტოს აღნიშნავდა: „ჩვენო ქართველებო, ჩვენო ძმებო, ნათესავებო და ბიძაშვილებო, თქვენი ჭირიმე, თქვენი, რომ ჩემმა თვალებმა დღეს თქვენ, ჩვენი ძველი ძმები... აქ, ქობულეთში დაგინახათ. ვმადლობ ლმერთსა და პატივს ვცემ მის განგებას, რომ ჩვენი და თქვენი ნატვრა შესრულდა, ღმერთმა შეგვაერთა... თქვენც ჩვენის დაახლოებით გაიხარებდით და მერე ჩვენის ასეთი შეერთებით და ამ ერთიანობის სიყვარულით აღდგება და გაძლიერდება საქართველო, როგორიც იყო იგი თამარის დროს. მაში, გაუმარჯოს ჩვენს შეერთებას" (სურგულაძე ა. 1978: 304).

ომის მსვლელობაში ქართველობა არნახულ ენთუზიაზმს ავლენდა. ამ მხრივ განსაკუთრებით აქ-

ტიურობდნენ მეზობელი გურიისა და იმერეთის მცხოვრებლები. „გურულები ძალიან მხნეობასა და შესამჩნევ სურვილს ბრძოლაში მონაწილეობისას იჩენდნენ. ამას ნინათ რამდენიმე 12-16 წლის ყმანვილები მოვიდნენ თურმე ჯარის უფროსთან და ითხოვეს, რომ საცა ჩვენი მამები დ ძმები არიან, ჩვენც იქ უნდა ვიყვეთო. თოფი მოგვეცით და ჯარში ჩაგვაყენთ" („დროება“, 48, 1 მაისი, 1877). ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებას, აჭარის განთავისუფლებას განსაკუთრებული სიხარულით შეხვდა ქართველი ინტელიგენცია, რომელთა საერთო განწყობილება დიდმა ილია ჭავჭავაძემ ასე გამოხატა: „...ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლხორცი... ჩვენი ძველი საქართველო, დღეს ჩვენ შემოგვიერთდა" (ჭავჭავაძე ი., 1987). 1877-1878 წლების ომისადმი და ამ ომის შედეგად დედასამშობლოსთან დაბრუნებული აჭარისადმი ქართველი საზოგადოების დამოკიდებულების ნათელი გამოხატულება იყო 1878 წლის ნოემბერში თბილისში სამუსლიმანო საქართველოს დელეგაციის გულთბილი მიღება.

ჯერად კარალიძე,
კრებულიდან „სამხრეთ-დასავლეთ
საქართველო მეზობელ
სახელმწიფოთა გეოპოლიტიკური
ინტერესების კონტექსტში“,
ბათუმი, 2009 წ.



მოგონებაზე პრამეინიზე

(ხევდი ლოლა ალის ციკლიზაცია «მცვალეობა მცვალე»)

1978-1979 წლებში, იმამი ჰომეინის (1900-1989)

ხელმძღვანელობით, ირანში მოხდა კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი რევოლუცია, რომლის მსგავსი თითებზე ჩამოსათვლელი შეიძლება იყოს, შედეგადაც დაემხო ირანის 2500-წლიანი მონარქიული სახელმწიფო წყობა და მის ნანგრევებზე აღმოცენდა ირანის ისლამური რესპუბლიკა. შაჰის ნაცვლად ქვეყანას სათავეში ჩაუდგა სულიერი ბელადი — იმამი ჰომეინი.

აიათოლა ჰომეინი პოლიტიკურ ასპარეზზე 60-იან წლებში გამოდის, რასაც მალე, 1963 წელს მისი დაპატიმრება მოჰყვა, თუმცა მალე გაათავისუფლეს, მაგრამ იმავე წელს ხელმეორედ დააპატიმრეს და თურქეთში გადაასახლეს.

ჰომეინი 1965 წლიდან ერაყში ცხოვრობს და მოლვანეობს. 1978 წელს, ირანის შაჰის — მოჰამად რეზა ფეჰლევის მოთხოვნით, მას ერაყი დაატოვებინეს. ჰომეინი საფრანგეთში შეიფარა, სადაც ის მსოფლიოს ყველადების ქვეშ მოექცა.

საფრანგეთში ჩასვლიდან სამი თვეს თავზე ჰომეინი გამარ-

ჯვებული ბრუნდება ირანში. თე-ირანის მეჰრაბადის აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე მილიონობით ირანელი ორი კვირა ცას შესცეკროდა და ისე ელოდებოდა პარიზიდან მის ჩამოფრენას. ჩამოფრინდა ისიც და ჩაუდგა ქვეყანას სათავეში. ქვეყნის პირველი პირი არ გადასულა მისთვის განკუთვნილ რეზიდენციაში. იგი თავისი პატარა ოთახიდან მართავდა ქვეყანას და იქ იღებდა მსოფლიო ლიდერებს.

ჰომეინის ეკუთვნის 60 წომი ნაშრომებისა, რომლებიც ეძლვნება რელიგიურ და ფილოსოფიურ თემებს, მორალს, ეთიკას... ჰომეინიმ ჩამოაყალიბა „ისლა-

მური მმართველობის“ კონფეფცია.

ჰომეინი ამავე დროს იყო პოეტი, რასაც ის თავმდაბლობის გამო არ ამხელდა. მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ გახდა მისი ფილოსოფიური ლირიკა ცნობილი ირანელი ხალხის თვის.

საქართველო პირველი ქვეყანაა, სადაც ირანის გარეთ ითარგმნა ჰომეინის პოეზია (მთარგმნელები არიან მაგალი თოდუა და ვახუშტი კოტეტიშვილი).

საქართველოში ქართველმა ირანისტებმა არა ერთი და ორი ნაშრომი მიუძღვნეს ჰომეინის მეცნიერულ, პოლიტიკურ შეხედულებებსა თუ პოეზიას.


ირანელები პატივს მიაგებენ იმამ ჰომეინის სახელს, აღნიშნავენ მისი დაბადებისა და გარდაცვალების დღეს. 4 ივნისს სრულდება ჰომეინის გარდაცვალებიდან 25 წელი.

გთავაზობთ მოგონებებს იმამ ჰომეინიზე.

როცა ირანის შაჰმა — მოჰამად რეზა ფეჰლევიმ ქვეყანა დატოვა, იმამს მაშინ პარიზთან ახლოს, დაბა ნოველ-ლე-შატოში ედო ბინა. ამ ისტორიულ მოვლენასთან დაკავშირებით, ინტერვიუს აღების მიზნით, მისი სახლი ასობით კორესპონდენტის ალყაში მოექცა.

გამოიტანეს ტახტი და იმამი მასზე დააბრძანეს. ჩაირთო მასმედიის ყველა სახის საშუალებანი. მსოფლიოს თვალი იმამისკენ იყო მიპყრობილი.

პირობა ასეთი იყო: კორესპონდენტებს, მათი სიმრავლის გამო, ჯგუფ-ჯგუფად უნდა დაესვათ თითო შეკითხვა. ის იყო დაისვა ორი-სამი შეკითხვა, რომ გაისმა ლოცვის მაუწყებელი აზანის ტკბილი ხმა. „შუადღის ლოცვის ქამი მოვიდაო,“ — ბრძანა იმამმა





და გაემართა სალოცავად.

ყველა სახტად დარჩა. ერთ-ერთმა შეჰბედა კიდეც იმამს: იშვიათი რამ მოხდა, თქვენს ხმას მთელი მსოფლიო სულგანაბული ელოდება. იქნებ რამდენიმე შეკითხვაზე მაინც გვიპასუხოთო.

„არავითარ შემთხვევაში ეს არ მოხდება,“ — უპასუხა მკვახედ იმამმა და განაგრძო გზა.

* * *

იმამის ღამის ლოცვა ნამდვილი სანახაობა იყო. ამ დროს იგი ისე მორჩილებით იყრიდა მუხლს უფლის წინაშე და ასრულებდა მოძრაობებს, რომ ამის გადმოცემა შეუძლებელია.

ასე გაატარა იმამმა მთელი თავისი სიცოცხლე. ხოლო, როცა საფრანგეთიდან ირანში გამარჯვებული მოფრინავდა, ღამის ლოცვა მან ცაში ჩატარა.

აიათოლა ხუნსარი იგონებს: როცა იმამი ჰოსპიტლის მედრე-სეს ერთ პატარა ოთახში ცხოვრობდა, იგი ყოველდამ ღამის ლოცვისთვის განსაბანი წყლის ასაღებად შემოდიოდა „ფეიზიეს“ მედრესეში, ამსხვრევდა აუზის ყინულს, იღებდა წყალს და, როცა ლოცვას შეუდგებოდა, თითქოს ყველაფერი ინუსხებოდა და მის ხმას ერწყმოდაო.

ყოველი ღამის ლოცვის მერე მის კეთილშობილებით სავსე სახეს ნათელი ეფინებოდა. ბოლო რამაზანის ღამის ლოცვებისას კი იმდენ ცრემლს ღვრიდა, ცხვირსახოცი არ ჰყოფნიდა და ხელსახოცს იშველიებდა.

იმამი ბრძანებდა: „ნამდვილი ლოცვისმოსავია ის, ვინც ღამით შეჰლადადებს უფალს: ჰეი, მეუფეო ყოვლისა, გაგვეც პასუხი ყოველივეზე!“

* * *

იმამს ერთი დამახასიათებელი თვისება ჰქონდა. იგი თავისითავს არ თვლიდა ვინმესგან გამორჩეულ პიროვნებად და ზედმეტ ყურადღებასაც არ ითხოვდა.

მისი ეს თვისება საბაბი ხდებოდა იმისა, რომ შეკრებებისას, სადაც კი უბრალო ადგილს მოიხელ-



პომეინი შვილთან — აჟადთან და შვილიშვილებთან ერთად

თებდა, უმეტესად კართან, ჩაიმუხლებდა, განსხვავებით იმათგან, გამოსაჩენი ადგილებისკენ რომ მიჰქონდათ თავი.

ერთ-ერთი ქალბატონი, რომელიც ჰომეინის საფრანგეთში ყოფნისას მის სახლში იმყოფებოდა, იმამის თავმდაბლობის შესახებ იგონებს: „ერთხელ იმამთან სტუმრები მოვიდნენ. სადილის მერე, როცა სუფრა ალაგდა, სამზარეულოში იმამი შემოვიდა. ის დრო არ იყო, ლოცვის წინ განსაბანი წყალი დასჭირვებოდა და შევკადრე, თუ რაში იყო საქმე. ასე მომიგო: ვინაიდან დღეს დიდი სტუმრობა გვქონდა, გასარეცხად ჭურჭელიც ბევრი მოგროვდა, შემოვედი, რომ მოგეშველოთ“.

* * *

იმამი არასდროს არავისზე იტყოდა აუგას. თუ საუბრისას ვინმე ვინმეზე დააპირებდა ცუდის თქმას, იგი მაშინვე მოხერხებულად სიტყვას ბაზზე აუგდებდა.

ჰომეინის სახლის წინ ხშირად სათობით იკრიბებოდნენ სემინარისტები და მსჯელობდნენ მეცნიერულ საკითხებზე. თუ ამ

დროს რომელიმე პირის მისამართით გამოითქმებოდა რაიმე უარყოფითი აზრი, იმამი წუხდა.

ჰაჯი აღა მუსტაფა ჰომეინი იმამის მიერ მათი მისამართით ნათქ-

ვამს იგონებს: „თქვენს შეკრებებზე ზოგჯერ სხვათა მისამართით აუგსვისმენ. არ მსიამოვნებს, რომ აქ ვინმეზე ცუდი ვისმისო“.

* * *

როცა ნაჯაფში იმამს თავისი შვილის — ჰაჯი აღა მუსტაფა ჰომეინის — მონამებრივად აღსრულების ამბავი მიუტანეს, იგი კუთხეში განმარტოვდა და ალაპს შეჰლალადა.

ასე ინუგება თავი და ანუგება ოჯახის წევრები.

იმ მძიმე წუთებში ერთი ისეთი რამ მოხდა, რაც ნათლად ავლენს იმამის დამოკიდებულებას კანონისადმი.

დამწუხრებულმა ოჯახის წევრებმა მოინდომეს, რევოლუციის ბელადის კანცელარიის ტელეფონით თეირანში დაერეკათ, მაგრამ იმამმა მათ ამის წება არ დართო და ასე აუხსნა: „ეს ტელეფონი სახელმწიფოსა, თქვენ კი კერძო პირები ხართ, ამიტომ ამით სარგებლობის უფლება არ გაქვთო.“

* * *

ნაჯაფში ყოფნისას, როცა ის სახლში ანთებულ ნათურას შეამჩნევდა, სხვას არ შეაწუხებდა, ავიდოდა თვითონ, ჩააქრობდა და შემდეგ სიბნელეში მესამე სართულიდან ჩამოუყვებოდა კიბეს.

იგი არასოდეს ააგზავნიდა მაღლა ბავშვს ან ვინმე სხვას რაიმეს ჩამოსატანად. რამე თუ დასჭირდებოდა — ქალალდი იქნებოდა ეს, კალამი ან სხვა რამ, თვითონვე ჩამოიტანდა.


როცა ნაჯაფში იმამს „ლუმანიტეს“ კორესპონდენტი ეწვია, იგი გაოგნებული დარჩა იმ უბრალოებით, რომელიც იქ იხილა და წერილიც ასე დაიწყო: „ჩვენ ახლა აიათოლას ოთახში ვიმყოფებით, ველოდებით მის გამოჩენას, ოთახი ოთხი კვადრატული მეტრია, სახლი ნაჯაფის ყველაზე მიყრუებულ უბანში მდებრეობს, თავად ქალაქი კი, გეოგრაფიული თვალსაზრისით, ერაყის ერთერთ ყველაზე ქვიშიან ზონაშია მოქცეული“.

მართლაც, იმამის სახლი ნაჯაფის ყველაზე მივარდნილ უბანში მდებარეობდა, ვიწრო, მიხვეულმოხვეულ, მჭიდროდ დასახლებული ქუჩაზე, სადაც თაკარა მზე ავარვარებდა ყველაფერს.

ამ სახლის სამ პატარა ოთახში თორმეტი კაცი ცხოვრობდა.

იმამი, რამდენიმე წუთითაც რომ გასულიყო გარეთ, ოთახში ნათურას ანთებულს არ დატოვებდა.

ნაჯაფში ყოფნისას, ხშირად,



როცა იგი გარედან სახლში ანთებულ ნათურას შენიშნავდა, შებრუნდებოდა უკან და ჩააქრობდა. მეორე დილით კი ამის გამო თანამშრომლებს საყვედურობდა.

როცა ირან-ერაყის ომი დაიწყო, მებრძოლებმა თეირანში, ჰამეინის სახლთან რკინა-ბეტონის თავშესაფრის შენება დაიწყეს, რათა საპარტო თავდასხმებისას იმამს იქ თავი შეეფარებინა. იმამმა კი განაცხადა: „ნუ აშენებთ მას, მე იქ არ შევალო“.

ომის იმ უმდიმეს წუთებში, როცა დაბომბვისას ქვა ქვაზე არ რჩებოდა და იმამის სახლის შე-

მოგარენი რაკეტების სამიზნედ იყო ქცეული, იმამს ნამითაც არ შეუხრია ნარბი.

ერთ-ერთი ასეთი დაბომბვისას იმამს შეევედრნენ, რომ თავშესაფარში შესულიყო, მაგრამ მან თავი შორს დაიჭირა და ბრძანა: „მე აქედან ფეხს არ მოვიცვლი, ჩემსა და იმ ჯარისკაცს შორის, რომელიც ახლა ქუჩაში საგუშაგოზე დგას, არავითარი განსხვავება არ არის, არც ჩემსა და მის სიკედილს შორის არის რამე სხვაობაო“.

ომის დამთავრებამდე იმამს ის თავშესაფარი არც უნახავს.

**სპარსულიდან თარგმნა
ცოხადი ბართაიამ**

აიათოლა ჰომეინის ლექსები ქართველმა მკითხველმა კარგად იცის, ვახუმტი კოტეტიშვილის მიერ თარგმნილი მისი ლექსების კრებულიც კი ის გამოსული ქართულ ენაზე, და აიათოლა ჰომეინი ამ შემთხვევაში ნაკლებად ცდილობს პოეზია იდეოლოგიურ დანამატად გამოიყენოს. არა, მას აბსოლუტურად სხვა სწრაფვა ამოძრავებს, მას სურს, დიდი სპარსული პოეზიის ლირსეული გამგრძელებელი იყოს, დიდი სპარსი პოეტების კოპორტაში ჩაენეროს... აი, ერთ-ერთი მისი ლექსი:

მერიქიფევ, გაგვიხსენი ღვინის მარნის კარი, ცრუ ასკეტურ ანა-ბანას უცებ ხელი ჰეკარი.

ჩემს სავალ გზას დააფინე შენი ზილფის ჩრდილი, მიხსენ რჯულის დოგმებისგან, გვედრებ, მუხლზე მდგარი.

თასის წკრიალს ანაცვალე დიდება და ტახტი, ქვეყნის ოლრო-ჩოლროები, მართალი თუ მცდარი.

მე ყარიბი — ქაბას და ჰიჯაზს მაზიარე, სატრფოს ახსენ პირბადე და დამიყენე დარი.

ეს ხელადა კვლავ ამიგვე მაგ უწმინდეს ღვინით, სატრფოსაგან გამალებით ვლახო მთა და ბარი.

სატრფოსაგან განშორებულს და უსასოდ შთენილს მიწყალობე ეგ ღვინო და გამაცოცხლე მკვდარი.



ქათავან გაღალაგვილი – 120

„მოვალეობად მიმაჩნია, საზოგადოებრიობის ფართო ფენებს მივუთითო ის ამბავი, რომ ქეთევან მაღალაშვილმა დიდი როლი შეასრულა საქართველოს პორტრეტული ხელოვნების განვითარებაში“.

ლადო გუდიაშვილი

120 ნელი შესრულდა მხატვარ ქეთევან მაღალაშვილის დაბადებიდან. ამ ნიჭიერმა ემოქმედმა ქართველ ერს დაუტოვა მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა — შექმნა უნიკალური გალერეა პორტრეტებისა, რომლებიც ღრმა ფსიქოლოგიზმით გამოიიჩინება და, როგორც უკვე შემდგარი არტეფაქტები, არ საჭიროებენ რაიმე სახის დამატებით „დამსმარე“ კონტექსტს. მოდელის ხასიათში ღრმად წვდომის გამოჩეულ უნარზე

မြေဖို့ပွဲလျေား ဒာမ်ဝိုင်းလှိုင် အောက်ပါတော်းခွဲမှု နေဂြာဏ်ချုပ်
၁၉၇၂ ခုနှစ်၊ ဧပြီလ၊ ၁၃ ရက်နေ့၊ ၁၀၁၅ နာရီ၊ နေဂြာဏ်ချုပ်
နေဂြာဏ်ချုပ် အောက်ပါတော်းခွဲမှု နေဂြာဏ်ချုပ်

მათ შემდეგისათვის — კალაპ ტაროზისგან:

მა, როგორც ფსიქოლოგის დარგის წარმომადგენელი,
უკავშირითად ვაგაყოჩ თვავით. ...ეალრატონი ეკოლის
შემოქმედება წარმომადგენს მაღალ აკადემიურ
კულტურულოგიურ სასუალოს, სახალისეულოს”.



ქეთევან მაღალაშვილი მთელი
სიცოცხლე პორტრეტებს ხატავ-
და, ადამიანის სულში იხედებოდა.
ჩუმი იყო, ხმაური არ უყვარდა.
სიტყვას ვერ დააძვრევინებდით
საკუთარ თავზე. ბუნებით მორი-
დებული და მორკვევი გახლდათ...

საქართველოს გულწრფელ სიყვარულთან და მის სამსახურში გახარჯულ წლებთან ასოცირდება ჰანს ფოხტის, ჰენრიხ ნეიპაუზისა და მისი მეუღლის — სილვია ნეიპაუზის, ვასილ შუხავის, ირინა ჩიუკვას, სვიატოსლავ რიხტერისა და მისი მეუღლის — ნინა დორლიაკის, გიორგი ტოვაჭონოვის, იური გრიგოროვიჩის, ელენა გოგოლევას, ნიკიტა ტოლსტოის, მარია გრინბერგის, ელენა ტაგერის, ერნსტ ჰალოპის, ვალენტინინა კუფტინიას პორტრეტები. ისინი ყვებიან შთამბეჭდავ ამბებს ადამიანებზე, რომლებიც ჩაწერილნი არიან XX საუკუნის ქართული კულტურის ისტორიაში.

საზგასმით მინდა აღვნიშნო და-
ვით კაკაბაძის, ლადონ გუდიაშვი-
ლის, ელენე ახვლედიანისა და ქე-
თევან მაღალაშვილის შემოქმედ-

დებისა და საზოგადოებრივი საქ-
მიანობის მთლიანობაში განხილ-
ვის მნიშვნელობა.

ლაშვილის პორტრეტები რემბრანდტისა და რუბენისის ასოციაციას იწვევს: „....პორტრეტული ჟანრი ყველაზე რთულია და იგი ბევრი ძნელი ამოცანის გადაწყვეტას საჭიროებს, რომლის ძალაც ყველას როდი შესწევს.... გავიხსენოთ შორეული წარსული, როცა ცოცხლები იყენებ რემბრანდტი და რუბენისი. მათი წარმოებები იმდენად სრულქმნილია, რომ ავტორებს არც შევეძავებით, არც გვაინტერესებს, რამდენად სწორად ასახეს ადამიანი. ხშირად ანალოგიურ გრძნობას განვიცდი, როცა ქეთევან მაღალაშვილის პორტრეტებს ვუყურებ“.

“**ელევა ახვლედიანი** მაღა-
ლაშვილის შემოქმედების საზო-
გადოებრივ მნიშვნელობაზე სა-
უბრობს: ...”უცკერი ამ პორტრე-
ტებს და გული გევსება მაღლიე-
რების გრძნობით ქეთო მაღა-
ლაშვილის მიმართ... მაღალაშვი-

ლის შემოქმედების განუზომლად
დიდი საზოგადოებრივი მნიშვნე-
ლობის შეგრძნებას არ დავუტო-
ვიპირვარ არც ერთი წუთით“.

როგორც ნამდვილ პროფესიონალს, რომელიც ხატვის ხელოვნებას უფლებოდა თბილისში (სამხატვრო სასწავლებელი), მოსკოვში (ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელი), გერმანიაში (მიუნიჰენის კერძო სტუდია), პარიზში (ფოლიპორა კოლაროსის კერძო აკადემია), ნებისმიერ ჟანრში შეეძლო მუშაობა, მაგრამ მის ცხოვრებაში ყველაფერი ისე ააწყო, რომ წინასწარიყო განსაზღვრული — მთელი შემოქმედება პორტრეტისთვის უნდა მიეძღვნა.

მოსკოვიდან დაბრუნებისთანა-
ვე (1917წ.) ერთვება ქართული
კოსტიუმის ისტორიის შესაქმნე-
ლად ივანე ჯავახიშვილის ხელმ-
ძღვანელობითა და ძველი ქართუ-
ლი ფრესკების ასლების გადაღე-
ბის მიზნით ქართველ მხატვართა
საზოგადოების მიერ მოწყობილი
ექსპედიციების მუშაობაში. ამის
შემდგომ ქართველ მაღალაშვილი

იგონებს: „მიუნპენში ქართველებს გვეონდა სათვისტომო და ხშირად ვიკრიბებოდით ხოლმე ერთი გერმანელის ოჯახში... ამ შეკრებების დროს ვსატავდი მათ კარიკატურებს და ვჩუქნიდი... არასოდეს დამავიწყდება პარიზში დახატული ჩემი პორტრეტები ერეკლე ჯაბადარის, ირაკლი ორბელიანის, ტატიანა კაკაბაძის და სუსანა ლამბაშიძის“. ამ უშუალო და გულახდილი საუბრის დროს, რომელიც ჩაინირა თელავთან დაკავშირებული საინტერესო ამბების აღმნერმა გიორგი ჯავახიშვილმა, ქეთევან მალალაშვილი, ალბათ, ვერ იფიქრებდა, რომ სწორედ პარიზში შესრულებული ზოგიერთი პორტრეტი, მის სხვა ნამუშევრებთან ერთად, შევიდოდა ქართული სახვითი ხელოვნების ოქროს ფონდში. გადაჭარბების გარეშე უნდა ითქვას, რომ მისი რამდენიმე, ერთი შეხედვით, იმპრესიონისტული მანერით დაწერილი პორტრეტი, რომელიც სცილდება იმპრესიონიზმის ჩარჩოებს თემატური და მხატვრული კონცეფციის აკადემიურ დონეზე აყვანილი მთლიანობით, მსოფლიოს ნებისმიერ პრესტიულ მუზეუმს დაამშვენებდა.

ამასთან, არის ერთი პორტრეტი, რომელიც ყველა შეხედულებისა და გემოვნების ადამიანისთვის მიღებულია საეტაპო მნიშვნელობის ძეგლად არა მხოლოდ ქეთევან მაღალაშვილის, არამედ ზოგადად ქართული პროფესიული პორტრეტული ხელოვნების ისტორიაში. ეს არის იაკობ ნიკოლაძის პორტრეტი.

ვინც ქეთევან მაღალაშვილს პოზირებდა, უმაღ ხსნიდა პორტრეტისტის წარმატების „საიდუმლოს“. ამის დასტურია ფრაგმენტები გიორგი ჯავახიშვილის იშვიათი თელავური ჩანაწერიდან: „სანამ მუშაობას შევუდგები, ჩემი ხატვის აბიექტს ვინვევ საუბარში, კამათში ან სხვა რაიმე ხერხით ვცდილობ, გამოვაცოცხლო, რომ დავიჭირო მისი სახის, ხელის თუ თვალების მოძრაობა. ...ვისი დახატვაც მინდა, მას აუცილებლად კარგად უნდა ვიც-



ჩეთევან მაღალაშვილი და ელენე ახვლედიანი, 1960 წ.

ნობდე. სხვადასხვა დროს, სხვადასხვა შემთხვევაში ჩემ მიერ ნაბოვნია ის შტრიხები, რომლებიც გამთლიანდება ხოლმე ჩემს პორტრეტებში. თქვენ გვონიათ, ნატურიდან ხატვა მარტო სეანსების ფიქსირება? არა, მე ხასიათის ღრმად შესწავლის შემდეგ ვჯდები სახატვად. ზოგჯერ ჩემი სურათების პერსონაჟებმა არც კი იცოდნენ, რომ ისინი უნდა დამეხატა. ასე შეიქმნა ჩემი პორტრეტები: ივანე ჯავახიშვილი, ნატო ვაჩინაძე, მედეა ჯაფარიძე, იაკობ ნიკოლაძე, ვახტანგ ბერიძე, ელისო ვირსალაძე, ლევან გოთუა... ერთხელ კონსტანტინე გამსახურდიამ მითხრა: შენ რომ არა, მაღალაანთ ქალო, ვერავინ შესძლებდა ნახატში ჩემი განწყობილების გადმოცემას.... არადა, ხომ გაგებონებათ, როგორი როტული საურთიერთოა კ. გამსახურდია, მაგრამ, სანამ არ დავიმორჩილე და არ ვიპოვე მისი შინაგანი ბუნების შტრიხები, მანამ არ დავჯევი მის დასახატად“.

ჩევეულებრივ, ყოფით სიტუაციაში ქალბატონი ქეთევანი არ ხასიათდებოდა მრავალსიტყვაობით. თანამედროვენი მემუარებში აღნიშნავენ, რომ მისი დამოკიდებულება მრავალრიცხვან მეგობართან, ყველაზე ახლობელთანაც კი, ატარებდა „კამერულ“,

„სტატიკურ“ ხასიათს. იგი გამოირჩეოდა (განსაკუთრებით ბობოქარი და მჩქეფარე ტემპერამენტის მქონე ელენე ახვლედიანის ფონზე) „სოლიდურობით“, „ზომიერებით“, იყო „თავდაჭრილი საქციელშიც და მეტყველებაშიც“ (ვ. ბერიძე).

პარიზში ცხოვრებისას მეგობრები ერთმანეთს ხუმრობით სახასიათო სახელებს ურჩევდნენ. ელენე ახვლედიანს ქარიშხალას ეძახდნენ, ლადო გუდიაშვილს — დიდ ლადოს, დავით კაკაბაძეს — უცნაურს, ქეთევან მაღალაშვილს — მწყერას. ეს სახელი მეტისმეტი სიწყნარის გამო შეარქვეს.

რაც შეეხება სეანსებს, აქ იგი თავის სტიქიაში იყო. მაღალაშვილისეული „სასეანსო საუბრების“ მიზიდულობის ძალაზე მეტყველებს თეატრის ცნობილი მსახიობის უშანგი ჩემიძის წერილის ფრაგმენტი, რომელშიც დელიკატურად ატყობინებს სეანსის გაგრძელების დროს: „**მე თევენთან საუბარი, რომორც ტკბილეული, ისე შეამოვინახე საღამოსთვის**“.

ანა კალანდაძემ იმდენად საინტერესოდ და მნიშვნელოვნად ჩათვალა სეანსის მსვლელობა, რომ გულდასმით ჩაინირა მხატვრის საუბრები და გამოაქვეყნა კიდეც მოგვიანებით. ეს საუბრები



ნატო ვაჩენაძე



თამარ მაშვილი



ვერიკო ანჯაფარიძე

არა მხოლოდ მხატვრის პროფესიონალიზმსა და პორტრეტის შექმნის მისეულ მეთოდზე გვიყალიბებს წარმოდგენას, არამედ თავად ქალბატონი ქეთევანის ფსიქოლოგიურ პორტრეტსაც გვიხატავს. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა ერთი ინტერვიუ ანა კალანდაძეს-თან, რომელიც შეკითხვაზე: „...წარმოუდგენელია, არ გენატრებოდეთ წარსულის კუთვნილებად ქცეული ადამიანები...“ უპას-

უხებს: „განსაკუთრებით, იცით, ვინ მენატრება? ქეთომაღალაშვილი. არაჩვეულებრილი ქალი იყო“.

მაღალაშვილის მემკვიდრეობის ყველაზე მკაფიო მახასიათებელია ის ფაქტი, რომ ინტერესი მისი პორტრეტების მდიდარი გალერეის მიმართ არასოდეს გაქრება. უფრო მეტიც, დროთა განმავლობაში იგი გადაიქცევა შეუცვლელ წყაროდ, რომლითაც ისარგებლებენ მეცნიერული აღმოჩენებისთ-

ვის, ისტორიული ფაქტების დასადგენად, ადამიანთა ცხოვრების დაკარგული ან დავიწყებული ეპიზოდების აღსადგენად და ა. შ. თითოეული სურათი მატიანეა. სწორედ ეს ისტორიზმია ერთ-ერთი გამაერთიანებელი და განმაზოგადებელი ნიშანი პორტრეტებისა, რომელთა შორის ხელოვნების ამ ჟანრის შედევრებსაც ვხვდებით.

მოამზადა დეა სვანიძეა



ნატურმორტი, 1959 წ.



ელენე ახვლედიანი



გიორგი ჩუბინეგვიძის სახელმწიფო ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი

ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი დაარსებულია 1941 წლის 1 აპრილს და თავისი დამფუძნებლისა და პირველი დირექტორის — გიორგი ჩუბინაშვილის (1941-1973) სახელს ატარებს. სხვადასხვა დროს მას ხელმძღვანელობდნენ აკადემიკოსი, პროფესორი ვახტანგ ბერიძე, აკადემიკოსი, პროფესორი ნოდარ ჯანბერიძე, თეომურაზ საყვარელიძე.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ხელოვნებათმცოდნების კაბინეტს“ ეკუთვნოდა მია-სი ბიბლიოთეკის, ნახაზებისა და ფოტორარქივების პირველი ფონდებიც. ბიბლიოთეკის მოზრდილი ნაწილი და ინსტიტუტის არქივები, 1940-1980-იან წლებში მოპოვებული მასალებითურთ, განადგურდა 1991 წლის დეკემბერში, თბილისში განვითარებული ცნობილი მოვლენების დროს.

ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი იმთავითვე გახდა საქართველოში ხელოვნებათმცოდნების უმაღლეობის უმატებელი. მისი მიზანი იყო ქართული ხელოვნებისა და, საზოგადოდ, საქართველოს მხატვრული მექანიდრეობის (მის მიწანა-წყალზე შექმნილი თუ აქ შემოტანილი სხვა ერებისა და კულტურების წარმომადგენლების ნაწარმოებთა ჩათვლით) მხატვრულ-ისტორიული თვალსაზრისით შესწავლა, მისი მეზობელი ქვეყნებისა თუ მსოფლიო ხელოვნების ერთობლიობაში წარმოჩნდა.

სხვადასხვა დროის (წინაქრისტიანული, შუასაუკუნოვანი, XIX-XX საუკუნეების) ქართული ხუროთმოძღვრების, სახვით და მციორებელოვნებათა ნიმუშებთან ერთად, ინსტიტუტი ისწავლება ანტიკური, სასანური, ბიზანტიური, სომხური, მაპშადიანური, დასავლეთ ევროპული თუ რუსული ხელოვნების ისტორიის საკითხები.

ინსტიტუტის კულევითი მუშაო-

ბის ერთი უმთავრესი მიმართულება იყო შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრება, კერძოდ, ტაძართმშენებლობა.

შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრებასთან ერთად ჯეროვანი ადგილი ჰქონდა მიჩენილი ინსტიტუტის გეგმებში კედლის მხატვრობასაც.

პირველ ათწლეულებში უფრო მეტი ყურადღება დაეთმო X-XIII სს-ის მოხატულობებს — თ. ვირსალაძე, ნ. ალადაშვილი, გ. ალიბეგაშვილი, ა. ვოლსკაია, ე. პრივალოვა, რ. შმერლინგი; 1970-80-იანი წწ-დან — მ. დიდებულიძე, ა. კლდიაშვილი, ქ. მიქელაძე, ა. ოქროპირიძე, ზ. სხირტლაძე, მ. ყენია. შემდგომ გამოიკვეთა ინტერესი პალეოლიგოსთა ხანისა და გვიანი შუა საუკუნეების ნიმუშებისადმი (ნ. ალექსიძე, ფ. დევდარიანი, მ. ვაჩინაძე, ჯ. იოსებიძე, ი. ლორთქიფანიძე, ლ. შერვაშიძე, ი. მამაიაშვილი, ა. კლდიაშვილი, ქ. მიქელაძე, ი. ხუსკივაძე, მ. ჯანჯალია). თანადროულად „კლასიკურ“ მოხატულობათა შესწავლისას მეტი ადგილი დაეთმო იკონოგრაფიულსა და შინაარსობრივ პრობლემებს (თ. ვირსალაძე, ე. პრივალოვა, მ. დიდებულიძე, ა. კლდიაშვილი, ა. ოქროპირიძე, ზ. სხირტლაძე, მ. ყენია).

ინსტიტუტი იკვლევდნენ შუა საუკუნეების ქართული ხელნაწერი წიგნის მორთულობას (რ. შმერლინგი), საეკლესიო (გ. ალიბეგაშვილი, ფ. დევდარიანი, გ. ულენტი, ლ. შერვაშიძე) და საერო



(გ. ალიბეგაშვილი, ი. ხუსკივაძე) მინიატურას, ჯერჯერობით შედარებით ნაკლებადა შესწავლილი ხატნერა, თუმცა გამოკვლევების მთელი რიგი მასზეც მოიპოვება (გ. ალიბეგაშვილი, ნ. ჭიჭინაძე, ლ. ხუსკივაძე).

შუა საუკუნოვანი ქანდაკებლობის ძირითადი ისტორიული საფეხურები გ. ჩუბინაშვილს ჰქონდა დადგენილი, უმთავრესად V-VII სს-ის ეკლესიების რელიეფებისა და IX-XVIII სს-ის ჭედურობის მიხედვით. მის მიერ მონიშნული განვითარების სურათის შევსებას და გამდიდრებას მოეძლია ადრექრისტიანულისა თუ VIII-XI სს-ის სტელებისა და ნაგებობათა მამკობი კვეთილი გამოსახულებების შესახებ დაწერილი არაერთი შრომა (ნ. ალადაშვილი, გ. ალიბეგაშვილი, ა. ვოლსკაია, კ. მაჩაბელი, ლ. რჩეულიშვილი, ლ. შანიძე, ნ. ჩუბინაშვილი, 1980-იანი წწ-დან — თ. ხუნდაძე). გვაქვს რამდენიმე ნაშრომი გვიანანტიკური (მ. მიზანდარი), ადრექრისტიანული (ლ. შერვაშიძე)



თუ XII ს-ის მოზაიკების შესახებ (გ. ალიბეგაშვილი, თ. ვირსალაძე, ლ. ხუსკივაძე).

ქართული ოქრომჭედლობა
ცალკე დარგადაც ისწავლება — ქრონოლოგიურ ეტაპებად (XIII ს-ის — თ. საყვარელიძე, რ. ყენია, XVI-XVII ს-ის — თ. საყვარელიძე, ლ. ხუსკივაძე), თუ რეგიონულად (სვანური სკოლა — რ. ყენია). საკვლევ საგნად იქცა შუა საუკუნეების „მცირე ხელოვნებათა“ სხვა შტოებიც: გლიპტიკა, დროშები (ს. ბარნაველი), ხეზე კვეთილობა (ნ. ჩუბინაშვილი), მინანქარი (ლ. ხუსკივაძე), კერამიკა (ზ. მაისურაძე), მხატვრული ქსოვილები და ნაქარგობა (ვ. ბერიძე, მ. კეცხოველი).

ამჟამად ჯერ ვერ მოხერხდა წინაქრისტიანული ხელოვნების მთლიანი ისტორიის წარმოდგენა. მიუხედავად ამისა, გამოქვეყნებულია წარმართობის ხანის არქიტექტურის ზოგადი მიმოხილვა (გ. ჩუბინაშვილი), წიგნები და წერილები ხუროთმოძღვრების (თ. სანიკიძე, კ. ხიმშიაშვილი), ბრინჯაოს ხანისა თუ ანტიკური ხანის პლასტიკის (ნ. გომელაური, მ. თაბუკაშვილი, მ. მიზანდარი), გვიანანტიკური ტორევტიკის შესახებ (კ. მაჩაბელი).

ძველი დროისა და შუა საუკუნეების ხელოვნების მკვლევართაგან მრავალს XIX და XX ს-ის მხატვრობასა, გრაფიკასა, სცენოგრაფიასა, ქანდაკებასა თუ დეკორატიულ-გამოყენებით ხელოვნებაზეც უნდერია (ნ. ალადაშვილი, გ. ალიბეგაშვილი, ვ. ბერიძე, მ. ვაჩინაძე, ა. ვოლსკაია, ა. კლდიაშვილი, ზ. მაისურაძე, ი. ლორთქიფანიძე, კ. მაჩაბელი, ე. პრივალოვა, ლ. რჩეულიშვილი, რ. ყენია, გ. ჩუბინაშვილი, ნ. ჩუბინაშვილი, ლ. შერვაშიძე, რ. შერლინგი). სხვებისთვის ეს კვლევადიების უმთავრესი ასპარეზი გახდა — მათგან პირველი იყვნენ მ. კარპელაშვილი (წიგნის და დაზგური გრაფიკა, დაზგური და მონუმენტური მხატვრობა) და ლ. შანიძე (ქანდაკება, გრაფიკა). მომდევნო თაობათა ხელოვნებათმცოდნენი იყვნენ XX ს-ის ფერწე-

რის, გრაფიკისა და სკულპტურის თვალსაჩინო ოსტატების შემოქმედებასა თუ ეპოქის მიერ მოვლენებს (ლ. ანთელავა, მ. გაჩეჩილაძე, ქ. კინწურაშვილი, დ. ლებანიძე, ს. ლეუავა, მ. მედმარიაშვილი, ნ. მირცხულავა, ნ. ლალანიძე, მ. ციციშვილი, გ. ხოშტარია), თეატრის მხატვრობას (ე. თუმანიშვილი, ქ. კინწურაშვილი, მ. ოკლეი), გამოყენებით-დეკორატიულ ხელოვნებას (მ. მაისურაძე, ნ. ყიფიანი), ცალკე თემებად გამოიკვეთა XIX ს-ის მხატვრობა (გ. მასხარაშვილი, მ. ციციშვილი, გ. ხოშტარია) და ნ. ფიროსმანაშვილი (გ. ხოშტარია).


გარდა ცალკეული გამოკვლევებისა ინსტიტუტი მომზადდა და ქართულად და სხვა ენებზე გამოიცა განმაზოგადებელი შრომები ქართულ არქიტექტურას (ვ. ბერიძე, რ. მეფისაშვილი და ვ. ცინცაძე, ნ. ჯანბერიძე) თუ ქართულ ხელოვნებაზე საზოგადოდ (რ. მეფისაშვილი და ვ. ცინცაძე, ვ. ბერიძე, ა. ვოლსკაია, გ. ალიბეგაშვილი, ლ. ხუსკივაძე).

ქართველი ხელოვნების ისტორიკოსები მუშაობისას მუდამ იშველიებდნენ სხვა ქვეყნების ხელოვნებას, გამოიუკიათ ისეთი ნაშრომებიც, რომელიც ქართული ხუროთმოძღვრების (გ. ჩუბინაშვილი, ვ. ბერიძე, რ. მეფისაშვილი), მხატვრობის (გ. ალიბეგაშვილი, მ. დიდებულიძე, ე. პრივალოვა, ი. ხუსკივაძე) ახლო თუ შორეული მეზობლების მხატვრულ შემოქმედებასთან სხვაობა-ნათესაობის წარმოჩენას ემსახურება. შესწავლილი აქვთ ინსტიტუტის თანამშრომლებს სომხური ხუროთმოძღვრება (გ. ჩუბინაშვილი), საქართველოში თუ სხვაგან დაცული ანტიკური გლიპტიკის (ს. ბარნაველი), ბიზანტიური, ირანული, სირიული, შესასაუკუნოვანი და რენესანსული, დასავლეთევროპული ხელოვნების ნიმუშები (კ. მაჩაბელი, ე. პრივალოვა, ლ. ხუსკივაძე, ი. ხუსკივაძე), საქართველოში მოღვაწე რუსი (გ. მასხარაშვილი) თუ ევროპელი (ნ.

ჭოლოშვილი) მხატვრების ნამუშევრები.

ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლები მუდამ მონაწილეობდნენ ძეგლთადაცვით საქმიანობაში — ამჟავებდნენ სარესტავრაციო პროექტებს (მ. დვალი, ლ. რჩეულიშვილი, ნ. ჩუბინაშვილი, ვ. ცინცაძე — საქართველოს ერთი წამყვან რესტავრატორთაგანი), მეთოდურ საკითხებს (გ. ჩუბინაშვილი, ვ. ბერიძე ე. პრივალოვა, ლ. რჩეულიშვილი, ნ. ჩუბინაშვილი, თანამშრომლობდნენ ძეგლთადაცვით უნივერსალურ საბჭოსთან (გ. ჩუბინაშვილი, ნ. ალადაშვილი, გ. ალიბეგაშვილი, ვ. ბერიძე, მ. დვალი, მ. დიდებულიძე, ი. ელიზბარაშვილი, ნ. ვაჩერიშვილი, თ. ვირსალაძე, ა. ვოლსკაია, დ. თუმანიშვილი, ნ. კუპრაშვილი, ი. ლორთქიფანიძე, ს. ლეუავა, გ. მარსაგიშვილი, რ. მეფისაშვილი, ლ. რჩეულიშვილი, თ. საყვარელიძე, ვ. ცინცაძე, ლ. ხუსკივაძე, მ. ჯანჯალია).

ინსტიტუტის თანამშრომელთა უმრავლესობა უმაღლეს სკოლაშიც მუშაობდა, ძირითადად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (გ. ჩუბინაშვილი), თბილისის სამხატვრო აკადემიაში (ლ. რჩეულიშვილი — ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრის გამგე, ვ. ცინცაძე — არქიტექტურის რესტავრაციის გამძლოლი; 1960-წლიდან — ნ. ალადაშვილი, გ. ალიბეგაშვილი, ვ. ბერიძე. ფ. დევდარიანი, გ. მასხარაშვილი, კ. მაჩაბელი, ნ. ასათიანი, ე. პრივალოვა, რ. ყენია, გ. ხოშტარია, ი. ხუსკივაძე, ნ. ჯანბერიძე, შემდგომ წლებში: ნ. ანდლუაძე, ლ. ანთელავა, მ. დიდებულიძე, მ. ბულია, თ. გერსამია, ი. ელიზბარაშვილი, ნ. ვაჩერიშვილი, დ. თუმანიშვილი, ს. იოსელიანი, ა. კლიდაშვილი, ნ. კუპრაშვილი, დ. ლეპანიძე, ს. ლეუავა, ი. ლორთქიფანიძე, ქ. მიქელაძე, ნ. ლალანიძე, მ. ყენია, დ. ხოშტარია, ლ. ხუსკივაძე, თ. ხუნდაძე, მ. ჯანჯალია).



ლეონის მრავალის კარვაზი სათი
(ხახული, თაღი), X-XII საუკუნეები



ISSN 1987-5908



9 771 987 590006